პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და ხაღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- გაიხსნა საკავშირო საბჭოთა მე-6 ყრილობა.
- პუტილოვის ქარხნის ყოფ. მენშე[illegible] განცხადება.
- გერმანელ ქალთა დელეგაცია ლენინგრადში.
- ლოკაუტი ნორვეგიის ქაღალდის მრეწველობის მუშებს.
- ინგლისი ფაშიზაციის გზით.

სამშაბათი, 10 მარტი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 57 (3012)

საკადრისი პასუხი სოციალ-ინტერვენტებს

ათი დღეა, რაც მოსკოვში მიმდინარეობდა მუშათა კლასის მოსისხლე მტრების, სოციალისტური მშენებლობის მავნებელთა ახალი ბანდის გასამართლება. ამჟღლად საბრალმდებლო სკამზე ისხდნენ რუსეთის მენშევიკური პარტიის უძველესი წევრები და ლიდერები ჟორდანია-წერეთლების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

საქართველოს მშრომელი მასებისათვის, რომელთაც საკუთარი თვალით იხილეს და განიცადეს მენშევიკური ბატონობის შავბნელი დღეები, რომელნიც იცნობენ მენშევიკების მოღალატურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, მოსკოვის პროცესი განსაკუთრებით საყურადღებოა. იგივე შეგნებული მავნებლობა, იგივე გაფაციცებული მზადება იმპერიალისტური ინტერვენციისათვის გზის გასაკაფავად, ისეთივე ბლოკი შინაური და გარეშე ურეაქციონერის ელემენტებთან, მსხვილ მრეწველებისაგან ფინანსიური დახმარების მიღება არალეგალური, ჯაშუშური მუშაობის საწარმოებლად და მრავალი სხ. —აი, რა გამომჟღავნდა მოსკოვის პროცესზე მენშევიკური პარტიის კონტრრევოლიუციონური მუშაობიდან.

საქართველოს მენშევიკებისათვის ყოველივე ეს ნაცნობია. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პროლეტარული რევოლიუციის მოღალატეობის ეს გზა უკვე კარგა ხანია გატკეპნილია საქართველოს სოციალ-გამცემლების მიერ. და სრულიად გასაკვირი არ არის, რომ „ისტორია“ აქაც მეორდება. როგორც ბოროტმოქმედების ადგილას დაჭერილი, ნილაბჩამოფხრეწილი ქართველი მენშევიკები უტიფრად უარყოფდნენ თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას, ისე რუსეთის მენშევიკების ემიგრაცია მეძავი ქალის უხიტბარობით ცდილობს დაარწმუნოს გულუბრყვილონი თავის „სოციალისტურ უმანკოებაში“, მაგრამ ფაქტები, მენშევიკური მოღალატეობის ფაქტები თავისთავად მეტყველებენ მენშევიზმის სრულ პოლიტიკურ გათახსირებას.

მჭიდრო კავშირი ინჟინერთა კონტრ - რევოლიუციონურ და რუსეთის ყოფილ ფაბრიკანტების ორგანიზაციასთან, რომელსაც საბჭოთა კავშირში წარმოადგენდა „სამრეწველო პარტია“, რიაბუშინსკებისა და ნობელებისაგან ფულადი სუბსიდიების მიღება, ბლოკი კონდრატიეველთა კონტრ - რევოლიუციონურ პარტიასთან, წმინდა სახის მავნებლობა — ნედლეულის დამზადების, მუშათა მომარაგების, სამრეწველო მშენებლობის, საგარეო ვაჭრობის და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან დარგებში, სადაც კი საპასუხისმგებლო ადგილებზე ისხდნენ მენშევიკები — აი, რას გვეუბნება წინასწარ გამოძიების დროის გამოაშკარავებული და თვით სასამართლოს სხდომებზე გამომჟღავნებული მენშევიკური მოღალატეობის უამრავი ფაქტები. მხოლოდ სრულ იდიოტს, მხოლოდ მას, ვინც არ იცნობს მენშევიკების ბუნებას, შეუძლია დაიჯეროს რუსეთის მენშევიზმის ემიგრაციის მტკიცება, თითქოს ის, რაც მოსკოვის პროცესზე ხდებოდა, მოგონილი ამბებია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სასამართლოს სხდომაზე გამომჟღავნებული ამბები მხოლოდ ნაწილია იმ მოღალატური მუშაობისა, რომელსაც აწარმოებდნენ მენშევიკები საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დასამშევად, გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის ძირის გამოსათხრელად, ფაბრიკანტებისა და მემამულეების ბატონობის აღსადგენად.

მოსკოვის პროცესზე ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით დადასტურდა ის შეფასება, რომელიც მისცა საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიას კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. მენშევიზმი გადაიქცა ბურჟუაზიის მესამე პარტიად, სოციალ - დემოკრატია კაპიტალის ბატონობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა გახდა. ამას მოწმობს თვით ბრალდებულთა ჩვენება. ყველა ისინი შეურიგდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ყველა ისინი სინიდისის ქვეშ მუშაობდნენ, სანამ სჯეროდათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების თანმიმდევნობითი ბურჟუაზიული გადაგვარების მომასწავებელი იყო. მაგრამ, როგორც კი ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მოამზადა ნიადაგი გაშლილი სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის და რაკი მთელი საბჭოთა კავშირი კომუნისტური პარტიის თაოსნობით შეუდგა კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციას, დამფრთხალი მენშევიკური ვირთხები სოროებში მიიმალნენ და გააჩაღეს წმინდა წყლის კონტრ - რევოლიუციონური არალეგალური მუშაობა. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ რუსეთში მენშევიკებმა საბოლოოდ დაჰკარგეს ყოველგვარი გავლენა მუშათა კლასზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ გრომან - სუხანოვის კამპანია თავიანთ ირგვლივ რაზმავდა იდეურად და მორალურად გახრწნილ-გადაგვარებულ ინტელიგენტებისა, ყოფილ ადამიანთა ჯგუფებს და კულაკურ ელემენტებს. ამაშივე უნდა ვეძიოთ იმის ახსნა, რომ სოციალ-დემოკრატია, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც ბოლშევიკებთან ბრძოლის მიზნით დაუკავშირდა წმინდა სახის კონტრ-რევოლიუციონურ დაჯგუფებებს, „სამრეწველო პარტიას“ და „მშრომელ გლეხთა პარტიას.“ რუსეთის მენშევიკებმა თავიანთი პარტიის ემიგრანტებთან შეთანხმებით და პირდაპირი დირექტივით გამოიმუშავეს ზემოხსენებულ პარტიებთან ერთად ანტისაბჭოთა მოქმედების საერთო გეგმა, მათთან ერთად დაინაწილეს როლები და პრაქტიკულად შეუდგნენ საქმეს.

პროლეტარულმა სასამართლომ საკადრისი პასუხი გასცა სოციალ-მოღალატეებს, რომელნიც საბრალმდებლო სკამზე ისხდნენ. ისტორიამ კი დიდი ხანია გამოიტანა თავისი ულმობელი განაჩენი მენშევიზმს, მან ის ცხოვრების ზედმეტ ბარგად აქცია და ძველი ქვეყნისათვის მებრძოლთა ჭაობში გადაისროლა. მოსკოვის პროცესი მხოლოდ ერთი იმ იშვიათი ეპიზოდთაგანია, რომელიც ფარდას ხდის მენშევიზმის თანდათანობითი დაქანებას მუშათა კლასის მოღალატეთა გზით და მის რეაქციონურ მიმდინარეობად გადაქცევას, მოსკოვის პროცესი საქვეყნოდ ამჟღავნებს იმ მუხანათურ შავ მუშაობას, რომელსაც აწარმოებენ მენშევიკები და მეორე ინტერნაციონალის ლიდერები დიპლომატიურ კულუარებსა და საიდუმლო თათბირზე.

ტყუილად ცდილობენ აბრამოვიჩები და ძმანი მათნი თავი დაიძვრინონ ბრალდებას იმის შესახებ, რომ მენშევიკური პარტია ამზადებს იმპერიალისტურ ინტერვენციას პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს ფანდი, რომელიც მათ მუშების თვალის ასახვევად და თავიანთი ცრუ სოციალისტობის დასაფარავად სჭირდებათ, აღარ გამოადგებათ. მოსკოვის პროცესის შემდეგ განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანს მენშევიკების შუბლზე სოციალ - ინტერვენტების სისხლიანი ბეჭედი და მას ვერ წაშლის ვერავითარი ძალა, რადგან ეს არის ისტორიული ფაქტი.

გზა რუსეთის მენშევიზმის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგაც იგივე იყო, რაც საქართველოს მენშევიზმისა. ეს გზა თავის დროზე განსაზღვრა ქართველი მენშევიზმის მამამთავარმა ჟორდანიამ — „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები“-ო, განაცხადა მან. და აი, ამ ტრფიალებამ დასავლეთის იმპერიალიზმისადმი ბუნებრივად მიიყვანა მენშევზმი სოციალ - მოღალატეობის იმ საცოდავ და საზიზღარ მდგომარეობამდე, რომლის სურათიც გადაიშალა მოსკოვის პროცესზე.

საქართველოს მშრომელი მასები, რომელთა მეხსიერებაშიაც მოსკოვის პროცესი ანახლებს ძველ, ამ ათი წლის წინად მენშევიკური ბატონობისაგან მიყენებულ ტკივილებს, მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად აქედან შესაფერ დასკვნას გამოიტანებენ — სოციალ - გამცემლების ამ მორიგ ანტისაბჭოთა გამოლაშქრებაზე ისინი უპასუხებენ მუშათა ენტუზიაზმის გასკეცებით სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო მაღალი ტემპების განვითარებისათვის.

გაიხსნა საკავშირო საბჭოთა მე-6 ყრილობა

მოსკოვი, 9 მარტი. 8 მარტს დიდ თეატრში დიდი ზეიმით გაიხსნა საბჭოების მეექვსე სრულიად საკავშირო ყრილობა.

საღამოს 6 საათისათვის თეატრის შენობა გაჭედილი იყო. ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ამხ. **სტალინი, კალინინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, რუძუტაკი, კიროვი** და **პეტროვსკი**. დელეგატები იმათ მხურვალე ტაშით ეგებებიან.

შესავალ სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **კალინინი**.

ამხ. კალინინის სიტყვა

„ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის ცაკის დავალებით, მივესალმები საბჭოების მეექვსე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს (მხურვალე ტაში).

ამხანაგებო, თუმცა ჯერ კიდევ არ გასულა სრული ორი წელიწადი საბჭოების მეხუთე ყრილობის შემდეგ,—განვლო არსებითად მცირე ხანმა, მაგრამ, როდესაც თვალს გადავავლებთ ამ განვლილ გზას, სულ მცირედაც რომ შევაფასოთ იგი, დავინახავთ ჩვენი კავშირის მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩატარებული უდიდესი მუშაობის შედეგს, სახელდობრ, იმას, რომ გაიზარდა ჩვენი მრეწველობა. ზედმეტია ამ ზრდის ხილუსტრაციოდ ფაქტების მოყვანა. ეს ფაქტები კირდაპირ თვალში ხვდება ყველას, ვინც წინასწარ შედგენილი აზრით არ უყურებს საბჭოებს. მრეწველობის ზრდის პარალელურად იზრდება კულტურა ხალხის მასებში, იზრდება აგრეთვე ხელმძღვანელი კადრების კულტურული დონე და ორგანიზატორული უნარი.

მაგრამ ყველაზე დიდ მიღწევას ამ ხნის განმავლობაში წარმოადგენს გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია. თუ ჩვენი მრეწველობის მიღწევებს მივუდგებით ვიწრო ტეხნიკური და, თუნდაც, რაოდენობითი თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ჩვენ მხოლოდ ვეწევით მოწინავე ქვეყნებს. აქ ჩვენ ბევრი რამე გადმოგვაქვს კაპიტალისტურ ქვეყნებიდან, როგორც ტეხნიკის, ისე წარმოების ორგანიზაციის დარგში. სოფლის მეურნეობაში კი საშუალო და ღარიბ გლეხთა მილიონებს შორის ხდება უღრმესი სოციალური რევოლიუცია. აბა განსჯეთ: უწვრილესი გლეხური მეურნეობანი მილიონობით ერთიანდებიან კოლექტივებში, ჰქმნიან საზოგადოებრივ და მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, სადაც უკვე წარმატებით შეიძლება თანამედროვე სასოფლო_სამეურნეო იარაღისა და მექანიკური გამწევი ძალის გამოყენება, სადაც მრავალი ათასი კულაკი—ექსპლოატატორი ჰკარგავს ექსპლოატაციის საშუალებას, სადაც მილიონები თავისუფლდებიან მონობისა და ექსპლოატაციისაგან. ამ ბრძოლის ფონზე ცხოვრება ჰქარგავს განსაცვიფრებელ სურათებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყოველი დაპყრობილი ნაბიჯი, ყოველი წარმატება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში არის ახალი გზების გაკაფვა. აქ ჩვენ არა გვაქვს ნიმუშები, არც არავინაა, რომ დაგვეხმაროს და კონსულტაცია გაგვიწიოს. ჩვენ მივდივართ ყველა ხალხებზე წინ, მათთვის ვწალდავთ სოციალისტური მშენებლობის გზებს სოფლად. ამ დარგში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში 8 ნახ. მილიონი გლეხური მეურნეობა გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. კოლექტივიზაციის ტემპები იზრდება. ეს გვიჩვენებს, რომ ხალხმა ალღო აუღო მეურნეობის მისთვის მისაღებ ფორმებს. ეს კი თავის მხრივ გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გამონახა სწორი გზა გლეხობის მილიონიანი მასების ჩასაბმელად სოციალიზმის აქტიურ მშენებლობაში.

ამხანაგებო! რა გინდ დიდად არ შევაფასოთ მიღწევები, ისტორიულად მათი გადაფასება შეუძლებელია.

ჩვენს ყრილობას ესწრება 1.497 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 767 დელეგატი სათათბირო ხმით. მაშასადამე, ყრილობა უფლებამოსილია.

საბჭოების მეექვსე საკავშირო ყრილობას გახსნილად ვაცხადებ“.

ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება პრეზიდიუმის შემადგენლობაში ამხ-ების ვოროშილოვის, ენუქიძის, კაგანოვიჩის, კალინინის, კიროვის, კისელევის, კოსიორის, კრუპსკაიას, კუიბიშევის, მიქოიანის, პოსტიშევის, პეტროვსკის, ორჯონიკიძის, რუძუტაკის, სტალინის, სკრიპნიკის, სულიმოვის, ჩუბარის, შვერნიკის, იაროსლავსკის და სხვების არჩევას.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში ამხ. სტალინის არჩევას ყრილობა მხურვალე ოვაციით ეგებება. მთელი ყრილობა ფეხზე დგება და დიდხანს უკრავს ტაშს.

ერთსულოვანი ტაშით ირჩევენ ყრილობის თავმჯდომარედ ამხ. კალინინს, მდივნად—ამხ. ენუქიძეს.

ამხ. სკრიპნიკი უკრაინის რადისა და სხვა დელეგაციების სახელით აცხადებს, რომ მოახლოვებულია საგაზაფხულო თესვა სამხრეთის რაიონებში, რომ საჭიროა ყრილობის დელეგატების მონაწილეობა თესვის გატარებასა და გადაუდებელი პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში, ამიტომ წინადადებას იძლევა დღის წესრიგი შემოკლებულ იქნას.

ყრილობა მიზანშეწონილად სთვლის მოხსნილ იქნას დღის წესრიგიდან მოხსენება საბჭოთა მშენებლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის ხ.მ.უ.ს. საბჭოს საანგარიშო მოხსენება მძიმე მრეწველობის შესახებ და სამხედრო_საზღვაო სახალხო კომისარიატის საანგარიშო მოხსენება.

„საკითხი მძიმე მრეწველობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ,—ამბობს ამხ. სკრიპნიკი,—დეტალურად განხილულ იქნა მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე, სადაც ამხ. სტალინმა გარკვეულად დასახა სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების ძირითადი დებულებანი.

რაც შეეხება სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის საანგარიშო მოხსენებას, უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ყველას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებს გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენს წითელ არმიას, ვითვალისწინებთ მის, როგორც სოციალისტური მშენებლობის დამცველის, უდიდეს მნიშვნელობას, ყოველთვის ვუწევდით და შემდეგშიაც გავუწევთ მას მეტად ფართო დახმარებას, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენს წინაშე წამოჭრილია გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები, რომელთა გადაჭრის დროს საჭიროა დელეგატების ძირითადი მასის ადგილებზე ყოფნა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ეს საკითხიც მოიხსნას დღის წესრიგიდან, ამავე დროს უფრო მეტად გავაძლიეროთ ჩვენი ყოველდღიური დახმარება და ზრუნვა წითელი არმიისათვის.

დელეგატები მხურვალე ტაშით ადასტურებენ თავიანთ მზად ყოფნას—დაეხმარონ წითელ არმიას.

ყრილობა იწონებს შემოტანილ წინადადებას დღის წესრიგის შეცვლის შესახებ.

შემდეგ ყრილობა გადადის დღის წესრიგის პირველ პუნქტზე—საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენების მოსმენაზე. სიტყვა ეძლევა ამხ. **მოლოტოვს**. ყრილობა ფეხზე დგება და ხანგრძლივი ტაშით ესალმება სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მოლოტოვს.

პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად განხორციელებით—შემდგომი გამარჯვებებისაკენ სოციალიზმისთვის

ამხ. მოლოტოვის მოხსენება

მოხსენების დასაწყისში ამხ. მოლოტოვი ანალიზს უკეთებს იმ გადამწყვეტ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა საბჭოების მე-5 ყრილობის შემდეგ. რადიკალურად შეიცვალა კლასობრივ ძალთა შეფარდება ჩვენს ქვეყანაში. საბჭოების მე-5 ყრილობა მუშაობდა იმ დროს, როცა სოციალისტურ ელემენტებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადამწყვეტი უპირატესობა ჩვენს მეურნეობაში. კულაკი, რომელიც გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, იმ დროს კონტრშეტევაზე გადასვლასაც კი ცდილობდა. ხოლო პარტიის შიგნით მემარჯვენე ოპორტუნისტებს იერიში მიჰქონდათ პარტიის გენერალურ ხაზზე და ამგვარად ისინი აფერხებდნენ სოციალისტურ შეტევას.

საბჭოების მე-6 ყრილობისათვის ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები მობრუნდნენ სოციალიზმისაკენ. სოციალისტური მრეწველობის სწრაფი ზრდა და მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტების აბსოლუტური უპირატესობა მოწმობს იმას, რომ სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, კლასობრივ ძალთა შინაგანი შეფარდების თვალსაზრისით, სავსებით უზრუნველყოფილია. ხუთწლედის გადამწყვეტ წელიწადს დავამთავრებთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს ჩვენს ქვეყანაში.

ბურჟუაზია, რომელიც ხედავს ჩვენს სწრაფ ზრდას, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ამზადებს ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამიტომ ჩვენ ყოველ წუთში მზად უნდა ვიყოთ სათანადო პასუხის გასაცემად.

იმ დროს, როცა ჩვენ წარმატებით ვაშენებთ სოციალიზმს, კაპიტალისტური ქვეყნები უმაგალითო ეკონომიურ კრიზისს განიცდიან. არაჩვეულებრივი უმუშევრობა სამრეწველო მუშებს შორის, მშრომელთა ფართო მასების მდგომარეობის ძალზე გაუარესება, გლეხობის ფართო ფენების მასიური გაღატაკება,—ყოველივე ეს იწვევს ღრმა კლასობრივ გამწვავებას. და მხოლოდ საბჭოთა კავშირი, პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა, არა თუ კრიზის არ განიცდის, განუწყვეტლივ წინაც მიდის.

კაპიტალისტები მათი ბელადების მეთაურობით იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას შედეგად მოჰყვებოდა საბჭოთა კავშირის ბურჟუაზიული გადაგვარება. ისინი მოსტყუვდნენ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა აღმოჩნდა სამეურნეო მშენებლობის თავისებური მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა განსაზღვრულ სტადიაში გადავსულიყავით გადამწყვეტ შეტევაზე კაპიტალისტური სექტორის წინააღმდეგ. სწორედ 1929 წლის შემოდგომიდან, იმ დროიდან, როცა დაიწყო კულაკების გადამწყვეტი შეტევა, საზღვარგარეთ ჩაღდება გაძლიერებული ანტისაბჭოთა კამპანია: ჯვაროსნული ლაშქრობა, ბრძოლა საბჭოთა „დემპინგის“ წინააღმდეგ და, ბოლოს, კამპანია ეგრეწოდებული „იძულებითი შრომის“ წინააღმდეგ, — ყოველივე ეს ისახავს ერთ მიზანს—საზოგადოებრივი აზრის მომზადებას ინტერვენციისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. მოლოტოვი ციფრებით ამტკიცებს, რომ ჩვენი ექსპორტი ბევრად უფრო ნაკლებია მეფის რუსეთის ომის წინა დროის ექსპორტთან შედარებით. მაგრამ მეფის რუსეთის ექსპორტის წინააღმდეგ არავის არ განუცხადებია პროტესტი. როცა „დემპინგის“ კამპანია ჩაიშალა, საჭირო გახდა ახალი სიცრუე „იძულებითი შრომის“ შესახებ. შრომის ფაქტიური მდგომარეობის შედარება საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟღავნებს ამ სიცრუეს. საბჭოთა კავშირში უმუშევრობა სავსებით მოისპო, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი უმუშევართა რიცხვი 30 მილიონს გასცილდა. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში სამუშაო დღეს 10 საათს აღემატება, ხოლო საბჭოთა კავშირი უკვე გადავიდა 7 საათის სამუშაო დღეზე, ზოგიერთ დარგში კი—6 საათის სამუშაო დღეზედაც. სოცშეჯიბრებაში ამჟამად ჩვენი ქვეყნის მუშათა თითქმის ნახევარი იღებს მონაწილეობას. ასეთი შრომითი აღფრთოვანება შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია.

ამხ. მოლოტოვი ამჟღავნებს ბურჟუაზიული პრესის ცილისწამებას პატიმართა შრომის შესახებ საბჭოთა კავშირში. ამ შრომას არავითარი კავშირი არა აქვს ხე-ტყის დამზადებასთან და რომელიმე საექსპორტო საქონლის წარმოებასთან.

„ჩვენ თანახმანი ვართ,—ამბობს ამხ. მოლოტოვი,— რომ მუშათა დელეგატები, თვით მუშების მიერ არჩეულნი, ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში, რათა დარწმუნდნენ იმაში თუ შრომის როგორი მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ მოვითხოვთ, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ჩვენს მუშებსაც მიეცეთ უფლება გაგზავნონ კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთივე დელეგაციები.

ჩვენ წინასწარ თანახმანი ვართ გამოვაქვეყნოთ როგორც ჩვენში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში მოხდენილი გამოკვლევის მასალა, მაგრამ ჩვენ ეჭვი გვეპარება იმაში, რომ „იძულებითი შრომის“ შესახებ დაწყებული კამპანიის სულისჩამდგმელნი დათანხმდნენ ამაზე“.

ამხ. მოლოტოვი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად იმპერიალისტების ყოველგვარი პროვოკაციისა, გადაუხრელად ანხორციელებდა თავის სამშვიდობო პოლიტიკას და ამ მხრით მან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ამის შემდეგ ამხ. მოლოტოვი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე სხვა ქვეყნებთან.

ინდუსტრიალიზაციის წარმატების და თავდაცვის უნარის გაძლიერების მეოხებით საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პოლიტიკის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს, დღითი-დღე იზრდება საბჭოთა კავშირის, როგორც განთავისუფლებული შრომის ქვეყნის, როგორც მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ნამდვილი ბურჯის, საერთაშორისო მნიშვნელობა. მტრებს სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ჩაშალონ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ლოზუნგი იყო და არის მშვიდობიანობის განმტკიცების ლოზუნგი.

ამხ. მოლოტოვი თავის მოხსენებას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ აშკარად ვეუბნებით საბჭოთა კავშირის მშრომელებს და ყველა ქვეყნის მუშებს, რომ იზრდება საფრთხე მშვიდობიანობის საქმისათვის. ამასთან ჩვენ მტკიცე რწმენას გამოვსთქვამთ, რომ შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ამჟამად მოასწავებს მთავარ საფრთხეს იმათთვის, ვინც გაბედავს მშვიდობიანობის დარღვევას და საბჭოთა კავშირზე თავდასხმას“.

ამხ. მოლოტოვს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით ხშირად აწყვეტინებს სიტყვას, რომელიც მდიდარი იყო ფაქტიური მასალით.

9 მარტს ყრილობა მოისმენს ამხ. მოლოტოვის მოხსენების მეორე ნაწილს, რომელიც ეხება საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას (ადს).

განაჩენი მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის საქმეზე

მოსკოვი, 9 მარტი. უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულო სათათბირო ოთახში იმყოფებოდა 8 მარტის 15 საათსა და და 20 წუთიდან 9 მარტის 16 საათსა და 45 წუთამდე.

9 მარტის 16 საათსა და 45 წუთზე გაიხსნა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალურ საკრებულოს სხდომა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ამხ. **შვერნიკი**, საკრებულოს წევრები — ამხ. **ანტონოვ-სარატოვსკი** და **მურანოვი**.

ამხ. შვერნიკმა წაიკითხა დასაბუთებული განაჩენი მენშევიკების კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციის საქმის გამო.

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ, განიხილა რა სასამართლოს ღია სხდომაზე 1931 წლის 1-დან 9 მარტამდე რ. ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციის „საკავშირო ბიუროს“ საქმე, მიუსაჯა:

ტეიტელბაუმს, რუბინს და **ვოლკოვს**—თვითეულს თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, უფლებების აყრით ორი წლის ვადით.

სოკოლოვსკის, ზალკინდს, ბერლაცკის და **იკოვს** — თვითეულს თავისუფლების აღკვეთა რვა წლით, უფლებების აყრით სამი წლის ვადით.

პეტუნინს, ფინ - ენოტაევსკის, იაკუბოვიჩს, გინზბურგს, სუხანოვს, შერს დაგროძანს — თვითეულს თავისუფლების აღკვეთა ათი წლით, უფლებების აყრით ხუთი წლის ვადით.

განაჩენი საბოლოოა და არ შეიძლება მისი განსაჩივრება.

განაჩენის წაკითხვა გაგრძელდა დაახლოებით ერთ საათს. განაჩენს ხალხით სავსე დარბაზი ტაშით შეხვდა.

სხდომა დაიხურა 17 საათსა და 50 წუთზე. (ადს).

ქალთა საერთაშორისო დღე ბერლინში

ბერლინი, 8 მარტი. ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნა მასიური მიტინგით, რომელსაც რამდენიმე ათასი მუშა ქალი დაესწრო.

გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელმა ულბრეხტმა მიტინგზე ამხილა სოციალფაშისტური ბელადები და რეფორმისტული პროფბიუროკრატები, რომლებიც მხარს უჭერენ კაპიტალის შეტევას და საზიზღრად ღალატობენ მთელ მუშათა კლასის, კერძოდ, მუშა ქალების ინტერესებს.

შემდეგ გამოვიდა რეიხსტაგის კომუნისტი დეპუტატი ქალი ოვერლახი. მან მოუწოდა ყველა მუშა-ქალებს—მონაწილეობა მიიღონ მუშათა კლასის საერთო ბრძოლაში.

ცნობილი პროლეტარული მწერლის ექიმ ფრიდრიხ ვოლფის გამოსვლას შეხვდნენ „როტ ფრონტ“-ის ძახილით. ვოლფი თავის დროზე დაპატიმრებული იყო, მას აბრალებდნენ სისხლის სამართლის კოდექსის მე-218 მუხლის დარღვევას. ამ მიტინგზე ფრიდრიხ ვოლფი გამოვიდა პროტესტით ამ მუხლის წინააღმდეგ, რომელიც აბორტისათვის სასჯელს აწესებს.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ბერლინის მუშა-ქალები პირობას სდებენ, რომ იბრძოლებენ გერმანიის პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებამდე. (ადს).

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ

რეზოლიუცია მიღებული საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4 (თებერვლის) პლენუმის მიერ ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო

1. 1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიამ უნდა უზრუნველყოს ძირითად დავალებათა შესრულება:

ა) მრეწველობის ნედლეულის ბაზის —ტეხნიკური კულტურების გავრცელება და გაფართოვება;

ბ) საბოსტნე კულტურების ნათესების სივრცის გაფართოვება და ამ კულტურების მიზანშეწონილად გავრცელება სამრეწველო ცენტრების გარშემო მუშათა მომარაგების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით;

გ) ჩაის ნარგავების მაქსიმალურად გაფართოვება;

დ) სამრეწველო მესაქონლეობის აღორძინება და განვითარება მუშათა მომარაგების პრობლემის გადასაწყვეტად და მრეწველობის დასაკმაყოფილებლად მესაქონლეობის ნედლეულით.

ამ ამოცანების შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური სექტორის შემდგომი გაფართოებით (საბჭოთა მეურნეობები, კოლექტიური მეურნეობები და სამანქანო - სტრაქტორო სადგურები), საბჭოთა სახელმწიფოს გეგმიან მომწესრიგებელი როლის გადაჭრით გაძლიერებით როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის, ისე ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობების მიმართ საწარმოო კოოპერაციის საშუალებით, ხორბლეული კულტურების (სიმინდი, ხორბალი, ქერი და სხვ.) ტეხნიკური კულტურებით შეცვლით და სათანადო რაიონების უზრუნველყოფით იაფი ხორბლეული პროდუქტების საკმაო რაოდენობით.

2. უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ მოცემული დავალებების შესრულება (1931 წლის 8 იანვრის დადგენილება) მთელი საგაზაფხულო ნათესების 759.400 ჰექტარამდე დაყვანის დარგში და გადიდებულ იქნეს ის შარშანდელთან შედარებით 18 პროცენტით, 25.600 ჰექტარის მელიორაციის შედეგად მიღებული ახალი სივრცის გამოყენების საშუალებით და არსებული სახნავი ფართობის რაც შეიძლება სრულად და მიზანშეწონილად გამოყენებით.

კერძოდ, აყვანილ იქნეს:

ა) ტეხნიკური კულტურების (ბამბა, თამბაქო, ზეთოვანი და ეთეროვანი მცენარეები და სხვ.) ფართობი 129.700 ჰექტარამდე (+200 პროცენტი); კერძოდ ბამბის ნათესების სივრცე 20 ათას ჰექტარამდე (+90 პროცენტი) თამბაქოს —25.990 ჰექტ., სოია —100.000 ჰექტარი, მათგან მთლიანი ნათესი 5.000 .

ბ) ბოსტნების, ბახჩების და კარტოფილის ნათესების სივრცე 43 ათას ჰექტარამდე (+95 პროცენტი);

გ) ხორბლეული კულტურების სივრცე განსაზღვრულ იქნეს 552,5 ჰექტარით (—3 პროცენტი).

უზრუნველყოფილ იქნეს ხეხილის ახალი ნარგავების (სუბტროპიკულ მცენარეებთან ერთად) გაშენება 5,500 ჰექტარზე; მომზადებულ იქნეს ნიადაგი ჩაისათვის 20 ათას ჰექტარზე და მათ რიცხვში ჩაის დათესვა 16.700 ჰექტარზე 1931 წელში.

3. 1931 წელში საბჭოთა მეურნეობების მთელი სივრცე აყვანილ იქნეს 254 ათას ჰექტარამდე, უზრუნველყოფილ იქნეს გლეხთა მეურნეობების 30 პროცენტის ჩაბმა კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო მეურნეობების 100 პროცენტით ჩაბმა სასოფლო - სამეურნეო საწარმოო კოოპერაციაში.

საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ნათესების ხვედრითი წონა გაზაფხულის თესვაში აყვანილ იქნეს 36 პროცენტამდე.

კერძოდ:

ა) ტეხნიკურ კულტურების — 11 პროცენტამდე საბჭოთა მეურნეობებში, 49 პროცენტამდე კოლმეურნეობებში და 60 პროცენტამდე მთელ განსაზოგადოებულ სექტორში;

ბ) ბოსტნების და კარტოფილის — 9 პროცენტამდე საბჭოთა მეურნეობებში, 35 პროცენტამდე კოლმეურნეობებში და 44 პროცენტამდე მთელ განსაზოგადოებულ სექტორში.

გ) ხორბლეულ კულტურების ხვედრითი წონა აყვანილ იქნეს 29 პროცენტამდე განსაზოგადოებულ სექტორში

4. ტეხნიკური და სხვა ძვირფასი კულტურების სწრაფ განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნეს „მესაქონლეობის აღორძინება და სწრაფი განვითარება, უპირველეს ყოვლისა, სპეციალური მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების მოწყობით, ხორბლეული კულტურების საბჭოთა მეურნეობების მსგავსად, მაღალ სასაქონლო საკოლმეურნეო ფერმების მასიურად შექმნის და საკვები ბაზის სწრაფად გაფართოვების გზით“ (საკავშირო კომპ. მე-16 ყრილობა).

1931 წ. საკვები კულტურების ნათესების სივრცე აყვანილ იქნეს 44700 ჰექტარამდე და გადიდებულ იქნეს შარშანდელთან შედარებით 290 პროცენტით; საკვები კულტურების ნათესების ხვედრითი წონა გადიდებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებში 16 პროცენტამდე, კოლმეურნეობებში —34 პროცენტამდე, მთელ განსაზოგადოებულ სექტორში 50 პროცენტამდე.

ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს „სკოტოვოდს“, „ოვცევოდს“ და „სვინოვოდს“ მათი მუშაობის ფართოდ გაშლაში, რისთვისაც სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს საკავშირო კომპარტიის ცეკას 1931 წლის 17 იანვრის დადგენილება.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყოფილ იქნეს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგის აყვანა 28.700 სულამდე, ღორების —35.600 სულამდე და ცხვრების — 101.500 სულამდე.

მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაობა ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ ისინი გადაიქცნენ მსხვილი სასაქონლო მეცხოველეობის ორგანიზატორებად თავის სამოქმედო რაიონში.

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ ის პირუტყვი, რომელიც დამზადებული იქნება 1931 წელში, სოციალისტური სექტორის ჯოგის შესავსებად შემდეგი რაოდენობით: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი დეკეულებთან ერთად —65.000 სული, ღორი —13.000, ცხვარი —20.000 სული.

პირველ კვარტალში გამოყენებულ იქნეს მთელი წლიური დამზადების არა ნაკლებ 70 პროცენტისა, სახელდობრ: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი დეკეულებთან ერთად 45 ათასი სული, ღორი —9 ათასი სული და ცხვარი —14 ათასი სული.

კოლმეურნეობებში სასაქონლო მეცხოველეობის განვითარების მიზნით ყოველმხრივ წაქეზებულ იქნეს პროდუქტიული მესაქონლეობის განსაზოგადოება და დაწესებული იქნეს გეგმიანი დავალებები კოლმეურნეობებისათვის პირუტყვის ჯოგის გასადიდებლად ბუნებრივი ზრდისა და შესყიდვის გზით.

5. ტეხნიკური კულტურების და მესაქონლეობის ყოველმხრივი განვითარების ამოცანები აუცილებლად ხდის საქართველოს დარაიონების ჩატარებას სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით. დაევალოს სახკომსაბჭოს დაამუშაოს რაიონების სპეციალიზაციის საკითხი 1931 წლის ივლისამდე.

6. უზრუნველყოფილ იქნეს არსებული სამი სამანქანო - სატრაქტორო სადგურის და ერთი სამანქანო-სატრაქტორო კოლონის მუშაობა და ახალი სამი სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მშენებლობა ტეხნიკური კულტურების რაიონებში; მათი საერთო სიმძლავრე უნდა უდრიდეს 3.400 გამწევ ძალას. ამ სადგურების და კოლონის მუშაობის უზრუნველსაყოფად ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა საკავშირო კომპარტიის ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის 1931 წლის 19 იანვრის დადგენილების საფუძველზე იმ ანგარიშით, რომ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები გადაიქცნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ - ტეხნიკური რეკონსტრუქციის მძლავრ ფაქტორად.

ამავე დროს გადამწყვეტი ბრძოლა იქნეს წარმოებული ცოცხალი გამწევი ძალის შეუფასებლობასთან, რაც მავნებლობას უდრის, კერძოდ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების რაიონებში, და უზრუნველყოფილ იქნეს მუშა საქონლის სრულიად შენარჩუნება, მისი ხარისხობრივი გაუმჯობესება და რაციონალურად გამოყენება.

7. 1931 წელს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის ხაზით სოფლის მეურნეობისათვის გადადებულ საერთო თანხიდან 50.452.800 მან. (გამოკლებულ იქნეს თანხები კადრებისა და ადგილობრივი და საკავშირო ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის) საკოლმეურნეო სისტემისათვის საწარმოო კრედიტების მისაწოდებლად გამოყოფილ იქნეს 43.727.500 მანეთი, ანუ 87 პროცენტი, კოოპერატიული სისტემისათვის —6.725.300 მანეთი ანუ 13 პროც.; ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის მონაწილეობა ამ თანხებში არა ნაკლებ კრედიტების საერთო თანხის 60 პროცენტისა. სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურებისათვის გამოყოფილ იქნეს 31.774.800 მანეთი ანუ 63 პროცენტი (მათ შორის ჩაის კულტურისათვის 17.278.000 მან. ანუ 34 პროცენტი). და მესაქონლეობისათვის 10.008.900 მან. ანუ 20 პროც.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული 31.669.300 მ. გადაეცეს ტრესტებში გაერთიანებულ რესპუბლიკანურ საბჭოთა მეურნეობებს 21 პროც. რაოდენობით (6.779.000 მან.) ჩაის კულტურისათვის გამოყოფილი იქნეს 66 პროც. (21 მილიონი მან.) და სხვა დარგებისათვის —13 პროც. (3.890.000 მან.).

საკოლმეურნეო - კოოპერატიული სისტემისათვის საწარმოო კრედიტების მიწოდება უნდა მოეწყოს ისე, რომ რაიონებისათვის გამოყოფილი თანხები დამოკიდებული იქნეს მოსახლეობის თანხების მონაწილეობაზე.

8. სოფლის სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ ეტაპზე განუზომლად იზრდება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად დაგეგმვის შესაძლებლობანი.

საჭიროა გადაჭრით ბოლო მოეღოს კონტრაქტაციის მნიშვნელობის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას; კონტრაქტაცია არის მძლავრი საშუალება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად დაგეგმვისათვის, კოლმეურნეობის ორგანიზაციულ - საწარმოო განმტკიცებისათვის, ინდივიდუალური მეურნეობების ჩაბმისათვის სახელმწიფოებრივ - გეგმიანი მოწესრიგების ორბიტაში, საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლისათვის და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისათვის.

ფართოდ იქნეს გაშლილი მუშაობა კონტრაქტაციის დარგში საკავშირო სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილების საფუძველზე „1931 წლის გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ“.

ყველა იმ ღონისძიებებმა, რომელსაც ილებს საბჭოთა სახელმწიფო სოფლისათვის საწარმოო დახმარების გასაწევად (მანქანების მიწოდება, ფინანსების მიწოდება, სათესლე მასალის, მინერალური სასუქების და სხვ. მიწოდება), უნდა უზრუნველყოს არსებული საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიური მეურნეობების საწარმოო განმტკიცება და სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომი გაფართოვება.

ამავე დროს, იმ ღონისძიებების გეგმა, რომლებიც ეხება რაიონების უზრუნველყოფას თესლით, სარგავი მასალით, საშენებელი მასალით, და სხვ., აგებულ უნდა იქნეს ყველა შინაგანი რესურსების მკაცრი მობილიზაციის საფუძველზე. საშენებელი მასალის მწვავე დეფიციტის გამო დაევალოს საბჭოთა მეურნეობებს, სამანქანო სადგურებს, კოლმეურნეობებს და სასოფლო ამხანაგობებს შეიტანონ თავიანთ გეგმებში ადგილობრივი საშენებელი მასალის დამზადება.

9. გაზაფხულის ნათესების გაფართოვების, ტეხნიკური და სხვა ძვირფასი კულტურების და მესაქონლეობის გავრცელების და გაფართოვების ამოცანების შესრულება დამოკიდებულია კოლექტივიზაციის გეგმის შესრულებაზე. „წვრილი გლეხური მეურნეობის პირობებში სპეციალიზაციის სერიოზულად გატარება შეუძლებელია, რაგდან წვრილი მეურნეობა, როგორც მერყევი მეურნეობა, რომელსაც არ გააჩინია აუცილებელი მარაგი, იძულებულია გაშენოს ყველაფერი და ყოველგვარი კულტურები, რომ ერთი კულტურის ზარალის დროს შესაძლებელი გახდეს სხვა კულტურებით გამოსვლა მძიმე მდგომარეობიდან“ (სტალინი).

ტეხნიკური და სხვა ძვირფასი კულტურების და პროდუქტიული მესაქონლეობის განვითარება, აძლიერებს რა კოლექტიური მეურნეობის საქონლიანობას, თავის მხრივ გადაიქცევა ღარიბ - საშუალო მეურნეობათა კოლექტივიზაციის მძლავრ ფაქტორად, რაც არ შეუძლიათ გაიგონ მოწუწუნეებმა და ურწმუნოებმა, რომლებიც ქადაგებენ „ტეხნიკური კულტურების გავრცელების ტემპების შენელებას ჩვენი კოლმეურნეობების სისუსტის გამო“.

10. მზადება გაზაფხულის თესვისათვის და კოლექტივიზაციის გაშლა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, კერძოთ ტემპები მოსამზადებელი მუშაობისა ბამბის, ტეხნიკური კულტურების, ჩაის და ქალაქ-გარეუბნის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა 1931 წლის გეგმების შესასრულებლად ვერ უზრუნველყოფენ დასახული პროგრამის შესრულებას.

აუცილებელია დაუყოვნებლივი გარდატეხა. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გაზაფხულის კამპანიის გეგმის ნამდვილად მიყვანა სოფლამდე, საბჭოთა მეურნეობამდე, კოლმეურნეობამდე, სასოფლო ამხანაგობამდე და ცალკე კომლამდე. საჭიროა ინდივიდუალური მეურნეობების გაერთიანება მთესველთა ჯგუფებში, მათი მიწის ნაკვეთები გაერთიანებულ უნდა იქნეს მთლიან მასივებათ ტეხნიკური კულტურებისათვის (უპირველეს ყოვლისა სამანქანო - სატრაქტორო სადგურების რაიონებში), დადებულ უნდა იქნეს ჯგუფური საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები, მთესველების ჯგუფები უნდა გადაიქცეს სასოფლო ამხანაგობების საწარმოო უჯრედებათ, რითაც უნდა გაუადვილოთ ინდივიდუალურ მეურნეობებს კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა.

უზრუნველყოფილ იქნეს გაზაფხულის თესვის ძირითადი მოსამზადებელი ღონისძიებების (სათესლე და დამზღვევი ფონდების შეგროვება, ტრაქტორების და სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის რემონტი, საკვების გამოყოფა კოლმეურნეობებში მუშა - საქონლისათვის, მიწათმოწყობა, მიწის ნაკვეთების მიზომვა და სხვ.) შესრულება საქართველოს სახკომსაბჭოს 8 იანვრის დადგენილებით დაწესებულ ვადებში; დაწესებულ ვადაზე იქნეს შესრულებული წყალთა მეურნეობის სამუშაოები და აგრეთვე დაწვრილებით იქნეს მომზადებული ორგანიზაციულად მინდვრის სამუშაოებზე გასვლა.

11. გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიაში, რომელიც უნდა შეეხოს სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების და სახეების ყველა სამუშაოებს, აუცილებელია შესრულებულ იქნეს არა მარტო რიცხობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების ამოცანა; გადიდებულ იქნეს კულტურების მოსავლიანობა და მესაქონლეობის პროდუქტიულობა გეგმით გათვალისწინებულ აგროზოოღონისძიებათა გატარების, თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სხვა გზით.

ვინაიდან მოსავლიანობის გადიდების, მთელი რიგი ტეხნიკური, საბოსტნე და საკვები კულტურების და ძვირფას მრავალწლიან ნარგავთა განვითარების გეგმების განხორციელება ამჟამად დაკავშირებულია საჭირო სათესლე და სარგავი მასალის უქონლობასთან, აუცილებელია დაწყებულ იქნეს ხარისხოვანი თესლის მეურნეობის და სანერგეების მოწყობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში იმ ფარგლებში, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს ამ კულტურების განვითარებისათვის აღებული ტემპები.

12. ვინაიდან ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას და აგრეთვე მუშა - ხელის ნაკლებობას შრომისტევადი კულტურების რაიონებში, კვალიფიციური კადრების და მუშახელის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გეგმებს საფუძვლად დაედო სპეცკულტურების გეგმა-შეწონილად განაწილება, უპირველეს ყოვლისა, ტეხნიკური კულტურების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების რაიონებში, დაბალი კვალიფიკაციის კადრების მასიურად მომზადება, მუშა - ხელის არსებულ კადრების რაციონალურად გამოყენება, მუშა-ხელის მოწვევა სხვა რაიონებიდან, ქალთა შრომის მაქსიმალური გამოყენება და განსაკუთრებით ტეხნიკურ და შრომის ტევადიან კულტურების რაიონებში კოლმეურნეთა გეგმაშეწონილი გასვლა გარეშე სამუშაოებზე.

13. ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო - კოოპე-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ინტერვენციის აგენტები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე

რ. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის „საკავშირო ბიუროს“ პროცესი

7 მარტის დილის სხდომა

დამცველ ბრაუდეს სიტყვა

მოსკოვი, 8 მარტი. სასამართლოს დილის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ბრალდებულების ვოლკოვისა და ტეიტელბაუმის დამცველმა ბრაუდემ. დამცველმა პირველყოვლისა აღნიშნა, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ამ საქმის გამო ბრალდებულთა და „სამრეწველო პარტიის“ პროცესის გმირების შორის. ობიექტიურად ერთნაირ მიზნებს ისახავდნენ და ერთი და იმავე გზით მიდიოდნენ როგორც პირველი, ისე მეორე საქმის გამო ბრალდებულნი. მაგრამ აქ, დამცველის სიტყვით, საბრალდებულო სკამზე ზის ისეთი ხალხი, რომელიც სუბიექტიურად დარწმუნებული იყო, რომ რევოლიუციონური გზით მიდიოდა და მხოლოდ ეხლა გაიგო, თუ რა სასტიკად სცდებოდა. ვოლკოვმა, როცა იგი ლაპარაკობდა ბრძოლის მიზეზებისა და მოტივების შესახებ, განაცხადა, რომ „იგი 20 წლის განმავლობაში მენშევიკური პარტიის წევრი იყო და აღნიშნული პარტიის ტრადიციებმა აიძულეს წასულიყო ამ გზით“.

ეს პასუხი,—ამბობს ბრაუდე,—ბევრ რამეს არკვევს. მენშევიკი არის არა მარტო განსაზღვრული პროგრამების მატარებელი, არამედ განსაზღვრული ფსიქოლოგიური ტიპი, რომელმაც თავისი საბოლოო სახე მიიღო ოდესღაც მონათესავე ორი პარტიის—ბოლშევიკებისა და მენშევიკების დროს. ბოლშევიკი—ეს არის ურყევი რწმენა მუშათა კლასის შემოქმედებითი შესაძლებლობისადმი, ეს არის დაუშრეტელი ენტუზიაზმი, რკინისებური ნებისყოფა. მენშევიკი სრულიად საწინააღმდეგო მოვლენაა. ვოლკოვის ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ მან დიდი ხანი დაჰყო მენშევიკურ რიგებში, ხოლო მანამდის იგი იყო მეორე წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიაში, ესერების პარტიაში. თებერვლის რევოლიუციას ვოლკოვი უყურებდა, როგორც დამთავრებულ რევოლიუციას. იგი ცდილობდა შეურიგებელის შერიგებას, ვითომდა რაღაც საშუალო გზით და არ ესმოდა, რომ რევოლიუციაში არ არსებობს საშუალო გზა. საბჭოთა ხელისუფლების გადასვლამ სოციალისტურ შეტევაზე და კონიუნქტურულმა დაბრკოლებებმა, რომელნიც გავლენას ახდენდნენ პირად ცხოვრებაზე, ვოლკოვში შექმნეს განსაკუთრებული განწყობილება და ნიადაგი მოუმზადეს მის შესვლას მენშევიკურ ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ რწმენამ, რომ ინტერვენციის გზა, რომელსაც დაადგა ვოლკოვი, არის გზა მეორე ინტერნაციონალისა, რომლის წინაშეც რუსეთის მენშევიზმი მუდამ მუხლს იდრეკდა. მაგრამ ვოლკოვს,—ამტკიცებს მისი დამცველი,—სრული შესაძლებლობა ჰქონდა, დარწმუნებულიყო, რომ მისი მუშაობა მუშებს შორის უნაყოფოა და რომ ორგანიზაციას ანტიმუშური ხასიათი აქვს. საჭირო იყო მხოლოდ გარედან ზეგავლენა, რომ დარღვეულიყო მისი ფსიქიური ინერცია. სასამართლო თავისი განაჩენით უნდა დაეხმაროს ვოლკოვს, რომ იგი შემდეგში კვლავ გადაიქცეს მუშათა კლასისათვის სასარგებლო ადამიანად.

ბრალდებულ ტეიტელბაუმს ბრაუდე ახასიათებს, როგორც პოლიტიკურად მერყევ კაცს, იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ამიტომ მას არ ჰქონდა საშუალება პირადად თვალყური ედევნებია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მსვლელობისა და წარმატებისათვის. ამასთან რუსეთისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ზედა ფენებთან მუდმივმა ურთიერთობამ და მუშათა კლასის ძალისადმი რწმენის უქონლობამ იგი კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციის წევრად გახადა. ამხ. ბრაუდე სთხოვს სასამართლოს — დაუჯეროს ტეიტელბაუმის მიერ მიცემულ ჩვენებების გულწრფელობას. მისი სახით სასამართლოს წინაშე სდგას ისეთი კაცი, რომელმაც წარსულში თავისი რწმენისათვის მრავალი წლის კატორღა და გადასახლება გადაიტანა. ყველაფერი ის, რაც სასამართლომ მოისმინა, მოწმობს, რომ ბრალდებულში ღრმა შინაგანი გარდატეხა მოხდა. ბრალდებულთა შეცდომებში ჩვენ ვამჩნევთ ღრმა შინაგანი ხასიათის მოვლენას. ის არის დიდი პოლიტიკური გამბედაობის მქონე ადამიანების ცდა—თავი დააღწიონ იმ ჩიხს, რომელშიაც ისინი მოემწყვდნენ.

დამცველ კომოდოვის სიტყვა

„ამ, უეჭველად, ისტორიულ საქმეში,—იწყებს თავის სიტყვას ამხ. კომოდოვი,—არის მთელი რიგი სავსებით ნათელი და უდაო დებულებანი. ერთ-ერთი ასეთი დებულებაა ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მოცულობა. უდაოა ის შეფასება, რომელიც სახელმწიფო ბრალმდებელმა ამ საქმეს და ბრალდებულთა მოქმედებას მისცა.

დამცველი აღნიშნავს, რომ მენშევიკები ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკლებულნი არიან ნამდვილ სოციალურ ბაზას. მუშებს შორის ფართო სოციალური ბაზის უქონლობამ, ბრძოლის დიალექტიკის ძალით, მენშევიკები მიიყვანა იქამდე, რომ მათ ბლოკი შეჰკრეს სხვა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. რევოლიუციისადმი რწმენის უქონლობამ წინასწარ განსაზღვრა მენშევიკების მოქმედება. მათ არ ესმოდათ და არ სწამდათ, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არის არა მარტო დამნგრევი, არამედ შემოქმედი ძალა. მათ არ სჯეროდათ და არ სჯეროდათ, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ოქტომბრის რევოლიუცია პროგრესიული ფაქტორია. აქედან გამომდინარეობდა ბრძოლის სტიმული.

შემდეგ ამხ. კომოდოვი ახასიათებს იმ მოტივებს, რომლებითაც ბრალდებულნი ხელმძღვანელობდნენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებაში. პოლიტიკურ პროცესებში,—ამბობს იგი,—ბოროტმოქმედების მოტივს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუ კაცი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მთელი მსოფლმხედველობა, რომელიც მას ჰქონდა და რომელიც საფუძვლად ედო მთელ მის ცხოვრებას, შემცდარი და ყალბი აღმოჩნდა,—პატიოსანი კაცი, რომელსაც არ უნდა არც თავისი თავის და არც სხვისი მოტყუება, უარჰყოფს ამ მსოფლმხედველობას. სწორედ ამიტომ ამ პროცესში ძირითადი და გადამწყვეტი მომენტია ბრალდებულთა გულწრფელი აღიარება და მათი გადაწყვეტილება — შემდეგში პატიოსნად ემსახურონ საბჭოთა წყობილებას.

ჩემთვის გასაგებია,—ამბობს ამხ. კომოდოვი,—ეჭვის ბუნებრივი გრძნობა, რომელიც სასამართლოს უნდა ჰქონდეს ბრალდებულთა აღიარებისადმი. მაგრამ პროფესორ ფინ-ენოტაევსკის მიმართ, რომელსაც მე ვიცავ, ყოველგვარი საფუძველი მაქვს დავუშვა, რომ მისი აღიარება გულწრფელი იყო. 1905 წლამდე იგი ბოლშევიკი იყო და საპატიმროშიაც იჯდა თავისი რწმენისათვის. ფინ-ენოტაევსკი არ განიცდიდა მენშევიკური ტრადიციების გავლენას. მისი ინდივიდუალური მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ბოლშევიკების იდეური ზეგავლენით. 1915 წელს იგი ჩამოშორდა პრაქტიკულ პოლიტიკურ მოღვაწეობას და მეცნიერულ მუშაობას მიჰყო ხელი. მას არა აქვს პოლიტიკური მებრძოლის ტემპერამენტი. მასზე მხოლოდ ფორმალურად ვრცელდება ის მუხლის მოქმედება, რომელიც მას წაყენებული აქვს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დიდი ხნით ადრე დაპატიმრებამდი ნებაყოფლობით ჩამოშორდა „საკავშირო ბიუროს“. ყველა ამას მე მივყავარ იმ დასკვნამდე, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ გულწრფელ აღიარებასთან, რომელმაც უნდა დასძლიოს სასამართლოს სავსებით ბუნებრივი ეჭვი.

ბრალდებულ გრომანის დასაცავი სიტყვა

შემდეგ დასაცავ სიტყვას ამბობს გრომანი.

დასაცავი მე არაფერი მაქვს,—ამბობს გრომანი,—რადგან უკვე ვაღიარე ჩემი დანაშაული და სასამართლოს პროცესის განმავლობაში ვცდილობდი გამომეაშკარავებია ყველაფერი, რაც ვიცოდი მენშევიკური ორგანიზაციის და მეორე ინტერნაციონალის კონტრრევოლიუციონური მოქმედების შესახებ.

მაგრამ ჩემი როლი ორგანიზაციაში მოითხოვს განვმარტო ის მიზეზები, რომელთაც მე მიმიყვანეს იმ შეცდომამდე და მძიმე დანაშაულამდე, რომელიც დღეს სასამართლოს განხილვის საგანს შეადგენს.

გრომანი სასამართლოს მოუთხრობს მენშევიზმის ისტორიას, მის ბრძოლას ბოლშევიზმთან და იმას, თუ თანდათან როგორ მოექცნენ მენშევიკები კონტრრევოლიუციის ჭაობში.

1928 წელი ჩვენი დანაშაულებრივი გზის დასაწყისია,—ამბობს გრომანი,—ეს ის მომენტია, როცა ჩვენ დავიწყეთ მოლაპარაკება „მშრომელ გლეხთა პარტიასთან“ კონდრატიევის სახით. ამ დროს ჩამოვიდა აბრამოვიჩი და გაგვაცნო ინტერვენციის მთლიანი კონცეპცია, რომელიც წინად გვქონდა ჩვენ გაგონილი დანისაგან და წაკითხული „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ში და კაუცკის „გეზელშაფტ“-ში. აბრამოვიჩი ამბობდა, რომ ინტერვენცია აუცილებელია და ჩვენ მეორე ინტერნაციონალის წევრებმა, აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ მასში და რომ ამ გზით ჩვენ მოვახდენთ კომინტერნის ლიკვიდაციას.

ეხლა მე უნდა გადავიდე ყველა იმის შეფასებაზე, რაც გაკეთდა. საბრალმდებლო დასკვნაში და ბრალმდებლის სიტყვაში მოცემული კვალიფიკაცია, ჩემი ეხლანდელი აღიარების თვალსაზრისით, სამართლიანი და სწორია. ისტორიული როლი შეფასებულია ისე, როგორც შეფასებული უნდა იყოს.

შემდეგ გრომანი მოუთხრობს სასამართლოს თავის ბიოგრაფიას 15 წლის ჰასაკიდან.

თავის მუშაობის შესახებ უკანასკნელ წლებში გრომანი ამბობს:

ჩემი მუშაობის დასაწყისში მე კომუნისტურ პარტიასთან ერთად ვცდილობდი მეურნეობის აღდგენას, მაგრამ მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პირველ ნიშნებისთანავე დავადექი მტრულ პოზიციას, რის შედეგაც ჩემი ბრძოლის მეთოდებმა თანდათან უფრო აქტიური ხასიათი მიიღეს და მე მივედი იმ დანაშაულებრივ მოქმედებამდე, რომელსაც დღეს სავსებით ვაღიარებ.

მთელი ის ავტორიტეტი, რომელიც შევიძინე საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად მუშაობის პერიოდში, მე გამოვიყენე საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად, გამოვიყენე მავნებლური მუშაობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციისთვის და ინტერვენციის საქმისთვის.

საბჭოთა აპარატში ყალიბდებოდნენ განსაზღვრული ძალები. კონიუნქტურულ საბჭოში, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელიც მე ვიყავი, ერთიმეორეს უახლოვდებოდნენ „სამრეწველო პარტიის“ მომავალი წევრები და მომავალი მენშევიკები. თავდაპირველად მენშევიკურ ცენტრიდან ზოგიერთები ორივე ჯგუფისაგან იმიჯნებოდნენ. მაგრამ პარტიის მობრუნების მომენტიდან, 1926 წლიდან, ჩვენ უკვე დავიწყეთ მათთან მოლაპარაკება და შეთანხმებასაც მივაღწიეთ. 1928 წელი უკვე მავნებლობაზე გადასვლაა, ხოლო 1929 წელი კი ინტერვენციისათვის მხარის დაჭერაზე გადასვლა.

მე შევიგნე მუშათა კლასის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა მთელი სიღრმე. მე მივხვდი, თუ რა იყო ჩემი დანაშაულების წყარო. ეს წყაროა, მეცნიერული ტერმინებით რომ ვსთქვათ, მეცნიერულ-რევოლიუციონურ სოციალიზმისაგან მიბრუნება რეფორმისტულ-ოპორტუნისტულ სოციალიზმისაკენ. ამის შეგნებამ მიმიყვანა მე იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა განიარაღება, საჭიროა იმის თქმა, რომ ჩვენ ვართ იმ მიმდინარეობის წარმომადგენელნი, რომელმაც დაჰკარგა არსებობის უფლება. ჩვენ ვიყავით იმათთან, ვინც ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებსა და მიზნებს. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს უკვე ნათელია, როგორც დღე. საბჭოთა ქვეყანაში აღარ არიან მუშა-მენშევიკები. დასავლეთში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშები, რომელნიც მიჰყვებიან რეფორმისტულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მსოფლიო პროლეტარიატი ახლა მიიღებს მასალას, რომლის მიხედვითაც იგი შეაფასებს, თუ რამდენად საშიშარია მისთვის სოციალ-გამცემლობის იმ ფაქტის განმეორება, რომელიც ჩადენილ იქნა მსოფლიო ომის დროს. მე მხედველობაში მაქვს ინტერვენციის მოწყობა პირველი მუშური სახელმწიფოს წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს წინააღმდეგ, იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც სოციალიზმს აშენებს.

უზენაესმა სასამართლომ უნდა დააწესოს სოციალური დაცვის ზომა ჩემს მიმართ. მე მხოლოდ შემიძლია უთხრა უზენაეს სასამართლოს, რომ თუ მაჩუქებენ სიცოცხლეს, მთელს ჩემს ძალღონეს და ცოდნას მოვახმარებ იმას, რომ ვიმუშაო პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებლად. შეიძლება იმ მკაცრ პირობებში, რომლებშიაც მე საბჭოთა ხელისუფლება ჩამაყენებს. ამ მუშაობის შესაძლებლობის გარეშე ჩემთვის სიცოცხლე არ მინდა. ჩემთვის საჭიროა ოდნავ მაინც გამოვისყიდო ის დანაშაული, ის უდიდესი მძიმე ბოროტმოქმედება, რომელიც მე, როგორც კონტრრევოლიუციონური მავნებლური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ჩავიდინე კონტრრევოლიუციონურ პარტიებთან ბლოკის შეკვრით და ინტერვენციის მზადებით. თუ, ვიმეორებ, მე მაჩუქებენ სიცოცხლეს, მე მას მოვიხმარ, მხოლოდ, რომ ოდნავ მაინც გამოვისყიდო ეს ჩემი უდიდესი დანაშაული. ბრალდებულ გრომანის სიტყვამ ორ საათს გასტანა.

ბრალდებულ სუხანოვის დასაცავი სიტყვა

დასაცავ სიტყვაში სუხანოვი დაწვრილებით აღნიშნავს თავის შეხედულებებს რუსეთისა და საერთაშორისო მენშევიზმზე. სუხანოვი ამბობს:

თანამედროვე მენშევიზმი გამომდინარეობს მთელი თავისი ისტორიული წარსულიდან. ოქტომბრის რევოლიუციაში მენშევიკებს არ უღალატნიათ თავიანთ თავისთვის. იმპერიალისტური ომის დროს მენშევიკები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას, რაც არსებითად მოასწავებდა ხელისუფლების კაპიტულიაციას შინაგანი კონტრრევოლიუციის და ინტერვენტების წინაშე. თანამედროვე მენშევიზმი ბურჟუაზიული, კაპიტალისტური საზოგადოების საფუძველია: საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მუშათა მასებში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს იდეების გამტარებელი აპარატია. სოციალ-დემოკრატიის გარეშე ამჟამად კაპიტალის ქვეყანაში შეუძლებელია მართვა-გამგეობა.

სუხანოვი ამბობს, რომ მან ეხლა ნათლად შეიგნო, რომ სოციალ-დემოკრატიის ისტორიულ მისიას კაპიტალის დიქტატურის განმტკიცება წარმოადგენს.

შემდეგ სუხანოვი გადადის რუსეთის მენშევიკების იმ პლატფორმის შეფასებაზე, რომელიც მათ 1924 წელს მიიღეს, და რომელიც ეხლაც მოქმედობს, და აღნიშნავს, რომ ამ პროგრამაში მენშევიკები მიზნად ისახავენ, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ, დაუბრუნონ კაპიტალისტებს ფაბრიკა-ქარხნები, ხოლო მემამულეებს—მიწა, სახელმწიფოს ხელში კი სტოვებენ იმას, რაც ცარის წყობილების დროს იყო.

ინტერვენციისათვის მხარის დაჭერა გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიის მთელი პოლიტიკიდან და ბუნებიდან. საერთაშორისო და რუსეთის მენშევიზმის ისტორიული ამოცანა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მოსამზადებლად მდგომარეობს იმაში, —ამბობს სუხანოვი,—რომ მოსპოს ის მთავარი დაბრკოლება კაპიტალისტებისთვის, რომელიც ხელს უშლის მათ დაიწყონ სამხედრო გალაშქრება პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ. მენშევიკები ცდილობენ საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში ყოველნაირად გაუტეხონ სახელი და ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს, მის მთავრობას, მის პოლიტიკას და მის მეურნეობას და დაარწმუნონ მუშები პროლეტარული დიქტატურის დამხობის აუცილებლობაში.

„ფორვერტს“-ი (საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო), — ამბობს ბრალდებული,—ყველაზე უფრო მტრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთელს დედამიწაზე. „ფორვერტს“-ს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მასალას აწვდიან რუსეთის მენშევიკები. ეს ნამდვილი ინტერვენციონისტული მუშაობაა, რომელიც შესრულებაში სწორედ სოციალ-დემოკრატებს ახასიათებს.

სუხანოვი ანალიზს უკეთებს თავის როლს, თავის განწყობილებას და რწმენას საბჭოთა ხელისუფლების დროს და ამბობს, რომ სამხედრო კომუნიზმს იგი ძალზე მტრულად შეხვდა და უდიდეს ბოროტებად სთვლიდა მას. განაგრძობდა რა მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დროს, იგი მტრულად უყურებდა ამ ხელისუფლებას; ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ იგი რამდენადმე „გამომარცხენდა“, რადგან საბჭოთა ხელისუფლების კაპიტალისტურ გადაგვარების იმედი ჰქონდა, მაგრამ, როცა საბჭოთა ხელისუფლება სოციალისტურ შეტევაზე გადავიდა, იგი ამ იმედსაც ჰკარგავს.

სუხანოვი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს თავისი „მერყეობის“ შესახებ, იგი ჯერ პირდაპირ და აშკარად უჭერდა მხარს კონტრრევოლიუციას, შემდეგ ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ხოლო კვლავ კონტრრევოლიუციას უჭერდა მხარს. სუხანოვი ამბობს, რომ „1928 წელს ის მზად იყო დაკავშირებოდა მენშევიკებს, ესერებს, კულაკებს და თვით ეშმაკსაც კი, ოღონდ საბჭოთა ხელისუფლება დაემხო“.

ამიტომ იგი, გრომანის წინადადებით, შევიდა მენშევიკების კონტრრევოლიუციონურ მავნებლურ ორგანიზაციაში. ეს,—ამბობს სუხანოვი,—ბოროტმოქმედებაზე მეტი იყო, ეს იყო შეცდომა.

ამით ამთავრებს სუხანოვი თავის სიტყვას. იგი იმედს გამოსთქვამს, რომ თავისი შეცდომის შინაარსს სასამართლოს უკანასკნელ სიტყვაში განუმარტავს.

სხდომა საღამომდე შესწყდა.

7 მარტის საღამოს სხდომა

სასამართლოს 7 მარტის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა მხარეთა კამათი. დასაცავ სიტყვებით გამოვიდნენ ბრალდებულნი: შერი, გინზბურგი, იაკუბოვიჩი, ზალკინდი და რუბინი. ისინი დაწვრილებით მოუთხრობენ სასამართლოს თავიანთ კონტრრევოლიუციონური მუშაობის შინაარსს და სიტყვებს ამთავრებენ თავიანთ ბოროტ-მოქმედებათა აღიარებით.

ყველა ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან დაჰყარონ იარაღი მუშათა კლასის წინაშე.

სხდომა დაიხურა 24 საათზე.

სასამართლო მოისმენს კიდევ 4 ბრალდებულის დასაცავ სიტყვას, აგრეთვე ბრალდებულთა უკანასკნელ სიტყვებს.

ბრალდებულ შერის სიტყვა

მოსკოვი, 9 მარტი. ბრალდებული შერი ლაპარაკობს თავის პოლიტიკურ გზის შესახებ და ამბობს, რომ ეს გზა იყო მენშევიზმის გზა, მუშათა კლასის ინტერესების თავიდან ბოლომდე ღალატის გზა. ბრძოლა ბურჟუაზიასთან ბლოკისათვის 1905 წელს და „ობორონცული“ ტაქტიკა მსოფლიო ომის დროს, მილიუკოვის და ტერეშჩენკოს კადეტური მთავრობისათვის მხარის დაჭერა, აქტიური ბრძოლა ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ 1917 წლის ოქტომბერში, საიდუმლო და ბლოკი კონტრრევოლიუციონურ პარტიებთან და ინტერვენციისათვის მხარის დაჭერა,—ასეთი იყო მენშევიზმის გზა, ასეთივე იყო შერის გზა.

მენშევიკური ორგანიზაციის მთელი კონტრრევოლიუციონური მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სწარმოებდა მენშევიკების საზღვარგარეთული დელეგაციის დირექტივებით და მე-2 ინტერნაციონალის პირდაპირი მხარის დაჭერით,—ამბობს ბრალდებული.—ამ პროცესმა ცხადჰყო, რომ მენშევიკური ორგანიზაციის კონტრრევოლიუციონური მუშაობის ყველა ძირითადი საკითხების შესახებ „საკავშირო ბიურომ“ მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრისაგან მიიღო დირექტივები.

ის კონტრრევოლიუციონური ბოროტ-მოქმედებანი, რომლებიც ჩავიდინე მე, არის მენშევიზმის ბოროტ-მოქმედებანი. ყოველმა მენშევიკმა უნდა იცოდეს, რომ იმ ბრძოლის ლოღიკას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აუცილებლად მივყავართ კონტრრევოლიუციონურ მუშაობისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. ყოველი მენშევიკი მტერია მუშათა კლასის, მტერია სოციალისტური მშენებლობის, მენშევიზმი გადაიქცა კონტრრევოლიუციონურ პარტიად, მისგან მხოლოდ აბრა დარჩა, მე შევიგნე, რომ მივდიოდი არა სწორი გზით, ბოროტ-მოქმედების გზით, მუშათა კლასის წინააღმდეგ.

დასასრულ, შერი სთხოვს უზენაეს სასამართლოს, მისცეს მას საშუალება გაატაროს დარჩენილი სიცოცხლე სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ბრალდებულ გინზბურგის სიტყვა

1917 წლამდე ბრალდებული გინზბურგი მუშაობდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში. ოქტომბრის რევოლიუცია გინზბურგისათვის „სახიფათო ექსპერიმენტი“ იყო. იგი ფიქრობდა რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს საფუძველი სოციალისტური მშენებლობისათვის.

გადამწყვეტმა სოციალისტურმა შეტევამ აიძულა მენშევიკები დაეწყოთ აქტიური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ გარდაიქცა, და უნდა გადაქცეულიყო კიდეც, ბრძოლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკური ორგანიზაცია იმედს ამყარებდა კაპიტალისტური ურთიერთობა აღდგენაზე საბჭოთა კავშირში. მემარჯვენე გადახრამ საკავშირო კომპარტიაში მენშევიკებს გაუღვიძა კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვების იმედი, მე-2 ინტერნაციონალში შემავალი მენშევიკების საზღვარგარეთულ დელეგაციის დირექტივები გარკვევით მიუთითებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე.

მიუხედავად მენშევიკების მავნებლურ მუშაობისა, საბჭოთა კავშირში წარმატებით ფართოვდება სოციალიზმის მშენებლობა, არსებობს ყველა შესაძლებლობა მშენებლობის წარმატებისათვის.

ჩვენ აღვმართეთ ხელი პროლეტარული დიქტატურის წყობილების წინააღმდეგ, ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეშალა სოციალისტური მშენებლობა, — ამბობს ბრალდებული გინზბურგი,—გარდა ამისა, მოიპოვებიან კიდევ ელემენტები, რომლებიც ეხლაც განაგრძობენ ამავე საქმეს. ამ პოლიტიკას დაჟინებით ახორციელებს მეორე ინტერნაციონალი. მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა ოდნავი პასიურობაც არ უნდა გამოიჩინოს ამ მოღალატური პოლიტიკის მიმართ. კაპიტალისტური ქვეყნების მუშები სტოვებენ მეორე ინტერნაციონალს, რომელიც მხარს უჭერს საფინანსო ბლოკადას, გაძლიერებულ აგიტაციას ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამზადებს ინტერვენციას საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

მე სავსებით ვაღიარე ჩემი ბოროტმოქმედებანი მუშათა კლასის წინაშე, მე შევიგნე მთელი ის უდიდესი ზიანი, რომელიც კონტრ-რევოლიუციონურმა მენშევიკურმა ორგანიზაციამ მიაყენა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას.

ბრალდებული გინზბურგი სთხოვს სასამართლოს—მისცეს მას საშუალება მთელი დარჩენილი სიცოცხლე შესწიროს რევოლიუციის საქმის სამსახურს.

ბრალდებულ იაკუბოვიჩის დასაცავი სიტყვა

იაკუბოვიჩი დაწვრილებით შეჩერდა იმ აზრებსა და მოტივებზე, რომელთა გავლენითაც იგი დაადგა მუშათა კლასის ღალატის გზას.

— მე,—ამბობს ბრალდებული—ფაქტიურად ვუჭერდი მხარს ინტერვენციას და შეპყრობილი ვიყავი ერთი აზრით: ინტერვენციის დროს ხელისუფლებას დაპატრონება ყველაზე უფრო აქტიურად მომქმედი ჯგუფი; იგი გადატრიალების მომენტში შესძლებს ხელისუფლების დაპყრობას და შენარჩუნებას. ამიტომ მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გაერთიანება წინანდელ ამხანაგებთან მენშევიკური პარტიიდან, რათა ჩვენ თვითონ გვეცადა ხელისუფლების დაპყრობა. და აი, შევედი ორგანიზაციაში. ინტერვენციის გარდა, ჩვენ იმედს ვამყარებდით კომპარტიის დაშლაზე, მაგრამ კომპარტია არ დაშლილა. ჩვენ დაგვებადა აზრი—გაგვემწვავებინა ნგრევის მოვლენები, რათა ამით შეგვექმნა პირობები და დაგვეჩქარებინა პარტიის დაშლა შეტევისა და გადატრიალების მომენტში.

ჩვენ ვერასოდეს ვერ გავბედავდით მავნებლობის ტაქტიკის გამოყენებას, რომ მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრის ხელმძღვანელი მითითებები არ გვქონოდა.

ჩვენ, მენშევიკები, ხომ ვერასოდეს ვერ ვიჩენდით გამბედაობას ჩვენს მოქმედებაში. მაგრამ ვერც საზღვარგარეთული დელეგაცია, რომელმაც ნათელი კატეგორიული დირექტივა მოგვცა მავნებლობის შესახებ, საკუთარი რისკით ვერ გაბედავდა ასეთ მოქმედებაზე გადასვლას, რომ ამ შემთხვევაშიაც არ მიეღო მას მეორე ინტერნაციონალის დასტური და ლოცვა-კურთხევა. შეიძლება მოიძებნოს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც აშკარად აძლევენ წინადადებას რუსულ სექციას—გამოიყენოს მავნებლობის ტაქტიკა და ინტერვენცია.

მეორე ინტერნაციონალი შეეჩვია მონაწილეობის მიღებას მაღალ პოლიტიკაში, იგი მონაწილეობას იღებს ერთა ლიგაში და შეეჩვია იმოქმედოს მეტერნიხისა და ტალეირანის სკოლაში ჩამოყალიბებულ, დიპლომატიის საშუალებით—იგი სიტყვით სარგებლობს იმისათვის, რომ დაფაროს თავისი აზრები.

მაგრამ სიცრუე იქნება, თუ მთელ პასუხისმგებლობას ჩვენ მარტო საზღვარგარეთული ცენტრის წევრებს დავაკისრებთ, პასუხისმგებლობა ეკისრება მათაც და ჩვენც, ვინაიდან მათ არ გავუგონებდით, რომ ჩვენ თვითონ არ ვყოფილიყავით მზად საზღვარ-გარეთიდან მოსული დირექტივების მისაღებად.

ასეთია იმ იდეების ჯამი,—ამბობს იაკუბოვიჩი,—რომელთა ზეგავლენითაც ჩვენ ჩავდიოდით კონტრ-რევოლიუციონურ-მავნებლურ ინტერვენციონისტულ მოქმედებას.

დასასრულ ბრალდებული აცხადებს, რომ იგი სავსებით ჰყრის იარაღს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და ინანიებს თავის დანაშაულს მუშათა კლასის წინაშე.

ბრალდებულ ზალკინდის დასაცავი სიტყვა

ზალკინდი თავის სიტყვას იწყებს იმაზე მითითებით, რომ მისთვის უფრო ძნელია ლაპარაკი, ვიდრე ბრალდებულთა უმრავლესობისათვის, რადგან მან თავისი პოლიტიკური მუშაობა დაიწყო ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

ზალკინდი დაწვრილებით შეჩერდა თავისი პოლიტიკური კრედოს ევოლიუციაზე რევოლიუციის წინა წლებში და ამბობს:

მე მალე ჩამოვშორდი ბოლშევიკებს, ვინაიდან ჩემი ინტელიგენტური ბუნებით ვერ მივიღე ბოლშევიკური ფორმულა პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურის შესახებ.

შემდეგ იგი მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ დაიწყო ბოლშევიზმით და გაათავა კონტრ-რევოლიუციონური ინტერვენციონისტული ჭაობით. ახალი ეკონომიური პოლიტიკა თავდაპირველად სავსებით ეთანხმებოდა მის მსოფლმხედველობას, მაგრამ მთელი მისი მსჯელობის შეცდომა,—ამბობს ზალკინდი,—გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აფასებდა, როგორც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების და კაპიტალიზმის აღდგენისაკენ მიმართულ ხაზს.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების რეკონსტრუქციის პერიოდზე გადასვლის მომენტს ბრალდებული სთვლის საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავის დამოკიდებულების გარდატეხის მომენტად.

— ჩემი შემდგომი ბედი,—ამბობს იგი,—უკავშირდებოდა მენშევიკური ორგანიზაციის ბედს, ის გზა, რომელიც განვლო „საკავშირო ბიურომ“, განვლე მეც.

დასასრულ ბრალდებული მიუთითებს თავის სრულ შინაგან განიარაღებაზე.

ბრალდებულ რუბინის დასაცავი სიტყვა

რუბინი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ მენშევიკურ ზრახვებს სამი სასტიკი ლახვარი ჩაეცა. პირველ ლახვრად ბრალდებული სთვლის 5 წლიანი გეგმის წარმატებას, რომელიც მიღწეულ იქნა მიუხედავად მენშევიკების ყოველგვარი გესლიანი წინასწარმეტყველებისა. მეორე ლახვარი კოლექტივიზაციის წარმატებაა, რომლის განხორციელებისაგან მენშევიკური ორგანიზაცია კატასტროფიულ შედეგებს მოელოდა და რომლის წარმატებამაც ძირი გამოუთხარა მენშევიკების ყველა თეორიებს. ბოლოს მესამე ლახვარს წარმოადგენს მენშევიკური ორგანიზაციის სრული გადაგვარება და სოციალისტური ილუზიების სრული გაქარწყლება.

მე მსურს,—ამბობს დასასრულ ბრალდებული რუბინი,—სავსებით განვიარაღდე არა მარტო ჩემ წარსულ პოლიტიკურ მუშაობაზე ხელის აღების მხრით, არამედ განვიარაღდე იდეურადაც. მე მივედი ღრმა და მტკიცე რწმენამდე, რომ მენშევიკური იდეოლოგია, რომელიც უარჰყოფს ოქტომბრის რევოლიუციის და საბჭოთა მშენებლობის სოციალისტურ ხასიათს, თავიდან ბოლომდე ყალბი და მავნებლურია.

8 მარტის დილის სხდომა

ბრალდებულ სოკოლოვსკის დასაცავი სიტყვა

სხდომა განახლდა ბრალდებულ სოკოლოვსკის დასაცავი სიტყვით.

მენშევიკების იმედი ბოლშევიზმის კატასტროფაზე საბჭოთა კავშირში, გაშლილ სოციალისტურ შეტევასთან დაკავშირებით, დამარცხდა. მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრის დირექტივების ზეგავლენით და მეორე ინტერნაციონალის მხარის დაჭერით მენშევიკურმა ორგანიზაციამ დაიწყო მავნებლური მუშაობა, კონტრ-რევოლიუციონურ პარტიებთან ბლოკის შეკვრა და ინტერვენციაზე იმედის დამყარება.

დასავლეთ ევროპის და საბჭოთა კავშირის მუშათა მასები მენშევიკებს არ მიჰყვებოდნენ. ფარულად ჩვენ მხარს ვუჭერდით ინტერვენციას, მაგრამ აშკარად სოციალისტურ პლატფორმაზე უნდა დავმდგარიყავით.

ბრალდებული აღიარებს ყველა თავის დანაშაულს მუშათა კლასის წინაშე. საკითხი დასმულია პირდაპირ: ან აშკარად ბურჟუაზიასთან ყოფნა, კაპიტალიზმის აშკარა რესტავრაციისათვის მხარის დაჭერა, ან კეთილსინდისიერი მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში. მე სავსებით ვყრი იარაღს და ვთხოვ უზენაეს სასამართლოს, მომცეს საშუალება აქტიური მონაწილეობა მივიღო სოციალისტურ მშენებლობაში.

ბრალდებული იკოვი თავის დასაცავ სიტყვაში ლაპარაკობს იმ მჭიდრო კავშირზე, რომელიც არსებობდა „საკავშირო ბიუროს“ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობასა და მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრის შორის. მეორე ინტერნაციონალის ხაზი არის საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და ინტერვენციისათვის მხარის დაჭერის ხაზი.

მენშევიზმი სავსებით დამარცხებულია. მე სამუდამოდ ვსწყვეტ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან მე ბოლომდე განვლე მთელი გზა და პარტიასთან ერთად ჩიხში მოვემწყვდიე. მენშევიკების მოღალატურ მუშაობას ოდნავადაც არ უჭერენ მხარს მუშათა მასები.

ბრალდებული სთხოვს სასამართლოს, მისცეს მას საშუალება—გამოიყენოს თავისი ცოდნა სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის.

ბრალდებულ პეტუნინის სიტყვა

ბრალდებული პეტუნინი სავსებით აღიარებს თავის ბოროტმოქმედებას მუშათა კლასის წინაშე.

ჩვენ,—ამბობს იგი,—აღმოვჩნდით ბარიკადების იქითა მხარეზე, პროლეტარიატის მტრების ბანაკში და მუშათა კლასის მოღალატეებად და გამცემლებად გადავიქეცით. კონტრ-რევოლიუციონური მენშევიკური ორგანიზაცია იბრძოდა კაპიტალიზმის დასამყარებლად საბჭოთა ქვეყანაში, ამაში მას აქტიურ დახმარებას უწევდნენ ხელმძღვანელობის და სახსრების მიწოდებით მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრი და მეორე ინტერნაციონალი.

ბრალდებული სთხოვს სასამართლოს მისცეს მას საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მშენებლობაში.

ბრალდებულ ბერლაცკის სიტყვა

ბრალდებული ბერლაცკი ამბობს, რომ მან გაიარა მთელი მენშევიკური სკოლა, ამ სკოლაში იგი აღიზარდა იმგვარად, რომ არ სწამდა მუშათა კლასის ძალა, არ სწამდა მუშათა კლასის გამარჯვების შესაძლებლობა, არ სწამდა მუშათა კლასის შემოქმედებითი უნარი. მაგრამ, რადგან ლეგალურ გამოსვლებს არავითარი შედეგი არ მოჰყვა, ბერლაცკი გადავიდა არალეგალურ კონტრრევოლიუციონურ მავნებლურ მუშაობაზე და შევიდა მენშევიკურ ორგანიზაციაში. მხოლოდ ეხლა ესმის მას მის მიერ მუშათა კლასის ინტერესების ღალატის მთელი სიღრმე.

მე შევიგნე,—ამბობს ბერლაცკი,—რომ ერთად ერთი სწორი ხაზი მუშათა კლასის ინტერესების სასარგებლოდ არის საბჭოთა ხელისუფლების ხაზი. მე გულწრფელად და პატიოსნად ვამბობ, რომ საბჭოთა ქვეყანა, არის სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა.

ბერლაცკი სთხოვს სასამართლოს, თუ მას სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ, მისცენ საშუალება შესწიროს მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი გამოცდილება და მთელი თავისი ცოდნა მუშაობას სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ.

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვა

შემდეგ სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

პირველად ლაპარაკობს სუხანოვი.

იგი კვლავ შეჩერდება თავის განწყობილებაზე და რწმენაზე და ამბობს, რომ ცხოვრებამ, და ფაქტებმა მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ იგი არ იყო მართალი და რომ ახლა სავსებით დარწმუნდა იმაში, რომ პროლეტარული დიქტატურა მოწოდებულია განახორციელოს დიადი ისტორიული ამოცანები. —

მე მწამს,—რომ საკავშირო კომპარტიამ (ბ) თავისი მეთოდებით, თავისი ორგანიზაციით, თავისი პოლიტიკით, გაიმარჯვა.

მე არ შემეძლო, როგორც ბევრ ჩემს ამხანაგს,—ამბობს ბრალდებული ვოლკოვი,—მისულიყავი განიარაღებამდე თეორიული აწონ-დაწონვით და ღრმა სოციალ-პოლიტიკური ანალიზით. მე სხვანაირად ამეხილა თვალი. უკანასკნელ ხანს მე უკვე მამძიმებდა ის პირობები, რომლებშიაც მოვიდი. უკვე ვაწარმოებდი მოლაპარაკებას სამუშაოდან ჩემი განთავისუფლების შესახებ.

მაგრამ მთავარი ფაქტორი, რომელმაც დამაყენა განიარაღების გზაზე და დამანახა ის კონტრ-რევოლიუციონური ჭაობი, რომელშიაც მენშევიზმი ჩაეფლა, იყო „სამრეწველო პარტიის“ პროცესი. მე ცხადათ დავრწმუნდი, მენშევიკურ ორგანიზაციასთან ერთად როგორ გადავიჩეხე უფსკრულში.

მე ვთხოვ სასამართლოს, შეამსუბუქოს ჩემი ამხანაგების ბედი და პირადად ჩემი, და მოგვცეს საშუალება აქტიური მონაწილეობა მივიღოთ გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში.

ბრალდებული ფინ-ენოტაევსკი აცხადებს, რომ მას სდევნის სირცხვილის და შერცხვენის გრძნობა. —

სიტყვა მონანიება,—სუსტი სიტყვაა,—ამბობს იგი. მე ვსთხოვ უზენაეს სასამართლოს, მომცეს საშუალება ვიმუშაო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის და მსოფლიო პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ბრალდებული ტეიტელბაუმი იგონებს პლეხანოვის სიტყვებს: „არსებობენ ორგანიზაციები, რომელთა უდიდესი დანაშაულიც ისტორიის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არსებობენ“. ასეთი კატეგორიის ორგანიზაციას აკუთვნებს ბრალდებული მენშევიკურ კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციას. ჩემი სიცოცხლის ერთად-ერთი ამოცანა,—ამთავრებს თავის სიტყვას ტეიტელბაუმი,— მდგომარეობს იმაში, რომ ვაწარმოო დაუზოგავი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც მე ვსცნობ მუშათა კლასის ყველაზე ბოროტ, ყველაზე საშიშ მტრებად—მენშევიკების წინააღმდეგ.

ბრალდებული გრომანი კვლავ ლაპარაკობს თავის სრულ და გულწრფელ განიარაღებაზე და დასასრულ ამბობს: დე, სასამართლომ გადასწყვიტოს—ყოველივე იმის შემდეგ, რაც იცის ჩემ შესახებ, აგრეთვე სასამართლოს პროცესის დროს ჩემი ყოფაქცევის შეფასების შემდეგ, შეიძლება თუ არა ამ ჩემი განცხადების დაჯერება, და მომცეს საშუალება ვიცხოვრო და ვიმუშაო საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ.

მე ვადასტურებ,—სთქვა **გინზბურგმა,**—ჩემს განცხადებას, რომ მე მზად ვარ მთელი ძალღონე შევსწირო სოციალისტურ მშენებლობას და ბრძოლას მსოფლიო რევოლიუციისათვის. თუ სასამართლო შესაძლებლად დაინახავს შემინარჩუნოს სიცოცხლე, პირობას ვსდებ, რომ ამ სიცოცხლეს, მთლიანად შევსწირავ სოციალისტურ მშენებლობას.

მე უკვე ვსთქვი,—ამბობს **იაკუბოვიჩი,**—ჩემს ვრცელ დასაცავ სიტყვაში, თუ როგორ მივედი კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციაში მონაწილეობამდე და როგორ ვუყურებ ეხლა ამ მუშაობას. ჩემი სიცოცხლის ბედის გადაწყვეტას პროლეტარულ სასამართლოს ვანდობ.

მე ერთხელ კიდევ მინდა ვუთხრა სასამართლოს,—ამბობს **ზალკინდი,**—სიცოცხლის შენარჩუნება ჩემთვის, თუ საშუალება არ მექნება, მივიღო მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში, უარესია, ვიდრე სიკვდილი.

ჩემთვის, ისევე, როგორც სხვა ბრალდებულებისათვის,—ამბობს **რუბინი,**—სიცოცხლეს არა აქვს ფასი, თუ არ ვიმუშავებ. გთხოვთ, მომცეთ შესაძლებლობა კვლავ განვიცადო იმ ადამიანის გრძნობა, რომელიც ჯიუტად და უიმედოდ არ იბრძვის პროლეტარული შრომისა და ენტუზიაზმის ძლიერი ნაკადის წინააღმდეგ, რომელიც მიდის ამ ნაკადთან ერთად, მთელ თავის ძალას და ცოდნას სწირავს მას და თავის თავს სთვლის თუნდაც პატარა სასარგებლო ნაწილად. —

ბრალდებული **სოკოლოვსკი** ამბობს:

მე ვსთხოვ სასამართლოს მხედველობაში მიიღოს, რომ დავწვი ყველა მენშევიკური ხიდები. მე ვერ წარმომიდგენია ჩემი შემდგომი ცხოვრება ისე, თუ არ ვიმუშავე მუშათა კლასისა და სოციალისტური მშენებლობისათვის.

მე ყველაფერი ვსთქვი ჩემს დასაცავ სიტყვაში,—ამბობს **ბერლაცკი,** — დავსძენ მხოლოდ, რომ მე მეტად დიდი სურვილი მაქვს მოვახმარო მთელი ჩემი ენერგია, მთელი ჩემი ძალღონე და ცოდნა მუშათა კლასის და მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს სამსახურს.

ბრალდებულები **იკოვი,** შერი და პეტუნინი უარს ამბობენ უკანასკნელ სიტყვებზე.

3 საათსა და 20 წუთზე სასამართლო გადის სათათბიროდ.

განაჩენს უნდა ველოდეთ 9 მარტის დილის 10 საათისათვის.

„მუშებს ჰყავთ მხოლოდ ერთი პარტია— ბოლშევიკების პარტია“

„კრასნი პუტილოვეც“-ის მუშათა ჯგუფის — ყოფილი მენშევიკების განცხადება

ლენინგრადი, 9 მარტი. „კრასნი პუტილოვეც“-ის მუშათა ჯგუფმა, ყოფილმა მენშევიკებმა გამოუშვეს მოწოდება კაპიტალისტური ქვეყნების ყველა მუშა სოციალ-დემოკრატების მიმართ.

„ჩვენ, „კრასნი პუტილოვეც“-ის მუშებმა, ყოფილმა მენშევიკებმა,—ნათქვამია მიმართვაში,—დიდი ხანია კავშირი გავწყვიტეთ ამ პარტიასთან, ვინაიდან ჩვენ შევიგნეთ საკუთარი კლასის ნამდვილი რევოლიუციონური ინტერესები, შევიგნეთ, რომ ეს „სოციალისტური მუშათა პარტია“, დაახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში აკეთებდა მხოლოდ იმას, რომ კაპიტალიზმის საზიზღარ სამსახურს უწევდა. მენშევიკები წარმოადგენენ საერთაშორისო იმპერიალიზმის სისხლისმსმელ ძაღლებს, ისინი იყვნენ შიმშილის ორგანიზატორები, ისინი იდგნენ სამოქალაქო ომის წლებში კონტრრევოლიუციის რიგებში, ისინი იყვნენ ბლოკადისა და შეიარაღებული ინტერვენციის ორგანიზატორები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სუხანოვებს, გრომანებს, რამზინებს, ლარიჩევებს ერთი ბატონი ჰყავთ —სულთმობრძავი კაპიტალიზმი. მუშებს ჰყავთ მხოლოდ ერთი პარტია—ეს არის ბოლშევიკ - ლენინელების პარტია“.

რატიული ორგანიზაციების აპარატის მუშაობის გარდაქმნას ზევიდან ქვევით იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომელიც დასმულია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

ერთ - ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნილებათ უნდა ჩაითვალოს კონკრეტული ხელმძღვანელობის განხორციელება თვითეული რაიონის, სოფლის მეურნეობის თვითეული დარგისა და კულტურის მიმართ და ფაქტიური შესრულების შემოწმება, როგორც მნიშვნელოვანი ამოცანა — წამოყენებულ იქნეს საკითხი რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებების მოწყობის შესახებ; ეს განყოფილება უნდა გახდეს რაიონულ ცენტრად, რომელმაც უშუალოდ უნდა გაატაროს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

14. გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ამოცანების შესრულება მოითხოვს საბჭოების მუშაობის ისე გარდაქმნას, რომ მათ ნამდვილად იბრუნონ პირი კოლმეურნეობებისაკენ, სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანებისაკენ და გაატარონ კულაკობის გაძლიერებული შეზღუდვის და განდევნის პოლიტიკა; ამავე დროს ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ ღარიბთა და მოჯამაგირეთა ორგანიზაციების განვითარებას, რითაც უნდა მოამზადონ ნიადაგი მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისა და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

„იმისათვის, რომ ნამდვილად ჩატარდეს საბჭოების მუშაობის საფუძვლიანი გარდაქმნა, აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს პარტიის ლენინური ხაზის უეჭველად გატარება საბჭოების ორგანოების მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ დამახინჯებათა გარეშე“ (საკავშირო კომპარტიის ცეკას დეკემბრის პლენუმი).

ამჟამად მემარჯვენე ოპორტუნისტული გადამახინჯებანი თავის გამოხატულებას ჰპოვებენ მისწრაფებაში „საკოლმეურნეო მოძრაობის ნებაყოფლობითი ხასიათის საბაბით უარი სთქვან კოლმეურნეობებში ლტოლვის ნამდვილ ორგანიზაციაზე“ (საკავშირო კომპარტიის ცეკა), წინააღმდეგობის გაწევაში საბჭოთა სახელმწიფოს გეგმიან - მომწესრიგებელი როლის გაძლიერებისათვის სოფლის მეურნეობაში, მესაქონლეობის და ტექნიკური კულტურების ყოველმხრივი განვითარების პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებისათვის; ამასთანავე ეს წინააღმდეგობა ხშირად დაფარული იქნება თვალთმაქცობით.

პარტიამ შეუსუსტებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს მემარჯვენე დამახინჯებათა, როგორც სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელი ეტაპის მთავარი საშიშროების, წინააღმდეგ და ამავე დროს არ უნდა შეასუსტოს ყურადღება იმ „მემარცხენე“ ცდებთან ბრძოლისადმი, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზაციისაკენ მიმართული ნამდვილი მუშაობის შეცვლა ადმინისტრატიული ძალდატანების ღონისძიებებით (საკავშირო კომპარტიის ცეკა).

15 გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატების გადამწყვეტი პირობაა საწარმოო აგიტაციის და მასიური მუშაობის რაც შეიძლება ფართოდ გაშლა.

სასოფლო - სამეურნეო კამპანიის კონკრეტული ამოცანების განხორციელების გარშემო დარაზმულ უნდა იქნენ ყველა პარტიული, საბჭოთა-სამეურნეო, კოოპერატიულ-საკოლმეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აგრეთვე პრესის ორგანოები.

უმაღლეს საფეხურზე უნდა იქნეს აყვანილი მასიური საწარმოო მუშაობის და შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ყველა ფორმები.

მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის ამოცანები არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს „თვითმიმდინარეობით“, „სტიქიურად“. „ამ ამოცანების გადაწყვეტის გზაზე სდგანან დიდი სიძნელენი, რომელთა გადალახვა მოითხოვს უდიდეს ორგანიზაციულობას, დისციპლინას და სახელმწიფოებრივ-სამეურნეო და კოოპერატიული აპარატის ყველა საფეხურების მუშაობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას; აუცილებელია გეგმიანი საწყისის, გეგმიანი დისციპლინის გადაჭრით შეტანა სამეურნეო განვითარებაში და მშრომელთა ფართო მასების აქტიურობის და შრომითი ენტუზიაზმის — სოცშეჯიბრების, დამკვრელობის და შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმის შემდგომი ზრდა. 1931 წელი გადამწყვეტი წელია ლოზუნგის — „ხუთწლიანი გეგმა 4 წლიწადში“ — განხორციელების საქმეში“ (საკავშირო კომპარტიის ცეკას დეკემბრის პლენუმი).

ფულადი სახსრების მობილიზაციის სუსტი ხელმძღვანელობისათვის

სამუშაოდან მოიხსნა გურჯაანის რაიკომის მდივანი

საქ.კ.პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის დადგენილება

გურჯაანის რაიონის მიერ სახსრების მობილიზაციის შესახებ ცნობების არ წარმოდგენისა და ამ მობილიზაციის საქმეში ხელმძღვანელობის არ გაწევისთვის, მოიხსნას სამუშაოდან რაიპარტკომის მდივანი ამხ. ჩხარტიშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჩიტალაძე და გადაიგზავნონ ისინი ქვედა სასოფლო სამუშაოზე.

სახსრების მობილიზაციის საქმის რწმუნებულს გურჯაანის რაიონში ამხ. ბურდულაძეს მიეთითოს თავის მოვალეობებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებაზე.

მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 8 მარტი. სავაჭრო წრეების ორგანოს „ჯორნალ ოფ კომერს“-ს ოტავიდან (კანადა) ატყობინებენ, რომ კანადის მთავრობის მიერ საბჭოთა საქონლის შეტანის აკრძალვა გამოიწვია კანადის პრემიერ ბენეტსა და ჰუვერის მთავრობას შორის დადებულმა შეთანხმებამ. ბენეტი, როგორც ამტკიცებენ, შეუთანხმდა ამერიკის მთავრობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები აკრძალავდა საბჭოთა ხე-ტყისა და ხის მასის შეტანას, მაშინ კანადასაც თავის მხრივ უნდა აეკრძალა საბჭოთა ანტრაციტის შეტანა, რის ნაცვლადაც იგი მიიღებდა ამერიკის ანტრაციტს. „ჯორნალ ოფ კომერს“-ი აღნიშნავს, რომ აკრძალვის დაწესებამ გავლენა მოახდინა, ალბად, აგრეთვე კათოლიკური ეკლესიის მკაცრმა ანტისაბჭოთა პოზიციამ კანადაში. გაზეთის სიტყვით, ხე-ტყისა და ქაღალდის წარმოების მრეწველები, აგრეთვე ზოგიერთი საბანკო ფირმები იწონებენ ღონისძიებებს საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ბეწვეულისა და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილებათა დამამზადებელი მრეწველების წარმომადგენლები ამ ღონისძიებას უარყოფითად უყურებენ (ადს).

„მოახლოვდა ძველი მსოფლიოს აღსასრული“

ნოვოროსიისკი, 8 მარტი. საბჭოთა კავშირში „იძულებითი შრომის“ ზღაპრის საპასუხოდ, კუზბასში მომუშავე გერმანელმა არქიტექტორმა მაიმ გაზეთ „შახტერსკაია ტრევოგა“-ში (ლენინსკი) მოათავსა წერილი: „იწყება ძველი მსოფლიოს აღსასრული“.

მაი სწერს, რომ მან დასავლეთი ევროპა დასტოვა ეკონომიური დაცემის მძიმე უღლის ქვეშ. საბჭოთა კავშირის ხალხი, რომლის კულტურულ განვითარებასაც ასი წლობით აფერხებდნენ, რამდენიმე წლის განმავლობაში გმირული თავდადებით წყალობით პირდაპირ ზეადამიანურ საქმეს აკეთებს. ყველა, ვინც ქვეყნიერებას ბრმად არ შეჰყურებს, გრძნობს, რომ ახლოვდება ახალი ეპოქა, იწყება ძველი სოციალური სისტემის აღსასრული“.

მაი ამბობს, რომ მან დასტოვა სანქციებოდ მორთული კაბინეტები და ამჟამად აღფრთოვანებით სწირავს მთელ თავის ძალასა და ცოდნას ხუთწლიანი გეგმის გუმბერაზული განზრახვების განხორციელებას. „ჩემთვის სიამაყედ გადაიქცა—ამბობს მაი, — გავაკეთოთ შეუძლებელი“ (ადს).

ხიქსი და ჩერჩილი დამარცხდენ

ლონდონი, 8 მარტი. „ბრიტანეთის ვაჭრობის დაცვის კავშირი“-ს მიერ მოწყობილი მიტინგი სრული მარცხით დამთავრდა. დამსწრეებმა დარბაზში ადგილების ორი მესამედი ძლივს დაიჭირეს. კარებს იცავდა საიდუმლო პოლიციის სპეციალური რაზმი. სადგომის შიგნით და გარეთ იდგნენ პოლიციელთა ძლიერი პატრულები. მიუხედავად ამისა, მრავალმა მუშამ მოახერხა შენობაში შესვლა.

ჯოინსონ ხიქსს, რომელმაც გახსნა მიტინგი და წარმოსთქვა სიტყვა, შეხვდნენ ძახილით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“. დაუყოვნებლივ გაჩნდნენ ფაშისტები; ისინი ცდილობდნენ გაეძევებიათ დარბაზიდან ის მუშები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ხიქსს ლაპარაკის დროს. ბრძოლა გაგრძელდა მიტინგის დამთავრებამდე. აურზაურში ინთქმებოდა ორატორების ხმები; მათ სრულებით ვერ შესძლეს აუდიტორიის ყურადღების დაპყრობა.

ხიქსის მსგავსად დამარცხება განიცადა ჩერჩილმაც, რომელიც დასცინოდა ობსტრუქციის მონაწილეებს და ამბობდა: „მათ ეძლევათ პრემია იმისათვის, რომ გარეთ იქნან გაძევებულნი“.

რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებიდან უპირატესი ხელისშეწყობის პუნქტის ამოშლას, გამოტანილ იქნა ნახევრად დაცარიელებულ დარბაზში, იქ მყოფი მუშები მას შეხვდნენ ძახილით საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მიტინგის შემდეგ რამდენიმე ას მუშა შეგროვდა ქუჩაში და გამართა დემონსტრაცია, დემონსტრანტები მღეროდნენ რევოლიუციონურ სიმღერებს, სანამ მათ ალყა არ შემოარტყა პოლიციამ, რომელმაც მუშების წინააღმდეგ კეტებს მიმართა.

ცნობილი ინგლისელი მრეწველი მეტკაფი, რომელიც მეთაურობდა ინგლისის სამრეწველო დელეგაციას საბჭოთა კავშირში. „მანჩესტერ გარდიან“-ის ფურცლებზე სასაცილოდ იცავს „ვაჭრობის დაცვის კავშირს“ (ადს).

ლოკაუტი ნორვეგიის ქაღალდის მრეწველობის 66 საწარმოში

სტოკჰოლმი, 8 მარტი. როგორც ასლოდან იტყობინებიან, ნორვეგიის ქაღალდის მრეწველობის მრეწველებმა 15 მარტს 66 საწარმოს ყველა მუშებს ლოკაუტი გამოუცხადეს.

მრეწველები მოითხოვენ განაკვეთის საგრძნობად შემცირებას (ადს).

ინგლისური ფაშიზმის პარტია

ლონდონი, 8 მარტი. ინგლისში დაიწყო გიტლერიზმის ტენდენციების საორგანიზაციო ფორმაში ჩამოყალიბება. თემთა პალატის წევრის მოსლის მიერ დაარსებული „მოქმედების ახალი პარტია“ არა თუ თავისი პროგრამით, არამედ იმ ელემენტების შემადგენლობითაც, რომლებიც მას ემხრობიან, ყალიბდება, როგორც ინგლისური ფაშიზმის პარტია. ლეიბორისტებთან ერთად მოსლის პარტიას უერთდებიან კონსერვატორებიც (ადს).

საუკეთესო პასუხი მეორე ინტერნაციონალს

სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკური ძალების საკავშირო გაერთიანების წერილიდან ამხ. სტალინისადმი.

მოსკოვი, 8 მარტი. სამეცნიერო და საინჟინერო - ტექნიკური ძალების საკავშირო გაერთიანებამ ამხ. სტალინს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

„სამრეწველო პარტიამ“, მენშევიკებმა და სხვა კონტრ-რევოლიუციონერმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის საგრძნობი ნაწილი წარმოადგენს გაშიშვლებულ ფრონტს, ეს გარემოება გამოიყენეს მავნებლური და კონტრ-რევოლიუციონური მუშაობისათვის და ინტერვენციის მოსამზადებლად. მენშევიკების შეთქმულების საპასუხოდ საბჭოთა ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება მუშათა კლასს საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო მეტ ძალ-ღონეს იკრებს იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასები დაეუფლონ მეცნიერებას.

თქვენმა გამოსვლამ, ამხანაგო სტალინ, განსაკუთრებით შეუწყო ხელი მასიურ მოძრაობას ტექნიკის დაუფლებისათვის. მაგრამ ჩვენ სრული რევოლიუციონური გულახდილობით უნდა ვსთქვათ, რომ პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საინჟინერო-ტექნიკური ძალების საკავშირთაშორისო ბიუროს და სამეცნიერო მუშაკების სექციების მუშაობა (გამოტოვებულია) არ შეეფერება ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანებს. ტექნიკის დაუფლებისათვის მუშაობის ორგანიზაციულად განხორციელების და ძალების სწორი განაწილების მიზნით, სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკ. ძალების საკავშ. გაერთიანებას საჭიროდ მიაჩნია შეიმუშაოს 1931 წ. მუშაობის მთლიანი გეგმა. მთლიან გეგმაში უნდა შედიოდეს სამეცნიერო-ტექნიკური პოპულიარული ლიტერატურის შექმნა, დაუსწრებელი სწავლების ორგანიზაცია, ქარხნების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების, საკოლმეურნეო უნივერსიტეტების და კურსების მოწყობა, სემინარების და საუბრების გამართვა, საწარმოო საინსტრუქტორო მუშაობის და დამკვრელი ბრიგადებისა და მუშათა გამომგონებლობისათვის ტექნიკური დახმარების, ორგანიზაცია, ტექნიკური აგრომინიმუმების დამუშავება, და სხვა. სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკური ძალების საკავშირო გაერთიანება კისრულობს საჩვენებელი ტექნიკური კონსულტაციის მოწყობას საბჭოთა კავშირის მთელ რიგ საწარმოებში. კომკავშირის სარაიონო სახლებთან სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკური ძალების საკავშირო გაერთიანება მოაწყობს მუდმივ ტექნიკურ კონსულტაციას და კისრულობს მთელ რიგ ვალდებულებებს სამეურნეო მუშაკებისათვის მოკლევადიანი ტექნიკური კურსების მოწყობის და საცდელ-საჩვენებელი კურსებისა და საწარმოთა ტექნიკურ-საწარმოო წრეებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკური ძალების საკავშირო გაერთიანება აცხადებს ყველა თავისი წევრების მობილიზაციას და, მე-2 ინტერნაციონალის საპასუხოდ, რომელიც ცდილობს საბჭოთა ინტელიგენცია გადააქციოს კაპიტალიზმის მონად, უფრო მეტ ძალ-ღონეს მოიკრებს მუშათა კლასთან ერთად, საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით, ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში.

წერილს ხელს აწერენ აკადემიკოსები: **ბახი, კელერი, ზერნოვი, მარი, პალადინი, ვოლფსონი და ვავილოვი;** პროფესორები: **იარილოვი, ტულაიკოვი, ზბურსკი, ზავადოვსკი, ზელინსკი და სხ.** და მთელი რიგი ინჟინერები, აგრონომები, სამეცნიერო მუშაკები და ასპირანტები.

კომკავშირის შეფობა სამხედრო-საავიაციო ფლოტზე

გუშინ საქ. კომკავშირმა შეფობა აიღო სამხედრო-საჰაერო ფლოტზე. შეფობის აღებასთან დაკავშირებით თბილისის ქუჩებში გაიმართა კომკავშირელთა სამხედრო-საჰაერო ნაწილების დიდი დემონსტრაცია, რომელმაც 2 საათს გასტანა.

საღამოს 7 საათზე ქართ. სახელმწიფო დრამატ. თეატრის დარბაზში გაიმართა საქ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება, სადაც დაიდო ოფიციალური ხელშეკრულება საქ. კომკავშირის ცეკას და ა.-კ. სამხედრო-საჰაერო ფლოტს შორის.

აქტივის სხდომაზე მოხსენებით—საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და კომკავშირის ამოცანების შესახებ გამოვიდა ა.-კ. წითელ-დროშოვან არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ლენრაიონის „26“ კომუნ. რაიონის, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიონის და კომკავშირის ორგანიზაციების, თავდაცვა-ავიაქიმის პიონერთა და სხვ. წარმომადგენლები.

კომკავშირის მიერ სამხედრო საჰაერო ფლოტზე შეფობის აღებასთან დაკავშირებით საქ. კომკავშირის სახელობის წყალქვეშა ნავის ასაგები ფონდის გასაძლიერებლად აქტივზე „26“ კომუნარების რაიონის კომკავშირის ორგანიზაციამ შემოიტანა 758 მანეთი, ორჯონიკიძის სახ. კომკავშირის ორგანიზაციამ 900 მანეთი და ამავე რაიონის პიონერ-ორგანიზაციამ 200 მანეთი.

მ-წ. 10 მარტს, საღამოს 7 საათზე, მოხდება

მარქსიზმისა და ლენინიზმის

ინსტიტუტის საზეიმო გახსნა

საკუთარ შენობაში, რუსთაველის პროსპ. № 21.

სხდომაზე დასწრება შეიძლება ინსტიტუტის გამგეობის მიერ დაგზავნილ მოსაწვევი ბარათებით, ხოლო ასპირანტებს უფლება აქვთ დაესწრონ თავიანთი პირადობის მოწმობებით.

თებერვლის საწ.-საფინანსო გეგმა საქ. მრეწველობამ მხოლოდ 70,9 პროც. შეასრულა

დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ჩამორჩენა, გადაჭარბებით დავფაროთ დანაკლისი

დაუნდობელი ბრძოლა ოპორტუნისტებს, — რომელთა მიზეზითაც ფერხდება საწ.-საფ. გეგმის შესრულება

ყველა ძალ ღი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ცნობებს საქართველოს რესპუბლიკური მრეწველობის მუშაობის შესახებ თებერვალში. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ მრეწველობის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მრეწველობამ მთელ რიგ დარგებში არა თუ ვერ დაფარა იანვრის დანაკლისი, არამედ საგრძნობლად ჩამორჩა თებერვლის გეგმის შესრულების მხრივაც. საქართველოს ს.მ.უ.ს. სისტემაში გაერთიანებულ მთელ რესპუბლიკანურ მრეწველობას თებერვალში უნდა გამოეშვა 5.164.679 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი გამოუშვა მხოლოდ 3.631.747 მანეთის პროდუქცია. დანაკლისი გამოიხატება 1.532.932 მანეთის პროდუქციაში. **თებერვლის საწარმოო-საფინანსო გეგმა საქართველოს მრეწველობამ შეასრულა 70,9 პროცენტით, ანუ 29,1 პროც. ჩამორჩენით.**

თუ ავიღებთ მრეწველობის ცალკე დარგებს, გეგმის შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: მძიმე მრეწველობამ გეგმა შეასრულა 62,2 პროც., მსუბუქმა მრეწველობამ კი — 74,9 პროცენტით. ეს ციფრები მოწმობენ, რომ მძიმე მრეწველობა ჩამორჩა მსუბუქ მრეწველობას მაშინ, როდესაც სულ საწინააღმდეგო მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი.

რით უნდა ავხსნათ მრეწველობის ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა?

უპირველეს ყოვლისა აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნედლეულის დროზე და საკმაო რაოდენობით მოუმარაგებლობამ, კერძოდ, ეს უნდა ითქვას ლითონის დამმუშავებელ და ტყავის მრეწველობაზე, რომლებმაც თვიური დავალება შეასრულეს პირველმა—35,2 პროცენტით, ხოლო მეორემ—61,3 პროც. ნედლეული საკმაო რაოდენობით არ ეძლეოდა აგრეთვე ალებასტრის და თაბაშირის მრეწველობას, რომელმაც თებერვლის გეგმა შეასრულა მხოლოდ 29,2 პროცენტით, ტყავის ქარხნები არ იყო საკმაოდ მომარაგებული არც ნედლეულით, არც ექსტრაქტებით და არც მთრიმლავი ნივთიერებებით. მაგალითად, ტყავის პირველ ქარხანამ ნედლი ტყავეულობა მიიღო გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 41 პროც., მთრიმლავი ნივთიერებები არ მიუღია 62 პროც. რაოდენობით, ხოლო ექსტრაქტები 65 პროც. რაოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი საწარმოები ნედლი მასალის გარდა სათბობი მასალის ნაკლებობასაც განიცდიდნენ. ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო გეგმების შეუსრულებლობას.

თუ ანალიზს გაუკეთებთ მძიმე მრეწველობის მუშაობას დავინახავთ, რომ მძიმე მრეწველობის არც ერთ დარგს არ შეუსრულებია მთლიანად თებერვლის გეგმა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წყლის წარმოებას, რომელმაც გეგმა შეასრულა 10 პროც. გადაჭარბებით.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მსუბუქ მრეწველობაში, თუმცა ისიც საგრძნობლად ჩამორჩება გეგმის ვარაუდებს. მსუბუქი მრეწველობიდან მხოლოდ აბრეშუმის საქსოვმა წარმოებამ შეასრულა გეგმა გადაჭარბებით, დანარჩენი დარგები ჩამორჩნენ გეგმებს.

ამრიგად, მრეწველობის თებერვლის კონიუნქტურა არა თუ არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, არამედ ის შეშფოთებასაც იწვევს პირველი კვარტალის გეგმის შესრულების მხრივ, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ იანვრის გეგმის შესრულებაც დააკლდა მნიშვნელოვანი ნაწილი.

ეს გვავალებს ავსტეხოთ განგაში ამ საშიშროების შესახებ, ფეხზე დავაყენოთ მთელი მუშათა კლასი, რომ შეურიგებელი ძალით შეუტიოთ დაბრკოლებებს და მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღმოვფხვრათ ჩამორჩენა.

მაგრამ ობიექტიური მიზეზების გარდა იყო სუბიექტიური მიზეზებიც, რომლებმაც შეაფერხეს გეგმების შესრულება. ეს არის მემარჯვენე ოპორტუნიზმი პრაქტიკაში, საწარმოების მუშაობის შეგნებულად ჩაშლა. ნედლეულის უქონლობის გამო შეჩერდა თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშაობა. ეს უჩვეულო მოვლენაა საბჭოთა სინამდვილეში. საქ. კ.პ. (ბ) ლენინრაიკომმა გამოარკვია ეს საკითხი და აღმოაჩინა, რომ ამაში დამნაშავეა თამბაქოს ტრესტის ადმინისტრაცია და თამბაქოს ფაბრიკების „სამკუთხედი", რომლებიც მოქმედებენ თვითმიმდინარეობას და არ მიიღეს ზომები ნედლეულის მომარაგებაში არსებულ დაბრკოლებების გადასალახავად. ასე ჩაშალეს ოპორტუნისტებმა თამბაქოს ფაბრიკების მუშაობა.

მუშათა კლასი უდიდეს აქტივობას იჩენს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში და შემხვედრი გეგმების წამოყენებით ცდილობს ბოლშევიკურად დააჩქაროს ხუთწლიანი გეგმის შესრულება. ამ დროს ზოგიერთ საწარმოებში მოკალათებული ოპორტუნისტები შეგნებულად აფერხებენ ჩვენს მუშაობას. მათ მიმართ არ შეიძლება ადგილი ექნეს რაიმე ლმობიერებას.

მრეწველობის ჩამორჩენა თებერვალში ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანას — გავაძლიეროთ სიფხიზლე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ფრონტზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნედლეულის დამამზადებელ ორგანიზაციებს, რადგან მათი სუსტი მუშაობა ხელს უშლის საწარმოების გეგმების შესრულებას. ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულება საწარმოების მუშაობაში.

იანვარ-თებერვლის დანაკლისი დაუყოვნებლივ უნდა დავფაროთ. უახლოეს დღეებმა გადამწყვეტი გარდატეხა უნდა მოგვცენ ამ მხრივ. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა უნდა შესრულდეს, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა. ამის თავდები მუშათა კლასის უდიდესი ენთუზიაზმი და ლენინური პარტიის სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

ლ. მ—ძე.

სტალინელები კვლავ ჩამორჩენ

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის ორთქლმავალთა ამწყობ საამქროს იანვრის გეგმით აღდგენითი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 1 ორთქლმავალი, გამოუშვა ერთი. მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 4 ორთქლმავალი, გამოუშვა 2, გეგმა შესრულდა 50 პროც. საშუალო შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 22 ორთქლმავალი, გამოუშვა 17, გეგმა შესრულდა 77,3 პროცენტით. ამრიგად, იანვრის დავალიანება 7 ორთქლმავალით გადმოვიდა თებერვალში.

თებერვლის გეგმით საამქროს მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 5+2 ორთქლმავალი (ორი ორთქლმავალი იანვრის დავალიანებაა), გამოუშვა 8, გეგმა შესრულებულია 160 პროცენტით. საშუალო შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 23+5 ორთქლმავალი (5 ორთქლმავალი იანვრის დავალიანებაა), გამოუშვა 19, გეგმა შესრულდა 82,6 პროცენტით. გეგმის გარეშე აღდგენითი შეკეთებიდან გამოუშვა 1 ორთქლმავალი ამგვარად, იანვრის დავალიანება 7 ორთქლმავალი ჯერ კიდევ ვალად რჩება ქარხანას.

სამგზავრო სავაგონო საამქროს იანვრის გეგმით მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 16 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 17, გეგმა შესრულდა 106,8 პროცენტით, წლიური გასინჯვით შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 43 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 52, გეგმა შესრულებულია 120,9 პროცენტით.

თებერვლის გეგმით მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 16 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 16, გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. წლიური გასინჯვით შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 44 სამგზავრო ვაგონი, გამოუშვა 45, გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. გეგმის გარეშე აღდგენითი შეკეთებიდან გამოუშვა 2 სამგზავრო ვაგონი.

საბარგო სავაგონო საამქროს იანვრის გეგმით კონვენციური გასინჯვით უნდა გამოეშვა 296 საბარგო ვაგონი, გამოუშვა 305, გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. კონვენციური გასინჯვებით იზოტერმიული (აყინული) ვაგონი უნდა გამოეშვა 6, მაგრამ ასეთები შესაკეთებლად საამქროში არ მოუწოდებიათ; წლიური გასინჯვით იზოტერმიული ვაგონი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 18, გამოუშვა 8, გეგმა შესრულებულია 44,4 პროცენტით; აღდგენითი შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 7 ვაგონი გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

თებერვლის გეგმით კონვენციური შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 296 საბარგო ვაგონი, გამოუშვა 284, გეგმა შესრულებულია 95,9 პროცენტით იზოტერმიული ვაგონი კონვენციური გასინჯვით შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 6, გამოუშვა 2, გეგმა შესრულებულია 33,3 პროცენტით. გეგმის გარეშე გამოუშვა 1 ვაგონი აღდგენითი შეკეთებიდან და ერთიც მიმდინარე შეკეთებიდან.

თუმცა ქარხანა ნედლი მასალით საკმაოდ ვერ არის მომარაგებული, მაგრამ რაც მასალები მოგვეპოვება დამხმარე საამქროები ინტენსიურად არ აწარმოებენ შეკეთებას თავის დროზე.

სტალინის სახელ. ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანამ საკავშირო პირველობა რომ შეინარჩუნოს და ხუთწლედის გადამწყვეტი მესამე წლის გეგმაც შეასრულოს, საჭიროა ქარხნის პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, ამ თავითვე გადამჭრელი ზომები მიიღონ ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად.

კომუნისტის ბრიგადის წევრი
დ. ჯღარკავა.

მხოლოდ 70,9 პროცენტით

საქ. მრეწველობის მუშაობა თებერვალში

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სისტემაში შემავალ მრეწველობას გეგმის თანახმად თებერვლის განმავლობაში უნდა მიეცა 5.164.679 მანეთის პროდუქცია. ს. მ. უ. ს. სტატისტიკური სექტორის ცნობებით კი, თებერვლის განმავლობაში საქართველოს მთელმა მრეწველობამ მოგვცა მხოლოდ 3.631747 მანეთის საერთო პროდუქცია (პროდუქციის ღირებულება გამოანგარიშებულია 1926—27 წლის მტკიცე ფასებში).

ამგვარად, თებერვლის საწარმოო-საფინანსო გეგმა საქართველოს მრეწველობამ შეასრულა მხოლოდ 70,9 პროცენტით, ანუ 29,1 პროც. ჩამორჩენით. ფულადი გამოსახულებით ჩამორჩენა გამოიხატება 1.532.932 მანეთში.

მსუბუქმა მრეწველობამ გაასწრო მძიმე მრეწველობას

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე მრეწველობის მუშაობა წინ უნდა უსწრებდეს მსუბუქ მრეწველობას, რადგან ამას მოითხოვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ინტერესები, თებერვალში ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო მოვლენას. მძიმე მრეწველობა გაცილებით უფრო ჩამორჩენილი აღმოჩნდა, ვიდრე მსუბუქი.

საწარმოო-საფინანსო გეგმის თანახმად, თებერვლის განმავლობაში მძიმე მრეწველობას უნდა მიეცა 1.854.509 მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად მიღებულ იქნა მხოლოდ 1.153.393 მან. პროდუქცია, ანუ თვიური გეგმა შესრულებული იქნა 62,2 პროცენტით.

მსუბუქ მრეწველობას კი თებერვალში უნდა მოეცა 3.310.170 მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად მოგვცა 2.478.354 მან. ღირებული პროდუქცია, რაც თვიური დავალების 74,9 პროცენტს უდრის.

ამგვარად, მძიმე მრეწველობა თებერვლის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა 37,8 პროცენტით, ხოლო მსუბუქი მრეწველობა—25,1 პროცენტით.

მრეწველობის ცალკე დარგების მუშაობა

მძიმე მრეწველობაში თებერვლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების [illegible] მიღებულია ასეთი შედეგები:

სამადნო-მინერალურმა მრეწველობამ თებერვლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული 25.300 მან. პროდუქციის მაგიერ მოგვცა 14.390 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმა შეასრულა მხოლოდ 56,9 პროც.

ლითონის დამმუშავებელმა მრეწველობამ გეგმით გათვალისწინებული 820.400 მან. პროდუქციის მაგიერ მოგვცა 288.700 მანეთის პროდუქცია, რაც თვიური დავალების 35,2 პროც. უდრის.

საჭიროა აქვე აღინიშნოს ლითონის დამმუშავებელი მრეწველობის ასეთი დიდი ჩამორჩენილობის მიზეზი, რაც მდგომარეობს უმთავრესად ნედლი მასალის მიუწოდებლობაში.

ცეცხლმძლე ნაკეთობათა წარმოებამ თებერვლის საწარმოო გეგმა შეასრულა 83,8 პროცენტით, ე. ი. გათვალისწინებული 21.000 მან. პროდუქციის მაგიერ მოგვცა 17.600 მანეთის პროდუქცია.

ალებასტრის და თაბაშირის წარმოებასაც თებერვალში არ ეძლეოდა საკმაო რაოდენობით ნედლეული. თებერვლის მეორე დეკადაში ნედლეულის მიწოდება გაუმჯობესდა, მაგრამ სამაგიეროდ შეწყდა მაზუთის მიწოდება, ურომლისოდაც წარმოებას არ შეუძლია მუშაობა. ამის გამო თუ თებერვლის განმავლობაში დასახელებულ წარმოებას უნდა მიეცა 32.125 მან. პროდუქცია, მოგვცა მხოლოდ 9.367 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური გეგმა შეასრულა 29,2 პროცენტით.

წყლის წარმოებამ თებერვლის გეგმა შეასრულა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. გეგმით გათვალისწინებული 6.000 მან. პროდუქციის მაგიერ წარმოებამ გამოუშვა 6.591 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური გეგმა შეასრულა 110 პროცენტით.

აბრეშუმის ძაფსადენმა მრეწველობამ თვიური დავალება შეასრულა 96,2 პროცენტით გეგმით გათვალისწინებული 672.600 მან. პროდუქციის მაგიერ მრეწველობამ გამოუშვა 647.000 მანეთის პროდუქცია.

ტყავის მრეწველობა ისევ ჩამორჩენილია. თებერვლის განმავლობაში აღნიშნულ მრეწველობას უნდა მიეცა 227.084 მანეთის პროდუქცია, ხოლო ფაქტიურად მოგვცა 169.745 მანეთის პროდუქცია. თვიური დავალება შესრულებულია 61,3 პროცენტით, ანუ 38,7 პროც. ჩამორჩენილობით.

ტყავის მრეწველობის ცალკე ქარხნების მუშაობის შედეგებიც არაა დამაკმაყოფილებელი: ტყავის პირველმა ქარხანამ თვიური დავალება შეასრულა მხოლოდ 65 პროცენტით. იმიტომ, რომ ქარხანა არ იყო მომარაგებული არც ნედლეულით და არც მთრიმლავი ნივთიერებებით. ნედლი ტყავეულობა ქარხანამ მიიღო გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 41 პროც. მთრიმლავი ნივთიერებები არ მიუღია 62 პროც. რაოდენობით და ექსტრაქტები 65 პროც. რაოდენობით. ამას დაემატა ის გარემოება, რომ თებერვალში შეფერხდა ქარხნისათვის მაზუთის მიწოდება.

შეფერხებული იყო აგრეთვე მეორე ტყავის ქარხნის მომარაგებაც, რის გამოც ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა თებერვალში საქმეს თავიდან ასაცილებლად წარმოებაში წვრილი ტყავების გადასამუშავებელი მოწყობილობების დადგმა.

ტყავის მრეწველობიდან შედარებით უკეთესი შედეგები მოგვცა ფეხსაცმელების ფაბრიკამ, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 338.800 წყვილის მაგიერ გამოუშვა 276.600 წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი, ე. ი. თვიური გეგმა შეასრულა 81,6 პროცენტით.

მსუბუქი მრეწველობის მუშაობა

მსუბუქი მრეწველობიდან აბრეშუმის ძაფსაგრეხმა საწარმოებმა თვიური გეგმა შეასრულეს 98,9 პროცენტით, ე. ი. 100.200 მან. პროდუქციის მაგიერ გამოუშვეს 99.100 მანეთის პროდუქცია.

აბრეშუმის საქსოვმა წარმოებამ თებერვლის გეგმა შეასრულა 5,8 პროც. გადაჭარბებით, ე. ი. 352.000 ქსოვილების მაგიერ წარმოებამ მოგვცა 372.300 მანეთის პროდუქცია, რაც თვიური დავალების 105.8 პროცენტს უდრის.

თექის ფაბრიკამ თებერვლის გეგმა შეასრულა 95,3 პროც., ე. ი. 96.160 მან. მაგიერ ფაბრიკამ მოგვცა 91.675 მანეთის პროდუქცია.

სამკერვალო მრეწველობამ თებერვლის გეგმა შეასრულა მხოლოდ 66,5 პროცენტით. 2.254.912 მან. პროდუქციის მაგიერ აღნიშნულმა მრეწველობამ მოგვცა 1.499.400 მანეთის პროდუქცია. ცალკე ფაბრიკებიდან, 1-ლმა ფაბრიკამ თვიური დავალება შეასრულა 60,7 პროც., მეორე ფაბრიკამ კი—78,5 პროცენტით.

ქიმიო-ფარმაცევტიულმა მრეწველობამ თებერვლის გეგმა შეასრულა 55,2 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 45.262 მ. პროდუქციის მაგიერ, თებერვლის განმავლობაში ქიმიო-ფარმაცევტიულმა საწარმოებმა მოგვცეს 24.987 მანეთის პროდუქცია. ჩამორჩენილობის მიზეზია ორთქლის ქვაბის უქონლობა, რის გამოც წარმოებები პრიმუსებით მუშაობენ.

პოლიგრაფიულმა მრეწველობამ თებერვალში გამოუშვა 114.292 მანეთის პროდუქცია, ხოლო გეგმით უნდა გამოეშვა 122.836 მანეთის პროდუქცია. ამგვარად, თვიური გეგმა პოლიგრაფიულმა მრეწველობამ შეასრულა — 93 პროცენტით.

ტყავის ქარხანა № 1 დამკვრელი მუშა დაზგასთან

საქართველოს კოლმეურნეთა მეორე ყრილობა

კამათი ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენებისა და ამხ. ახალკაცის თანამოხსენების გარშემო

7 მარტის დილის სხდომა

ამხ. ხარატუროვი
(ახალქალაქის რაიონი)

ახალქალაქის მშრომელი გლეხობა ძალზე ჩამორჩენილია კულტურულად. ამიტომ საჭიროა ამ რაიონის კოლმეურნეობებისათვის უფრო მეტი ყურადღების მიქცევა და მეტი დახმარების აღმოჩენა. სამწუხაროდ, ჩვენ ბევრს გვპირდებოდნენ, მაგრამ რეალური დახმარება ჩვენთვის არავის აღმოუჩენია. იმ დროს, როდესაც სხვა რაიონებში რამდენიმე ტრაქტორი მუშაობს, ახალქალაქის რაიონში ჯერ-ჯერობით არც ერთი ტრაქტორი არ მოგვეპოვება. კოლმეურნეობათა ცენტრმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და გამოიყვანოს სათანადო დასკვნა.

ამხ. ჩარექიშვილი
(ყვარელის რაიონი)

უდავოა, რომ საშუალო გლეხობამ გადაჭრით იბრუნა პირი კოლმეურნეობებისაკენ. ჩვენ ვიზრდებით, მაგრამ ყვარელის რაიონის კოლმეურნეობათა ზრდასთან არ არის შეფარდებული შინაორგანიზაციების საკითხების მოგვარება, კოლექტივების საწარმოო საშუალებათა გაერთიანება. ზოგიერთ კოლმეურნეს უფრო მეტი საწარმოო საშუალება აქვს დატოვებული პირად სარგებლობაში და ამიტომ ის არ არის დაინტერესებული კოლექტივით. ეს ფაქტი გამოაშკარავდა ჩვენში ორი კოლმეურნეობის გამოკვლევის დროს. ზოგიერთები საკუთარ მეურნეობებში უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე კოლექტივში.

ძალზე სუსტია ცენტრის ხელმძღვანელობა. საკოლმეურნეო ცენტრის ინსტრუქტორები მხოლოდ ცხათ თუ გაივლიან რაიონში, თორემ ისინი იქ პრაქტიკულ მუშაობისათვის არ ჩერდებიან. საჭიროა ინსტრუქტორები ადგილებზე დარჩეს 10-15 დღე და პრაქტიკულად ჩაებას საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ამხ. სვერგო
(აფხაზეთი)

პირველი მარტისათვის აფხაზეთში კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მშრომელი გლეხობის 30-დე პროცენტი. ამ მხრივ ჩვენ ჩამორჩენილი არ ვართ საქართველოს მეორე რაიონებიდან. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა მთავარი ნაკლი დღეს საკოლმეურნეო მშენებლობაში არის შრომის ორგანიზაციის და მოსავლის განაწილების მოუგვარებლობა, რაც უნდა მიეწეროს კადრების სიმცირეს.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე კოლექტივებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობა. ამ მიმართულებით დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც გლეხობის კულტურული დონე ძალზე დაბალია. ჩვენ გვყავდა ერთი კულტმომუშავე და ისიც მოგვიხსნეს. არც ერთი მომუშავე არ მოგვეპოვება რომ მან აწარმოოს სათანადო კულტურული მუშაობა ქალაქთა შორის. ეს კი აუცილებელია.

უნდა შევეხო აგრეთვე მშენებლობის უგეგმო წარმოებას. მშენებლობა ჩვენ ვაწარმოებთ იმ დროს, როდესაც თესვის, ან მოსავლის აღების პერიოდია, ხოლო მთელი ზამთარი კი უსარგებლოდ იკარგება, როცა განსაკუთრებით აფხაზეთში შეიძლებოდა მშენებლობის წარმოება. მაგრამ ამაში ადგილობრივი მუშაკები არ არიან დამნაშავე. ჩვენ სამშენებლო მასალებს გვიგზავნიან ივნისში, როცა თამბაქოს მოსავლის აღების პერიოდში იწყება.

ორიოდე სიტყვა ტრაქტორების მუშაობის შესახებ. ტრაქტორები უნდა ხნავდნენ კოლექტივების მიწებს. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ტრაქტორი მუშაობს შეძლებული გლეხის მიწაზე და უხნავს მას ჰექტარს 18 მანეთად იმ დროს, როდესაც იმავე გლეხის ხარ-კამეჩი მუშაობს სხვა მუშაობაზე და დღეში აკეთებს 50 მანეთს.

ამხ. ჯაგანია
(სენაკის რაიონი)

სენაკის რაიონში ამჟამად გლეხობის 53 პროცენტია გაერთიანებული კოლექტივებში. ეს პროცენტი კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ საჭიროა მიწადამუშავების დაჩქარება და მანქანა-იარაღების თავის დროზე მიწოდება. ჩვენს რაიონს დიდი დავალება აქვს მოცემული ჩაის თესვის გეგმის შესასრულებლად. ამიტომაა საჭირო ამ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მანქანა-იარაღები და სათანადო ხელმძღვანელობა.

რაიონის 12 კოლმეურნეობაში ჩვენ უნდა განვავითაროთ მესაქონლეობა-მეღორეობა. ამისათვის საჭიროა საშენი მასალის მომარაგება და პირველ რიგში კი ლურსმანი.

მწვავედ სდგას ბოსტნეულისათვის თესლეულის საკითხი, ჩვენ გლეხობას მოვამზადებინეთ მიწები ბოსტნეულისათვის, მაგრამ თესლი არა გვაქვს. საჭიროა ცენტრმა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები თესლეულის მოსაწოდებლად, რომ გლეხობა იმედგაცრუებული არ დავტოვოთ.

ამხ. ბრეგაძე
(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხის რაიონში კოლექტივებში გაერთიანებულია გლეხობის 62 პროცენტი. ზოგიერთი თემები, როგორც მაგალითად, აფენი, ლელიანი და სხვ. გადასულია მთლიან კოლექტივიზაციაზე, მაგრამ ეს არ კმარა. ამჟამად საჭიროა გავამაგროთ კოლექტივები თვისობრივად.

კოლმეურნეობების მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს სამედიცინო დახმარების მოუგვარებლობა. გამოცდილი ექიმები სოფლად რამდენიმე ხნით მუშაობის შემდეგ ქალაქში გარბიან ასეთ „მფრინავი" ექიმების წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები, რომ კოლმეურნე გლეხობა უზრუნველვყოთ სამედიცინო დახმარებით.

კოლმეურნეობებში ჯერ არ გაშლილა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა. ამ მიმართულებით ჩვენ არა გვაქვს სათანადო პრაქტიკა. ამიტომ აუცილებელია კოლმეურნეობებში სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლა, როგორც დღეს ეს წარმოებებშია.

აფენ-ლელიანის კოლექტივებს დავალებული აქვთ დასთესონ თამბაქო 250 ჰექტარზე, ამ გეგმას ჩვენ შევასრულებთ, მაგრამ საჭირო იქნება თამბაქოს საშრობი ფარდულების აგება. ასეთი ფარდულები კი ჩვენ არ მოგვეპოვება და ამიტომ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ თამბაქოს მოსავლის შესანახ ფარდულების ასაგებად.

ამხ. მექვაბიშვილი
(ოზურგეთის რაიონი)

გასულ წელს ჩვენს რაიონში სიმინდი დათესილი იყო 10 ათას ჰექტარზე, მიმდინარე წლის გეგმა კი თვალისწინებს სიმინდის ნათესი ფართობების დაყვანას 5 ათას ჰექტარამდე. ამის ნაცვლად უნდა დაითესოს ტექნიკური კულტურები. კერძოდ სოია ჩვენ უნდა დავთესოთ 4 ათას ჰექტარზე. გასულ წელს სოია დათესილი იყო მხოლოდ 120 ჰექტარზე და ჩვენ გამოუცდელობის გამო ამ მცირე მოსავლის სათანადოთ შენახვაც ვერ მოვახერხეთ. ამიტომ აუცილებელია სოიის მოსავლისათვის დროზე იქნას გამონახული სათანადო ბინა. რაიონში კოლექტივებმა ჩაი უნდა დასთესონ 1.600 ჰექტარზე. ამ გეგმის შესრულება ჩვენ არ გაგვიჭირდება, მაგრამ საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ ჩვენს რაიონში არის ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც დიდძალი მუშა-ხელი ესაჭიროება. ამ მუშა-ხელის გამოძებნა კი რაიონში შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია იმ რაიონებმა, რომელთაც ჭარბი მუშა-ხელი მოეპოვებათ, ასეთი შეაწოდონ ჩვენი რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს.

რაიონში საკმაოდ არ მოგვეპოვება მუშა-საქონელი. ამიტომ უნდა დაისვას საკითხი, რომ ლანჩხუთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა გამოჰყოს რამდენიმე ტრაქტორი ჩვენი რაიონის კოლმეურნეობების მიწების მოსახნავად.

ამხ. ლარიბაშვილი

საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტთან გახსნილია საკოლმეურნეო ფაკულტეტი. დღემდე მოხდა ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა 40 კაცის გამოშვება, მაგრამ კოლმეურნეობათა ცენტრმა ის მუშაკები თავის საჭიროებისათვის ვერ გამოიყენა და ისინი სხვა ორგანიზაციებში მუშაობენ. ჩვენ ათი დღე დავდიოდით კოლმეურნეობების ცენტრში პრაქტიკის მისაღებად, მაგრამ არც ერთმა მუშაკმა ხელმძღვანელობა არ გაგვიწია, ვერავითარი პრაქტიკა ვერ მივიღეთ და დროც ცუდად დაიკარგა. კოლმეურნეობათა ცენტრს თავის ბიუჯეტში საწარმოო პრაქტიკისათვის არ აქვს გათვალისწინებული სათანადო სახსრები, რაც დაუშვებელია.

ამხ. მჭედლიშვილი
(სიღნაღის რაიონი)

სიღნაღის რაიონში ალაზნის ველზე მუშაობს 42 ტრაქტორი, მაგრამ ეს ტრაქტორები იმდენად გაცვეთილი და მცირეძალიანია, რომ მათი მუშაობიდან ნაყოფის მიღება შეუძლებელია. ალაზნის ველის ბუნებრივი პირობები მოითხოვს უფრო მძლავრ ტრაქტორებს. ამიტომ საჭიროა არსებული ტრაქტორების აუცილებლად შეცვლა.

ყოვლად მოუგვარებელია რაიონში საქონლის განაწილება. ერთ-ერთმა კოლექტივმა დამამზადებელ ორგანიზაციას ჩააბარა 500 ფუთი თამბაქო. მათთვის უნდა მიეცათ დეფიციტური საქონელი. თამბაქოს ჩამბარებლებს ამ საქმეზე ხუთჯერ მოუხდათ ლაგოდეხში მისვლა და მაინც ვერაფერი მიიღეს. ასე მოხდა პარკის ჩაბარების დროსაც. ამ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს კოოპერაციის მუშაობაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

გასულ წელს რაიონში დაგვიანებით გამოიგზავნა კარტოფილის თესლი და ეს თესლი წინორის სადგურზე დალპა. წელსაც, რომ ასე არ მოხდეს, ეხლავე ზომების მიღება საჭიროა რაიონის თესლეულით მომარაგებისათვის.

ამხ. დარჯანია
(ერწო-თიანეთი)

კოლექტივების განმტკიცება დამოკიდებულია შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაზე. ჩვენ უნდა შემოვიღოთ კოლექტივებში სანარდო მუშაობა, რაშიაც ცენტრი უნდა დაგვეხმაროს და ხელმძღვანელობა გაგვიწიოს.

შემდეგი საკითხია კულტურული მუშაობა. ამ მიმართულებით ჩვენი კოლექტივები ძალზე ჩამორჩენილია. ყრილობამ უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ რაიკავშირებს მიეცეს თითო კულტმომუშავე.

გეგმით რაიონში კარტოფილი უნდა დაითესოს 300 ჰექტარზე. ადგილობრივ კი თესლი მოგვეპოვება მხოლოდ 30 ჰექტარისათვის. ვიღებთ ზომებს თესლის თავის დროზე მისაღებად, მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგი არა სჩანს. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, კარტოფილის თესვის გეგმა უსათუოდ ჩაიშლება.

ჩვენს რაიონში წელს გათვალისწინებულია შემკეთებელი სახელოსნოს მოწყობა, მაგრამ დღემდე არაა გამორკვეული, თუ ვინ უნდა გახსნას ის. მიწსახკომმა თუ კოლმეურცენტრმა. ამ საკითხის მოგვარება კი სასწრაფოდაა აუცილებელი.

ამხ. ს. მინდაძე
(განათ. კომისარიატი)

კულტურული მუშაობა კოლმეურნეობებში ძალზე ჩამორჩენილია, ეს უდავო ფაქტია. სამწუხაროდ კამათში გამოსული ორატორებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს და ისინი უმთავრესად სამეურნეო საკითხებს ეხებიან. კულტურული რევოლუცია გულისხმობს კოლმეურნეთა მასების კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. მაგრამ არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც კულტურულ მუშაობას მესამე საკითხად სთვლიან. ეს უსათუოდ შემცდარი აზრია და ამ საკითხის შეუფასებლობას მწვავედ უნდა დავარტყათ, მიმდინარე წელს ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ წერა-კითხვის უცოდინარობა, ხოლო უცოდინართა რიცხვი 220 ათ. კაცს აღწევს. აქედან საკმაო რაოდენობა კოლმეურნეობათა წევრებია. კოლმეურნეობების გამგეობები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრას. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები ზოგან იშლება მსმენელთა დაუსწრებლობის გამო. ყრილობამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ამ საკითხზე და გამოიტანოს სათანადო დადგენილება.

ჩვენ ვაწარმოებთ აგრეთვე საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას. მაგრამ კოლმეურნეთა შვილების საკმაო რაოდენობა ჯერ კიდევ სკოლის გარეშეა დარჩენილი. ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ქორღოლიანი (ჭიათურის რაიონი)

ამხ. თოხაძე
(ცეკავშირი)

ამ ყრილობაზე ბევრი უკმაყოფილება გაისმის სამომხმარებლო კოოპერაციის მიმართ. მე არ მინდა აქ გამოვიდე თავის გასამართლებლად. სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელი ბევრ ადგილას რომ ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე ის აშკარაა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ უმაღლესი ორგანოების დადგენილებით გასული წლის ნოემბრიდან შეიცვალა საქონლის განაწილების წესი. წინად საქონელი სოფლად იგზავნებოდა მიზნობრივად, რამაც გამოიწვია საქონლის დიდი ხნით ჩაწოლა ამა თუ იმ რაიონებში. ეხლა ასეთი წესი აღარ არის. ეხლა საქონელი მიზნობრივად იგზავნება მარტო პირუტყვის და ხე-ტყის დასამზადებლად. დანარჩენს კი ვაგზავნით სოფლად გასანაწილებლად. რა თქმა უნდა პირველ რიგში ეს საქონელი უნდა მიეცეს კოლმეურნეებს, ამის შესახებ გარკვეული მითითებულია ინსტრუქციაში.

ამჟამად მთავრობის განკარგულებით ხდება სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელის რეორგანიზაცია, რომელიც პირველ მაისამდე უნდა დამთავრდეს. თვითეულ თემს ექნება ცალკე კოოპერატივი თავისი გამგეობით, რომელიც უფრო დაუახლოვდება კოლმეურნეობებს და ამის შემდეგ მომარაგების საქმეც უსათუოდ გაუმჯობესდება.

ამხ. უნგიაძე
(ქუთაისი)

საკოლმეურნეო ცენტრიდან დახმარება აქვს, მაგრამ ეს დახმარება საკმაო არ არის. როდესაც გამგეობის წევრი მოდის რაიონში, ის ათვალიერებს ამა თუ იმ კოლმეურნეობას, მაგრამ არ შედის რაიკავშირში და არ აძლევს მათ სათანადო მითითებებს. ცეკავშირის წარმომადგენლის გამოსვლა არ იყო დამაკმაყოფილებელი. კოოპერაციის ხელი კოლმეურნეობებში ჯერ არა სჩანს.

დაუშვებელ მოვლენებს აქვს ადგილი „25 ათასელების მიმართ. ასეთ შემთხვევები, როდესაც 25 ათასელი, როცა ის მუშაობის უნარს გამოიჩენს, კოლექტივიდან გადაყავთ სხვა სამუშაოზე და კოლექტივებს უხელმძღვანელოდ სტოვებენ. ასეთ მოვლენას უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ამხ. ქაროსანიძე
(ხონის რაიონი)

გასული წლის შეცდომებმა ძალზე ცუდათ იმოქმედეს ხონის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობაზე. გასულ წელს ჩვენ კოლმეურნეობებში გაერთიანებული გვყავდა გლეხობის 92 პროცენტი, რომელიც შემდეგ 4 პროცენტამდე დავიდა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიამდე. მას შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა და კოლმეურნეობები თანდათან იზრდებიან. პირველი მარტისთვის რაიონში კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხობის 14,7 პროცენტი. გლეხობის კოლმეურნეობებიდან გასვლის მთავარი მიზეზი იყო ხელმძღვანელობის სისუსტე და შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა. ჩვენ ინსტრუქტორებს ტელეფონით ვეძებდით ამა თუ იმ რაიონში და როდესაც მოვიდოდნენ, რაიონში მხოლოდ ერთ დღეს რჩებოდნენ.

ჩვენი რაიონი ტექნიკურ კულტურების რაიონებია, ხოლო ამ კულტურების თესლეულით უზრუნველყოფილი არ ვართ. ამიტომ ეხლავე საჭიროა თესლეულის მიწოდება რაიონისათვის.

ამხ. ნათელაძე
(ტოლოშის რაიონი)

ტოლოშის რაიონი ძალზე ჩამორჩენილია. მიუხედავად ამისა ჩვენს რაიონში კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხობის 14,6 პროცენტი. მეც უნდა აღვნიშნო ცენტრის ხელმძღვანელობის სისუსტე. ოთხი თვის განმავლობაში რაიონში მხოლოდ ერთხელ ვიხილეთ კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორი.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის კოლმეურნეთა მასიური ექსკურსიების მოწყობას მოწინავე რაიონებში და ეს საქმე ჩვენ უსათუოდ უნდა გავაკეთოთ. აქ ლაპარაკობენ რაიკავშირის შტატების გადიდებაზე, მაგრამ შტატების გადიდების ნაცვლად ჩვენ პარტიულ ამხანაგებს უნდა დავავალოთ, რომ მათ საზოგადოებრივ დატვირთვის სახით იკისრონ კოლმეურნეობებში მუშაობა. საჭიროა აგრეთვე თითო-ოროლა ტრაქტორი მივაწოდოთ ისეთ ჩამორჩენილ რაიონებს, როგორიც ტოლოშის რაიონია.

ტოლოშის რაიონის კოლმეურნეობები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ: ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის და ბორჯომის რაიონებს. ბორჯომის რაიონი როგორც ჩამორჩენილი საკოლმეურნეო მშენებლობაზე, ჩვენ აგვყავს საზოგადოებრივ ბუქსირზე.

7 მარტის საღამოს სხდომა

გრძელდება კამათი ამხ. ტოროშელიძის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ ორატორებმა, რომლებიც შეჩერდნენ საკოლმეურნეო მშენებლობის მტკივნეულ საკითხებზე სხვადასხვა რაიონებში.

ამხ. პიპიევი.
(სამხრეთ-ოსეთი)

ის დიდი მიღწევები, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში, აიხსნება პარტიის სწორი პოლიტიკით და საკოლმეურნეო სისტემის ნაყოფიერი მუშაობით. საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი აღტყინება ამტკიცებს, რომ შარშანდელი გადახვევები და დანახინჯებანი აღმოფხვრილია.

არც ერთ გამოსულ ამხანაგს არ წამოუყენებია საკითხი საბჭოთა ორგანოების მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ჩვენ აქ უნდა ვსთქვათ, რომ განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო სკოლებზე სუსტია. განსახკომმა უნდა მოგვცეს კადრები ამ სკოლებისათვის, საბჭოებმა დღემდე ვერ იბრუნეს პირი კოლმეურნეობისაკენ. ისინი სათავეში ვერ ჩაუდგნენ საკოლმეურნეო მოძრაობას და ვერ ხელმძღვანელობენ მას. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

არც ერთი ორატორი არ შეხებია აგრეთვე კოლმეურნეების დამოკიდებულებას ინდივიდუალურ მეურნეებისადმი. ამ დარგში კი ზოგან ადგილი აქვს არანორმალურ მოვლენებს. ინდივიდუალური მეურნე გლეხი ხვალინდელი კოლმეურნეა, და უნდა გვახსოვდეს და აქედან გამომდინარე ინდივიდუალურ მეურნეებისადმი დამოკიდებულებაში.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

მენშევიკები იმპერიალისტების სამსახურში

მოსკოვში ამჟამად მიმდინარეობს რუსეთის მენშევიკების ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოს — საკავშირო მენშევიკური ბიუროს გასამართლება მავნებლობისათვის, ინტერვენციის მზადებისა და სხვა მრავალ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსი მენშევიკების ემიგრაციამ და მასთან ერთად მეორე ინტერნაციონალის ცნობილმა სოციალ-მოღალატეებმა ასტეხეს განგაში ამის შესახებ, თითქოს მოსკოვის პროცესი ხელოვნურად შეთხზული საქმეა, რომ რუსეთის მენშევიკები და, საერთოდ, მეორე ინტერნაციონალის პარტიები ყოველთვის ებრძოდნენ და ებრძვიან იმპერიალისტურ ინტერვენციას.

მოსკოვის პროცესზე საკმაოდ ნათლად გამოაშკარავდა ურყევი საბუთებით და ფაქტებით ამ მორიგი მენშევიკური მანევრის ჩვეულებრივი ფლიდობა და თვალთმაქცობა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას მოკლებული არ იქნება ზოგიერთი იმ მომენტების გახსენება მენშევიკების ბატონობის დღეებიდან საქართველოში, რომელნიც ახასიათებს მეორე ინტერნაციონალის პარტიებს, როგორც იმპერიალიზმის ყურმოჭრილ მონებს და სოციალ-მოღალატეებს. ქართველი მენშევიკები ხომ სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არიან ყველა ჯურის და მათი უფროსი ძმის — რუსეთის მენშევიკების.

ჩვენ არ შეუდგებით საქმეთა ფაქტიური მდგომარეობის ანალიზს, მივმართავთ მხოლოდ ფორმალურ, გარეგნულ მხარეს, მოვიყვანთ საქართველოს ოკუპანტების — ინგლისელ გენერლების უტიფარ და გულახდილ განცხადებებს. აი რა გაკვეთილს აძლევს ქართველ მენშევიკებს „ჯიშიანი" იმპერიალისტი გენერალი უორკერი:

> „მოკავშირე სახელმწიფოებს განზრახვა არა აქვთ უარი სთქვან პატარა ხალხთა თვითგამორკვევის დიად პრინციპზე. მხოლოდ მაშინ იტყვიან მასზე უარს, როცა ისინი იძულებული გახდებიან დაეთანხმონ ფაქტს, **რომ რომელიმე დროებით დამოუკიდებელი ერი თავისი უუნარობით — დაიცვას წესრიგი, ჩხირკედელაობით და აგრესიული აქტებით, თავისი საკუთარი ღირსების მუდმივი გაფუჭებით და ზედმეტი მტკიცებითაც კი გვიჩვენებს, რომ ის მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის შესაძლებელ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთ ერს დიდი სახელმწიფოები ვერ მოითმენენ,** ვინაიდან მათ გადასწყვიტეს, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობა შენარჩუნებულ უნდა იქნას". (უორკერის სიტყვა, 1919 წ.).

ამ მრისხანე გაფრთხილების აზრი ბავშვისათვისაც კი აშკარაა. ჯერ, განსაზღვრულ დრომდე, შეგიძლიათ თავი ინუგეშოთ თამაშობით, მაგრამ ნუ შესტოპავთ თქვენს სულელურ ბავშურ თამაშში, თავი ნუ წარმოგიდგენიათ დამოუკიდებელ ერად!

უფრო მეტ დაცინვას საქართველოზე წარმოადგენს გენ. ტომსონის დეკლარაცია:

> „მოკავშირე სახელმწიფოები, ისე როგორც უფაში მყოფი რუსეთის ახალი მთავრობაც, რომელთან ერთად ისინი მოქმედებენ, **არ სცნობენ არავითარ დამოუკიდებელ ერთეულებს, რომელნიც რუსეთში შეიქმნენ, და მათ არ მოეპყრობიან როგორც ასეთებს.** მათი საქმიანობის ამოცანები შემდეგია: **1) რუსეთის ხელისუფლების სახელით ძველი სანამესტნიკოს აღდგენა კავკასიაში,** როგორც ადმინისტრატიული კადრისა მხარის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების აღდგენის გასაადვილებლად; ხალხები შემდეგში თავიანთ ურთიერთობას თვითონვე მოაწესრიგებენ; 2) კავკასიის განთავისუფლება გერმანიის ჯარებისა და ბოლშევიკებისაგან, რომლებთანაც მოკავშირენი ომის მდგომარეობაში იმყოფებიან; **3) ინგლისის სამხედრო სარდლობა ახდენს მხარის ოკუპაციას, იქ წესრიგის დაცვის მიზნით,** მაგრამ მას არა აქვს განზრახვა ჩაერიოს შინაურ საქმეებში; **ადგილობრივი ჯარები ექვემდებარებიან ინგლისის სარდლობას და განიხილებიან, როგორც რუსეთის ჯარები".**

აგრეთვე ცივი წყალი, უკეთ—ნარეცხი გადაასხა თავზე მენშევიკებს გენ. დენიკინის მეგობარმა, „ყოჩაღმა" ინგლისელმა გენერალმა ბრიგსმა (ამ ბრიგსის შესახებ მაკაროვი თავის წიგნში „გენ. მაი-მაევსკის ადიუტანტი" ამბობს, რომ ამ სამხედრო კომი-ვოიაჟორის პირველი კითხვა დენიკინის ბანაკში მისვლისას იყო — „გაქვთ თუ არა ნედლეული". რითაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა რუსი „პატრიოტები", რომელნიც თავის ბატონ-პატრონს ზეიმით შეხვდნენ), და აი, რუსეთის ნედლეულის და „დიდი განუყოფელი რუსეთის" ეს ყოჩაღი მოყვარული მენშევიკებს ჩასჩიჩინებდა:

> „რუსეთი მალე აღდგება და **არ იქნება საჭირო დაჩქარება დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში:** პატარა სახელმწიფოები მეტად სუსტნი არიან, ისინი ერთმანეთს კი არ უნდა მტრობდნენ, არამედ, პირიქით, უნდა ერთიანდებოდნენ. თქვენ ალბად ხედავთ, რომ ცალკე საფინანსო სისტემა გამანადგურებელია, ახლავ იქნება ყველაფერ დანარჩენშიაც... საზღვრების საკითხი რუსეთის მთავრობამ უნდა გადასჭრას. **ისეთი პატარა ხალხი, როგორც საქართველოა, არ უნდა ესწრაფოდეს დამოუკიდებლობას,** ვინაიდან პატარა სახელმწიფოები იტანჯებიან კომერციული ომებისაგან და **მე ვფიქრობ, რომ თქვენ არც ისე სასიამოვნო სიბერეს იმზადებთ".**

(გენ. ბრიგსის 1919 წ. 23 მაისის მოლაპარაკება ნ. ჟორდანიასთან).

არ ვიცით ასწავლა თუ არა რაიმე მენშევიკურ მესვეურებს აშკარა, გაშიშვლებული იმპერიალიზმის ამ „ფილოსოფიამ", მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ასეთი ჩიჩინის შედეგად მენშევიკები უცხოელ მოძალადეთა უფრო და უფრო ყურმოჭრილნი ხდებოდნენ.

თუ რა ფასი ჰქონდა საქართველოს „დამოუკიდებლობას", ეს კარგად სჩანს თუნდაც ჟორდანიას მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა 1918 წელს. თურქეთთან დადებულ ხელშეკრულების „ერთ - ერთ პუნქტში ნათქვამია, რომ თურქებს უფლება აქვთ განაიარაღონ მებრძოლი ბანდები", ე. ი. საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს „მებრძოლ ბანდების" განიარაღებას (მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ლაპარაკია რევოლუციონურ რაზმებზე, აჯანყებულ მუშებსა და გლეხებზე, — მაშინ სწორედ გლეხების აჯანყებათა პერიოდი იყო). და აი ბატონმა მენშევიკებმა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჩალის ფასად მიჰყიდეს მაშინდელი თურქეთის ფაშებს და სულთანს თავიანთი ძვირფასი სამშობლოს სუვერენული უფლება — აი, დიდი პატრიოტები!

ინგლისელებმა საქართველოში შემოსვლის დროს განაცხადეს, რომ „არ ჩავერევით თქვენს შინაურ ცხოვრებაში, აგრეთვე არ დავარღვევთ თქვენი ხალხის თავისუფლებას"-ო. თუ რამდენად გაამართლეს იმპერიალისტებმა თავიანთი დაპირება, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ შემდეგი ფაქტები. გენერალი უორკერი (§ 22) თავის სიტყვაში — „პრესის ტონი თბილისში" ამბობდა:

> მე მაცნობეს, რომ პრესის ტონი თბილისში მეტად ანტიბრიტანულია. მე თვითონ იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც პრესა თავისუფალია და სადაც ყველას შეუძლია ილაპარაკოს რაზედაც სურს და რამდენიც სურს, მაგრამ როგორც ვიცი საქართველოს რესპუბლიკაში პრესას სასტიკ კონტროლს უწევს მთავრობა...
>
> მე ვფიქრობ, რომ **მთავრობა მშვიდობიანი ურთიერთობის ინტერესებისათვის გამონახავს გზებს გრძნობათა საჯაროდ გამოხატვის ასაკრძალავად".**

საბრალო მენშევიკები! იშვიათად თუ რომელიმე მათგანი გაბედავს ხმა ამოიღოს ინგლისელების წინააღმდეგ — და ინგლისელი გენერალი უკვე ყურს უწევს მას, პირში ბურთს ჩრის და გაზეთის დახურვით ემუქრება (ლაპარაკია გაზ. „ბარბა"-ზე, დამოუკიდებელი ქვეყნის გაბატონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოზე). მენშევიკები ყოველთვის მზად იყვნენ უცხოეთის ჯარების გენერალთა ბრძანების შესასრულებლად. ან კი სხვანაირად როგორ შეიძლებოდა, როცა ამ ჯარებს თვით მენშევიკები ეპატიჟებოდნენ საქართველოში რევოლუციონური მოძრაობის ჩასახშობად. „მთავრობა აცხადებს, რომ გერმანიის ჯარი მოვიდა მთავრობის მოწვევით"—მენშევიკებმა საკუთარი ნებით დაადგეს ქართველ ხალხს იმპერიალისტური ჩაგვრის უღელი და საქართველო ხელში ჩაუგდეს იმპერიალისტებს საძარცვავად. მრავალი დოკუმენტი მოწმობს, რომ გერმანელები საქართველოში მოიწვიეს მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

> „ამ ჯარის (გერმანელების) ნაწილი უკვე გაიგზავნა ბანდების წინააღმდეგ ბორჩალოში", (ე. ი. აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ) — ნათქვამია მენშევიკური მთავრობის ცნობაში.
>
> „ბრიტანეთის ძალების სარდალმა ბაქოში, თქვენი მთავრობის თხოვნით, **განკარგულება მისცა—დარჩეს ერთ ხანს თბილისში გერმანიის ჯარი კავკასიის ბოლშევიკებისაგან დასაცავად.**
>
> **...ბრიტანეთის ძალების არსებობა თბილისში, რომლებიც შესძლებენ დაიცვან იმ მოვლენების შესრულებას, რომელსაც დღემდე გერმანელები ასრულებდნენ..."** — ვკითხულობთ უორკერის სიტყვიდან.

გერმანიის და ინგლისის იმპერიალისტების ხიშტის საფარ ქვეშ სწარმოებდა საქართველოს ალვირახსნილი ძარცვა, მისი დაგროვილი სიმდიდრის და საწარმოო ძალების განიავება. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მენშევიკური ქვეყნის გაღატაკებას და კრიზისს, უფრო აჩქარებდა მათ აუცილებელ კატასტროფას. მიუხედავად ამისა ბატონი მენშევიკები არხეინად და უშიშრად გრძნობდნენ თავს იმპერიალიზმის ფრთის ქვეშ.

მენშევიკები მუხლმოდრეკით სთხოვდნენ ინგლისის მეფეს არ გაეყვანა საქართველოდან მისი არმია.

ამ საკითხის შესახებ მოვიყვან ვლადიმერ ილიჩის საუცხოვო სიტყვებს:

> „არავინ არ არის დამნაშავე იმაში, რომ იგი მონად დაიბადა, მაგრამ მონა, რომელიც არ იჩენს მისწრაფებას თავის თავისუფლებისაკენ და ამართლებს თავის მონობას—ასეთი მონა არის აღმშფოთები, სიძულვილის და ზიზღის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ყურმოჭრილი ყმა და ხამი". (ტ. მე-18, გვ. 8).

სწორედ საცოდავ და საზიზღარ მონებს შეუძლიათ სთხოვონ თავიანთ ბატონებს არ ახსნან მათ ხუნდები. მხოლოდ იმ ადამიანს, რომელსაც თავისი ცხოვრება ვერ წარმოუდგენია ისე, თუ ბორკილები არა აქვს დადებული და ბატონი არა ჰყავს და რომლისთვისაც ლაქიობა და მონური მდგომარეობა უმაღლესი ბედნიერებაა, შეუძლია სთქვას ასეთი ცინიზმით დღეს:

> „საქართველოს „მთავრობა" და ყველა დანარჩენი კავკასიაში უნდა შევიდენ ინგლისის საოკუპაციო ჯარის მოწინავე ეშელონებთან ერთად"-ო (1922 წ. მოხსენება კავკასიაში ინგლისთან საქართველოს თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ).

სძინავს მენშევიკს და ესიზმრება, რომ ინგლისის იმპერიალისტურ საოკუპაციო ჯართან ერთად ბრუნდება ძვირფას სამშობლოში, ოცნებობენ მენშევიკები, რომ ისინი იქნებიან მოწინავე ეშელონებში, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იმპერიალიზმის საბარგულე რაზმში ვერ მოესწრება საოკუპაციო ეშელონებს საქართველოსათვის. მაგრამ დღეს მტკიცედ ახსოვდეთ საქართველოს მშრომელთ—მენშევიკებს როგორც რუსეთის, ისე საქართველოსი სურთ, რომ საბჭოთა კავშირის ოკუპაცია მოახდინოს იმპერიალისტურმა ჯარმა და ისინი, როგორც პატიოსანი მიკიტნები იმპერიალისტურ არმიას მისჩანჩალებდნენ კუდში,—ასეთია საბოლოოდ გახრწნილ და მონური ფსიხოლოგიით გამსჭვალულ ხალხის იდუმალი ოცნება.

მენშევიკები კვლავ ამზადებენ საქართველოს ოკუპაციას ინგლისის ჯარის მიერ. ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ საქართველოს მშრომელებმა ინგლისელების ცინიკური დაცინვა და ძალმომრეობა საქართველოს მუშების და მოსახლეობის მიმართ.

ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარის ცერემონიალური მარში მთელ საქართველოში, დაწყებული ფოთით და გათავებული თბილისით, წარმოადგენდა იმ ძალადობის, მასხრად აგდების და შეურაცხყოფის მთლიან ჯაჭვს, რასაც სჩადიოდენ როგორც უბრალო ჯარისკაცნი, ისე სარდალი. ალვირახსნილი იმპერიალისტური ინტერვენტებისა და ოკუპანტების ეს თავგასულობა იმდენად აღელვებდა საქართველოს მშრომელებს, რომ მხდალი მენშევიკებიც კი იძულებულნი გახდნენ „პროტესტი განეცხადებიათ", დაეწყოთ ჰაერში ქაღალდის ხანჯლის ქნევა... ინგლისელების გასართობად. ფოთში მუშებს თოფის კონდახებით ერეკებიან მუშათა კავშირის სადგომიდან და შეჰყავთ შიგ თავიანთი... კეთილშობილი ვირები. ზესტაფონში მათ კინაღამ დახვრიტეს რკინის გზის რამდენიმე აგენტი; რკინის გზის მილიციის უფროსის თვალწინ მის მაგიდაზე გაათლებული ინგლისელი სამხედრო პირები ფეხებს აწყობდნენ. ვაი საცოდავი მენშევიკური დემოკრატია! — ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარის მთვრალმა ჯარისკაცმა ხელი აღიმაღლა თვით „მისი აღმატებულების", საქართველოს „დამოუკიდებელი", „სუვერენული" რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის წინააღმდეგ, ხოლო რკინის გზის თბილისის სადგურის მილიციის უფროსი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ დიდებულ სურათს, თავის მატიანეში საოცარი გულდამშვიდებით აღნიშნავს: **„ჩემ ზრდილობიან თხოვნაზე მთვრალმა ჯარისკაცმა უხეში უარით მიპასუხა"-ო.**

ახსოვთ ინგლისელების ბატონობა საქართველოში — მათ იციან, რომ ვაჟბატონები „განათლებული" ერიდან არა მარტო ოფიციალურად სძარცვავდნენ და სძაგრავდნენ საქართველოს — ისინი თავიანთ ვირტუოზულ კულტურულ ოინბაზობაში ჯიბგირობასაც არ უკადრისობდნენ (იხ. საბუთი № .....)

სურათის სისრულისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ყველაზე აღმაშფოთებელი და გულის შემზარავი ფაქტი. ინგლისელმა ოფიცერმა მაგოველმა 19 აპრილს მუშტაიდში მოინდომა საჯაროთ, ყველას თვალწინ, გაუპატიურება ქალისა, რომელიც იქ, თავის ქმართან ერთად დასეირნობდა. ამ არაჩვეულებრივი უტიფრობით და საზიზღრობით აღელვებული საზოგადოება გამოესარჩლა ქალს. შედეგად ამას მოჰყვა შეტაკება. ოფიცერი მოკლულ იქნა.

თითქოს ამის შემდეგ ინგლისელებს თბილისში უნდა მოეხადად იმ დიდი შეურაცხყოფისათვის, რომელიც მათმა ოფიცერმა მოსახლეობას მიაყენა, რამაც უაღრესად აღელვა მასები. ნაცვლად ამისა, ინგლისელი გენერალი ჰგზავნის მრისხანე ულტიმატუმს:

> **„მის აღმატებულებას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს**
>
> სერ! თქვენი მთავრობის უკანასკნელი მოქმედება მაიძულებს წარმოგიდგინოთ შემდეგი მოთხოვნები, რომლებიც რაც შეიძლება საჩქაროდ და გადაუდებლად უნდა შესრულდეს:
>
> 1. უნდა განმიმარტოთ და მწუხარება გამოსთქვათ მდინარე ზზიზისკენ დაწყებული საომარი ლაშქრობის გამო, **მიუხედავად ჩემი ბრძანებისა;**
>
> 2. ბოდიში უნდა მოიხადოთ ქართველი ჯარისკაცების მიერ ბრიტანელი ოფიცრის მოკვლისათვის თბილისში. ბოდიშის მოხდა **თქვენ მიერ ფართოთ იქნება გამოქვეყნებული** ადგილობრივ პრესაში.
>
> 3. **საჯაროდ უნდა დასაჯოთ დამნაშავენი**
>
> რამდენადაც ჩვენ ვიცით, ბრალდებულნი ორჯერ გაექცნენ მახლობელ რაზმს. უნდა მაცნობოთ, რა სასჯელი დაედებათ იმ დამნაშავეებს, რომელნიც პასუხს აგებენ ამ გაქცევისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლიანობა არ იქნება აღდგენილი. ბრიტანეთის გარნიზონის სარდალს თბილისში თქვენ გადასცემთ 1 მილიონ მანეთს, რომლითაც უზრუნველყოფილნი იქნებიან განსვენებული კაპიტანის მაგოველის მემკვიდრეები.
>
> გენერალი მილნი.
>
> ბრიტანეთის ჯარის მთავარსარდალი მახლობელ აღმოსავლეთში.
>
> 1919 წლის 2 მაისი".

ამავე დროს გენერალი მილნი უხეშად უარს ეუბნება... აუდიენციაზე მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას, რომელიც თვალცრემლიანი ემუდარებოდა მიღებას:

> **„გაცნობებთ, რომ გენერალ სერ ჯორჯ მილნს არსებულ პირობებში არ შეუძლია მიიღოს ვინმე საქართველოს მთავრობიდან".**

ინგლისელების მუქარისა და მოთხოვნის შემდეგ დასაჯეს 6 ქართველი ჯარისკაცი, რომელთა დანაშაულსაც შეადგენდა მხოლოდ ის, რომ მათ დამოუკიდებლად, საკუთარი უბადრუკი მთავრობის გარეშე, დაიცვეს მოქალაქის ელემენტარული ღირსება, დაიცვეს ქალი მოძალადისაგან. სამი დახვრიტეს, სამსაც მძიმე სასჯელი მიაკუთვნეს. ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ საქმის გარჩევას **დამოუკიდებელი რესპუბლიკის სასამართლოში,** რომელმაც გაასამართლა სამი ქართველი ჯარისკაცი, ესწრებოდა ინგლისელი ოფიცერი, როგორც კონტროლიორი და მეთვალყურე. მენშევიკები დათანხმდნენ გადაეხადათ აგრეთვე ის ფული, რომელიც ინგლისელებმა მოითხოვეს ოფიცრის მოკვლისათვის. აი დოკუმენტი:

> „...5. ინგლისის სარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით გამოძიებული განაჩენი კაპიტან მაგოველის მკვლელთა საქმის გამო სისრულეში იქნა მოყვანილი, ხოლო ის თანამდებობის პირნი, რომელნიც დამნაშავენი არიან მსჯავრდებულთა გაქცევაში, უკვე მიცემულ იქნენ პასუხისგებაში და იქნენ, რასაკვირველია, შესაფერისად დასჯილნი.
>
> 6. საქართველოს მთავრობა მზად არის გადაიხადოს შესაფერი თანხა კაპიტან მაგოველის ოჯახის უზრუნველსაყოფად..."

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები იმპერიალისტებისათვის არის „რესპუბლიკის შინაურ პოლიტიკასა და შინაურ საქმეებში არ ჩარევა", იგივე ფაქტები იმპერიალისტთა ლაქიებისათვის, მენშევიკებისათვის „სასიამოვნო და ხელსაყრელი მეზობლობაა" (მენშევიკი თოფურიძე), ხოლო საოკუპაციო რეჟიმი — ყველაზე უფრო იდეალური, სრულყოფილი ფორმა, რომელზედაც მხოლოდ ოცნება შეიძლება.

ასეთი იყო ქართველი მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. ასეთ მდგომარეობის აღდგენისათვის იბრძვიან ისინი დღეს. ამასვე უმზადებენ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს რუსეთის მენშევიკები. ოღონდ ბოლშევიკები ნუ იქნებიან და თუნდაც ეშმაკები მოვიდნენ—ასეთია ყველა ჯურის სოციალ-მოღალატეების ლოზუნგი დღეს.

ვ. იმედაძე.

საქართველოს კოლმეურნეთა მეორე ყრილობა

ამხ. ადამია
(ბაღდათის რაიონი)

ბაღდათის რაიონი—მევენახეობის რაიონია, აქ ბევრი კულაკური მეურნეობა... ამით აიხსნება, რომ კოლექტივიზაციის პროცენტი ჩვენს რაიონში შედარებით სხვა რაიონებთან ნაკლებია, მაგრამ მიუხედავად ამისა არსებული კოლექტივები შარშანდელთან შედარებით გაიზარდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტოროცენტრი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩვენს რაიონს. მაშინ როდესაც სხვა რაიონებში სატრაქტორო სადგურები და კოლონები არსდება, ჩვენს რაიონს დღემდე არც ერთი ტრაქტორი არა აქვს. ძალზე ცუდი მდგომარეობაა რაიონში საქონლის საკვების მხრივ. საქონლის საკვები არ მოიპოვება, ამას დაჩქარებით უნდა მიექცეს ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში საგაზაფხულო კამპანიის გეგმა საფრთხის წინაშე იქნება დაყენებული. სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრებს არ მოეპოვებათ აგრეთვე სიმინდი. ჩვენს სამომხმარებლო კოოპერაციას არ უფიქრია მის მომარაგებაზე. კოლექტივებში სუსტად არის გამოყენებული ქალთა და მოზარდთა შრომა.

ამხ. მამისთვალოვი
(გორის რაიონი)

რაიონში ტირიფონის ველზე დასახლდა 90 მშრომელი ებრაელის ოჯახი. პირველ ხანებში ჩვენ არ ვიცოდით როგორ გვემუშავა მიწაზე, არ გვყავდა მუშა-საქონელი, არ გვქონდა იარაღები და სხვა., მაგრამ მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა, ეხლა ერთი ტრაქტორი უკვე გვაქვს. შემოდგომაზე მოვხანით 100 ჰექტარი მიწა, დავთესეთ 80 ჰექტარი, დანარჩენისათვის კი თესლი არ გვეყო. ამჟამად შევუდექით სამზადისს გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიისათვის.

ამხ. კულიგინი
(საბჭოთა კავშირის კოლმეურნცენტრი)

ის მიღწევები, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა მომხსენებელი, უდავოა. ეს მიღწევები ამტკიცებენ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს, ეს მიღწევები ერთხელ კიდევ სცხებენ თავში მემარჯვენე—„მემარცხენე" ოპორტუნისტებს, რომელთაც არ სჯეროდათ საკოლმეურნეო მოძრაობა.

დღევანდელ პირობებში ძირითად ამოცანას წარმოადგენს არსებულ კოლექტივების შინაგანი განმტკიცება. კოლექტივების ორგანიზაციულად გამაგრებას დღეიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ყრილობამ ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა უნდა სთქვას.

ჩვენი განვითარების ეხლანდელ პირობებში, როდესაც სოფლად უაღრესად გამწვავებულია კლასთა ბრძოლა, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ღარიბთა შორის მუშაობას. კულაკს არ სძინავს, ის ყოველმხრივ ცდილობს ჩაშალოს საკოლმეურნეო მოძრაობა, შიგნიდან აფეთქოს კოლმეურნეობა. სომხეთში ყოფნის დროს მე წავაწყდი ასეთ ლოზუნგს: „არ შეუშვა ბოსტანში თხა და კოლმეურნეობაში კულაკი". ეს მეტად მნიშვნელოვანი ლოზუნგია, ის ყველგან უნდა იქნეს გატარებული.

ამჟამად ჩვენ გვაქვს ახლად დაარსებული კოლექტივების საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათ ჯერ არა აქვთ საკოლმეურნეო მუშაობის გამოცდილება. საჭიროა ამ მხრივ მათ დახმარება გაუწიონ ძველმა კოლექტივებმა, აიყვანონ ისინი საზოგადოებრივ ბუქსირზე და ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ მათ შრომის ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის საქმე დღემდე მოუგვარებელია. არ არის გატარებული სანარდო მუშაობა, გაშლილი არ არის სოციალისტური შრომის ფორმები, სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. დღევანდელმა ყრილობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს სათანადო დადგენილება.

ჩვენ ამჟამად შევუდგებით სამზადისს მეორე ბოლშევიკური გაზაფხულისათვის. ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველა კოლექტივებში არ არის სათანადოთ გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა. ყველა კოლექტივებს არ გადაუდგამთ საჭირო ნაბიჯები. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ამხ. ტოროშელიძის საბოლოო სიტყვა

ყველა ამხანაგი, რომელიც გამოდიოდა კამათში, სამართლიანად აღნიშნავდა ჩვენს დეფექტებს და მიგვითითებდა იმ საშუალებებზე, რომლითაც უნდა გამოვასწოროთ ეს დეფექტები, ერთი ამხანაგი გვისაყვედურებდა, რომ საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა დაგვიანებით დაბეჭდა ინსტრუქცია შრომის ორგანიზაციის შესახებ. ეს შეიძლება ასეც იყოს. ეს ინსტრუქცია დაბეჭდილია პირველი მარტის „კომუნისტში". უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ინსტრუქცია დღეს უკვე მიღებული იქნება ყველა რაიონებში და ამიერიდან შრომის ორგანიზაციის საკითხს მეტი ყურადღება მიექცევა.

ერთი ამხანაგი მეკითხება—საჭიროა თუ არა კომუნაში ღარიბთა ჯგუფის ჩამოყალიბება. თვით ამ საკითხის დაყენება მოწმობს, რომ ეს კომუნა არ არის ჯანსაღი. საჭიროა მივიღოთ ზომები მის გასაჯანსაღებლად. რამდენადაც ჩვენი კოლექტივები ჯერ არ არიან საკმაოდ განმტკიცებული, ღარიბთა შორის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ეს არ უნდა იქნეს დავიწყებული.

შრომის აღრიცხვის საქმე კოლმეურნეობებში სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ეს კოლექტივების მუშაობის დიდი ნაკლია. ამიტომ მისი გამოსწორება შემდეგში ჩვენს მთავარ საზრუნავ საგანს უნდა წარმოადგენდეს.

შემდეგ ამხ. ტოროშელიძე უპასუხებს მთელ რიგ შეკითხვებზე, რომლებიც ეხება საკოლმეურნეო ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს.

დასასრულ, ამხ. ტოროშელიძე ამბობს:

— ჩვენი კოლმეურნეობები იმდენად გაიზარდნენ, რომ მათ უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად გასცენ პასუხი ამ კითხვებზე. საერთოდ კი უნდა გვახსოვდეს, რომ კოლექტივის მეგობარია ღარიბი და საშუალო გლეხი, მისი მტერია კულაკი. ამიტომ ყოველმხრივ უნდა მოვიზიდოთ ღარიბი და საშუალო გლეხობა და სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიოთ კულაკებს, კოლმეურნეობის ამ დაუძინებელ მტრებს.

— : —

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმის შემადგენლობაში, რომელიც დაბეჭდილია „კომუნისტი"-ს 6 მარტის ნომერში, შემთხვევით გამოტოვებულია ამხ. დიომიდე ხელაძე (ჩოხატაურიდან).

8 მარტის დილის სხდომა

8 მარტის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ახალკაცის საბოლოო სიტყვა და ამხ. წულუკიძის მოხსენება კოლმეურნეობებში მესაქონლეობის განვითარების შესახებ, რის შემდეგ გაიხსნა კამათი.

ამხ. ახალკაცის საბოლოო სიტყვა

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა რომ დიდი ნდობა მოიპოვეს მშრომელ გლეხობაში, ამას ადასტურებს თუ გინდ ის ფაქტიც, რომ ამ ყრილობაზე დელეგატები განსაკუთრებულ ყურადღებით მოეპყრნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობას. სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს კოლმეურნეობები დიდ ამოცანებს უყენებენ, რასაც თავისთავად ცხადია, პირველ ხანებში, როდესაც ამ სადგურების ქსელი საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა, ჩვენ ვერ შევასრულებთ. ჩვენი გეგმით და მთავრობის დირექტივებით, პირველ რიგში სამანქანო -სატრაქტორო სადგურები მოეწყობა ტეხნიკური კულტურების რაიონებში და ტრაქტორები გადაეცემა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს. 1932 წლისათვის საქართველო თანდათანობით უნდა დაიფაროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელით. მაგრამ ამის განხორციელებას ჩვენ შევსძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ ადგილობრივი ორგანიზაციები გამოიჩენენ სათანადო ინიციატივას. გამოშვებულია სატრაქტორო აქციები, რომელნიც უსათუოდ უნდა გაანაღდონ კოლმეურნეობებმა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გახსნის საქმეში უპირატესობა მიეცემათ იმ რაიონებს, რომელი რაიონიც უფრო ადრე შეასრულებს სატრაქტორო ცენტრის საკონტროლო ციფრების დაფარვას აქციების განაღდების საქმეში.

რაც შეეხება კამათში გამოსულ ორატორების შენიშვნებს, უნდა განვაცხადო, რომ აქ ზოგიერთ ამხანაგებმა მოითხოვეს რაიონებისათვის თითო-ოროლა ტრაქტორის მიწოდება. ასე მცირე რაოდენობის ტრაქტორებით რაიონებში ჩვენ დიდ ეფექტს ვერ მივაღწევთ და სატრაქტორო ცენტრსაც ამ ამხანაგების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებლად მიაჩნია.

დამახასიათებელი იყო აფხაზეთის წარმომადგენლის გამოსვლა, რომელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთში ტრაქტორის მეპატრონის აღმოსაჩენად მათ მოუხდათ პროკურატურისათვის მიმართვა. აფხაზეთში არსებული ტრაქტორები დღემდე არ შედიოდა სატრაქტორო ცენტრის სისტემაში, ეს საკითხი მხოლოდ ამჟამად სდგას და როდესაც სათანადოთ გადაიჭრება, მაშინ ასეთ გაუგებრობას ადგილი აღარ ექნება. ჩვენ გვისაყვედურეს აგრეთვე, რომ აბაშის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში გვყავს გამოუცდელი აგრონომები, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ამ გამოუცდელ აგრონომებს ხელმძღვანელობას უწევს გამოცდილი აგრონომი, რომელსაც 20 წლის პრაქტიკული სტაჟი აქვს თავისი მუშაობის დარგში.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელის გაფართოება ბევრადაა დამოკიდებული ადგილობრივ ინიციატივაზე და იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც კოლმეურნეობებს აქვთ დაკისრებული.

ხელოვნება

საბჭოთა უკრაინის სახ. ოპერის მსახიობის ნ. სერედას გასტროლები

საბჭოთა უკრაინის და საქართველოს ხელოვან-მუსიკოსთა ერთმანეთთან დაკავშირება, ამ დარგში ნაციონალურ კულტურის მიღწევათა ერთმანეთისათვის ჩვენება და გაცვლა-გამოცვლა, აი მიზანი, რომლის ცხოვრებაში გასატარებლად საბჭოთა უკრაინამ აიღო ინიციატივა და 1930 წლის ნოემბერს გამოგზავნა ჩვენთან ამ საკითხის მოსაგვარებლად ხარკოვის სახ. ოპერის დირექტორი რიბაკი და იმავე ოპერის მთავარი რეჟისორი კარგალსკი. მათთან ჩვენი მთავარ ხელოვნების და სახ. ოპერის წარმომადგენელთა მოლაპარაკებას და შეთანხმებას უნდა მოჰყვეს უკრაინელი კომპოზიტორის ლისენკოს ოპერის „ტარას ბულბას" დადგმა ქართული ტექსტით ჩვენი ოპერის სცენაზე, ხარკოვის ოპერამ კი უნდა დასდგას უკრაინული ტექსტით ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". გარდა ამისა, ორივე თეატრის შუა ახალ მუსიკალურ ნაწარმოებთა და საოპერო მომღერლების გაცვლა-გამოცვლა უნდა შევიდეს მათი საქმიანობის სისტემაში.

უკრაინელ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დაწინაურებულ ტენორის, ნიკოლოზ სერედას, თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლა ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს პირველ ნაბიჯად. თვით ამხ. სერედა, როგორც პიროვნება და არტისტული ძალა, იწვევს ინტერესს: პოლტავის ოლქის უბრალო გლეხის შვილმა, ამხ. სერედამ დაამთავრა საშუალო სწავლა თვით პოლტავაში. უმაღლესი მუსიკალური კი—მოსკოვის კონსერვატორიაში 1925 წელს და იმავე წელს დაიწყო მუშაობა მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის სტუდიაში. უკვე 1926 წელს სერედა მსახურობს ხარკოვის სახ. ოპერაში და ასრულებს ტენორის საპასუხისმგებლო როლებს. 1928 წელს იგზავნება, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, გერმანიაში (ბერლინში) და შემდეგ იტალიაში (მილანში) მუსიკალურ ცოდნის განსავითარებლად. ბერლინის საოპერო თეატრის მოპატიჟებით, სერედა მღეროდა ოპერა „მანონ"-ში. შემდეგ ბრუნდება უკრაინაში, სადაც ირიცხება ხარკოვის ოპერის ახალგაზრდა მომღერალთა ძირითად კადრში და დიდის წარმატებით მღერის პასუხისმგებელ როლებში. 1931 წლიდან სერედა თანდათანობით იცვლის ლირიულ ტენორის რეპერტუარს და გადადის ლირიულ-დრამატიულ რეპერტუარზე, მღერის პინკერტონის როლს ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში" და ხოზეს როლს ოპერა „კარმენში".

ჩვენი ოპერის სცენაზე სერედა გამოვა ლენსკის („ევგენი ონეგინში"), ხოზეს („კარმენში") და კიდევ სხვ. როლებში. სერედას ერთი გასტროლი კი, მისი სურვილის თანახმად, უნდა ჩატარდეს ლენრაიონში პლეხანოვის სახ. თეატრში.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის მუშფაკი

საქ. საფინანსო - კოოპერატიულ ინსტიტუტთან არსებულ მუშფაკს, ეწოდა **ამხ. ლადო სუხიშვილის** სახელი.

ოქროს გვირგვინის აღმოჩენა

ჩხოროწყუ, 8 მარტი. (საკ. კორ.) ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ ლეწურწუმეში მინდვრად მიწის ხვნის დროს, გლეხმა ანდრო ესართიამ მიწიდან ამოთხარა ძველთაძველი ხელობის ოქროს სამეფო გვირგვინი, რომელიც შემკულია სხვადასხვა ძვირფასი თვლებით.

აღმოჩენილი განძი ამხ. ესართიამ წარადგინა ჩხოროწყუს რაიაღმასკომში, რომელმაც შეადგინა სათანადო აქტი და ნივთი შესანახად გადასცა სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებას. აღმოჩენილი ნივთის ღირებულება ადგილობრივ ვერ იქნა გამორკვეული, მაგრამ უბრალო შეფასებითაც მისი ფასი 100.000 მანეთს გადააჭარბებს.

განმარტება

„კომუნისტი"-ს გ.-წ. დეკემბრის № 293-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა სასოფ.-სამეურნეო მუშფაკის კომუჯრედის მდივანს ამხ. **გაბიანს.** კორესპონდენციის ავტორი ბრალს სდებდა ამხ. გაბიანს მასში, რომ თითქოს მისი სიუტით მუშფაკში თავის დროზე ვერ ჩატარდა საბჭოთა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა და სხვ.

ამ საქმეზე ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის ბიუროს მიერ გამოყოფილმა კომისიამ ადგილზე გამოარკვია, რომ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში ამხ. **გაბიანი** ავად იყო და რომ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ზემოაღნიშნულ კამპანიის დაგვიანებით ჩატარებაში.

მუშაკების მობილიზაცია სოფლად სამუშაოდ

თანახმად საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. სამდივნოს დადგენილებისა, ქვემო ჩამოთვლილი ამხანაგები გაწვეული არიან მობილიზაციით სოფლებსა და რაიონებში სამუშაოდ. მათ წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ ცეკას კადრების განყოფილებაში (ოთახი № 51) ამხ. ავეტისოვთან ქვემონაჩვენებ დღეებსა და საათზე:

10 მარტს დილის 11 საათზე

გელაშვილი იოსები (ტრამვაი), მაღრაძე ესტატე (საქართველოს გზატკეცილების სამმართველო), ავეტისოვი ხორენ (მუშკოოპი), ამატუნი გრანტ (განათლების კომისარიატი), ძაგანია მიხეილ (მომარაგების კომისარიატი), გეტმანკი მიხეილ (პოლიგრაფტრესტი), ლომიძე სერაფიონ (საქართველოს სახდაზღვევის სამმართველო), კარკუსოვი ვლადიმერ (უზენაესი სასამართლო), გურგენიძე დიმიტრი (შემოსავლეთა კავშირი), ღონღაძე („სოიუზმიასო"), კალანდაძე ნიკოლოზ, მათიაშვილი ბაგრატ („გრუზსნაბტორგი"), ფანცხავა ვლადიმერ (ჯანმრთელობის განყოფილება), კობულაშვილი (სმუსი), ხუჭუა მათე (საამშენებლო მასალათა ტრესტი), გვარამია ბესარიონ (მესაქონლეთა კავშირი), კეშელავა იროდიონ („სოიუზმიასო"), კოსტა პარასტაევა („კოლმეურნცენტრი"), ა. თენეიშვილი (კომბანკი), ნიკ. ამირაღოვი, კურასმედიანი (კომბანკი), პავლე კობალაძე (თელასი), სერგო კორძაძე („საქართველოს აბრეშუმი"), აკაკი დოხდუა (საქ. აბრეშუმი), ალ. სანაძე (თბ. აღმასკომი), სერგო ხვედელიძე (აღმასკომი), კარაპეტ ასიტოვი (აღმასკომი), ალ. აფაქიძე (ჯანმრთ. განყოფილება), ბორის ჩისტიაკოვი (ავტოკურსები), ლევან ტატაევი (ამიერ-კავკასიის რკინის გზა).

11 მარტს დილის 11 საათზე

მილოსი ჩხიკვიშვილი (გლეხკომი), აბგარ დავრიშევი, ნიკ. ქუთათელაძე (საქართველოს ცაკი). ვლადიმერ ელიავა (აღმასკომი), ვასილ სალდათოვი (ამიერ-კავკასიის რკინის გზა), აკაკი ჩუბინიძე (სახკინმრეწვი), გიორგი თუმიკაშვილი (ბინათკავშირი), ტიგრან ოგანოვი („გრუზსნაბტორგი"), მიხ. დარჩია (კომუნალურ მუშათა პროფკ. ც. გამგეობა), იოსებ პეხრიშვილი („სოიუზკოჟა"), ყარამან სირაძე (უძრავქონებათა სამ.), ეპიფანე დუდუჩავა (ცეკავშირი), სევერიანე ჯაში („გრუზსნაბტორგი"), გერასიმე ახვერდოვი („სოიუზტრანსი"), აკაკი შარაშიძე (კომბანკი), შალვა დოხნაძე (სამრეწველო-საამშენებლო სამუშაოთა სამმართველო), მიხეილ ტკაჩევი, ეტიხი ჩერქეზია (სუხიშვილის სახელობის ქარხანა), ვასილ ფირცხალავა (კავშირგაბმულობის მუშათა ადგილკომი), ირაკლი დავითაშვილი (განათლების მუშაკთა კავშირი), ალექსანდრე ორაგველიძე (აღმასკომ.).

12 მარტის დილის 11 საათზე

გიორგი ვოლოდკო („მკერავის" ფაბრიკა № 2), კარაპეტ ქსოვრელი (სახ. საპროექტო ტრესტი). პანტელეიმონ ჩხიკვაძე (ტრანსპორტის მუშათა კავშირის ც. გამგეობა), კალენიკე მახარაძე (სამთო ქიმიური ტრესტი), ილია ბაქრაძე (საქართველოს გზატკეცილების სამმართველო), სიმონ ძებნიაური (მთიელთა კულტ. საზოგადოება), აკაკი ბერია (სახელგამი), დავით ჭყონია (სმუსი), ალ. ეჯოშვილი (სახკინმრეწვი), იაკობ დავიდოვი (თამბაქოს ფაბრიკა № 2), ივანე მაისურაძე (საფეიქრო სამმართველო), სარდიონ აბულიძე (წყალთა მეურნეობის სამმართველო), ვარლამ ბოკერია (ბავშვის მეგობართა საზოგადოება), ვლადიმერ მაჭარაძე (სახკინმრეწვი) სტეფანე ბაბაიანი („გრუზსნაბტორგი"), მიხეილ სარიშვილი (თბილისის აღმასკომი), ილო ლომიძე (ჯანსახკომი), სოლომონ დოლიძე (ქიმკომბინატი) ფოლია დელიბაშვილი (მე-47 შრომის სკოლა), გიორგი კიკვაძე (საქ. სმუსი) და აკაკი ტუსკია („საქ. ჩაი").

უჯრედების მდივნებს წინადადება ეძლევათ მიიღონ ზომები, რომ ჩამოთვლილი ამხანაგები დაუგვიანებლათ გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილზე.

თვითეული იმ ამხანაგის საქმე, რომელნიც ორი კვირის განმავლობაში არ გამოცხადდება დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, გადაეცემა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

პარტიული და საბჭოთა ქრონიკა

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილებაში, ამხ. ავეტისოვთან (ოთ. 51), 10 მარტს, დილის 11 საათზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ტ. ოგანოვი, ი. მესხიშვილი, აპ. დუდუჩავა (გორი), აკ. შარაშიძე, დ. ჭყონია, ალ. ეჯოშვილი, შ. დოხნაძე, ვას. ფირცხალავა, დ. ლეჟავა, ბ. მართაშვილი, აკ. ტუსკია, ბ. გვარამია, ს. კორძაძე, ვ. ბოკერია, მ. დარჩია, კ. მახარაძე, გ. ახვერდოვი, ნ. საბაშვილი, ი. დავიდოვი, ალ. მეხრიშვილი (აგურის ქარხანა), კახიანი (არტ. „ნადი"), კ. პარასტაევი, პ. კიაზუმოვი.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. კადრების განყოფილება იუწყება, რომ ქვემოდ-ჩამოთვლილი ამხანაგები მობილიზაციის წესით გაწვეული არიან საქართველოს პროკურატურაში სამუშაოდ და 10 მარტს, დილის 11 საათზე უნდა გამოცხადდნენ რესპუბლიკის პროკურორ ამხ. სტურუასთან (სახპროკურატურა): მ. თოლორდავა („საქ. ჩაი"), ნ. ქელიძე, კლ. შონია (საქ. წყალთა მეურნეობა), ამატუნი (განსახკომი), ნიკ. ნათენაძე, ი. სიჭინავა (საქაბრეშუმი), გიორგობიანი (სოც. დაზღვევა), სვირსკი, ჩხიკვაძე, კობულაშვილი. პ. კობალაძე (თელასი), ს. ხვედელიძე, თ. ბოლქვაძე (უზ. სასამართლო), მ. ჩხიკვიშვილი, გ. ტუხაშვილი (ფინსახკომი), კუპრაშვილი (სას.-სამ. ინსტ.).

—:—

10 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, **საქ. კ. პ. (ბ) ცეკაში** (ოთ. 19), მოწვეულია **თათბირი,** რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სახაროვი (სამიწათმოწყობო ტეხნიკუმი), დალაქიანი („ზარია ვოსტოკა"), გოზალოვი (სახსაირტი), კაკიხცა (მედინსტიტუტი), ჩოჩუა (სამიწათმოწყობო ტეხნიკუმი), კვაშილავა (ა.-კ. სახ. კომისია), ცომაია (2 შრ. სკოლა), მუსერიძე (პედ. კომბ.), ქერქაძე (5 შრ. სკოლა), ხაჩატუროვი (60 შრ. სკოლა), სიტამაშვილი, ბერიაშვილი, ტალაკვაძე (2 პედტეხნიკუმი), მრავა (26-ის ქარხანა), კოხრეიძე (დეპო), სიხარულიძე (სად. თბილისი), დოლიძე (ა.-კ. რკინის გზის სამმართ.), პალიატნიკოვი (ტრამვაი), ნიკიტინი (სარემ. ქარხანა), ქირთლაძე (ლენრაიკომი), შახდინაროვი (ა.-კ. საოლქო კომიტეტის ისტპარტი), სეგალი (ქალაქ. საავადმყ.), ბეჟანოვი (ჰიდრო - ტეხნ.), ცეცხლაძე (4 შრ. სკოლა), მარკალიანი („სოიუზმიასო), ხუციშვილი („სოიუზხლებ"), ლუჩინსკი (100 შრ. სკოლა), ვართაპეტიანი (სომხ. პედტეხნიკ.), დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) „26" კომუნ. სახ. რაიკომი იუწყება, რომ 10 მარტს, საღამოს სრული 6 საათისათვის, მკერავის ფაბრიკა № 2-ში (კომუნალური ქ. № 58) მოწვეულია „26" კომ. რაიკომის ბიუროს მორიგი გამსვლელი სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ „მკერავი"-ს პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების წევრები, ფეიქართა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის ფრაქცია. დღის წესრიგში დასმულია ფაბრიკის დირექტორის მოხსენება საწ.-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ, მიმდინარე 1931 წლის 1-ლ კვარტალში.

სხდომას აუცილებლად და დაუგვიანებლივ უნდა დაესწრონ რაიკომის ბიუროს და რაიონული საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრები და კანდიდატები. სხდომაზე დასასწრებათ მოწვეული არიან აგრეთვე შეფობის ქვეშ მყოფ ნაწილებში მომუშავე კომუნისტები და გაზ. „კომუნისტი"-ს, „რაბ. პრავდა"-ს და „პროლეტარი"-ს რედაქციების წარმომადგენლები.

—საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კადრ. განყოფილებაში დღეს, 10 მარტს დილის 12 ს., ამხ. ჯალიაშვილთან (ოთახი № 51) **შესდგება თათბირი სამრეწვ. კადრების საკითხის შესახებ.** უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: გაბრიჩიძე (საამშ. ინსტ.), არუთინოვი (საქ. პროფსაბჭო), გავაშელი (სახ. საგეგმო კომისია), ცენ. საკონტ. კომისიის წარმომადგენელი, კაკაბაძე (სახ. მეურ. უმ. საბჭო), ჯაში (განსახკომი).

— **დღეს, 10 მარტს,** დილის სრულ 11 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ცეკაში ამხ. გუჯიაშვილთან (ოთ. № 21) შესდგება თათბირი, რომელსაც დაუგვიანებლად უნდა დაესწრონ ყველა მუშფაკების (რუსული, ქართული, სომხური და სხვ.) დირექტორები, კომუჯრედების მდივნები და პროფკომების თავმჯდომარეები.

—:—

დღეს, საღ. 7 ს. საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ს პარტმუშაობის ცენტრ. კაბინეტში (რუსთაველის—21, მესამე სართ.) შესდგება ამხ. იმედაშის კონსულტაცია თემაზე: „მავნებლობა და ბრძოლა მის წინააღმდეგ". კონსულტაციაზე მოწვეული არიან საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. ყველა რაიკომების პროპაგანდისტები, პარტგანათლების ქსელის ხელმძღვანელები; თბილისის ყველა უჯრედების ბიუროს წევრები და თბილისის ორგანიზაციის აქტივი. დასწრება სავალდებულოა—შესვლა პარტბილეთებით.

—:—

10 მარტს, საღამოს 7 საათზე, **საქ. კ.პ. (ბ) 26 კომუნარის რაიკომის სადგომში** (კახეთის ქ., № 1, მე-2 სართული) შესდგება რაიონის წევრ აქტივისტ დელეგატ-ქალების და დამკვრელ ქალების საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტისა და 12 მარტისათვის.

ა. წ. 11 მარტს, საღამოს 7 საათზე,
განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3)
გაგრძელდება
განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა
საჯარო წმენდა
კომისია.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 10 მარტს
მე-13 აბონ. მე-5 წარმოდ.
ფატმა მუხტაროვას და ნ. ნ. სერედას მონაწილეობით
კარმენი

ოთხშაბათს, 11 მარტს
მე-16 აბონ. მე-8 წარმ.
ხ. ი. მიგაის და ალექსანდრე პიროგოვის მონაწილ.
სევილიელი დალაქი

ხუთშაბათს, 12 მარტს
დღით
ალ. პიროგოვას მონ.-წილეობით
ფაუსტი
და ვალპ. ღამე
ბილ. იყიდება.

საღამოს
მე-12 აბ. მე-5 წ.
ფატმა მუხტაროვას მონაწ.
აიდა

აბონენ., რომელთაც მე-7 შ სატაოი არ გადაუხდიათ, წარმოდგენებზე არ დაიშვებიან

ქართული სახელმწიფო დრამა
მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

10 მარტს
მე-2 აბონემ. მე-5 წარმოდ.
არსენას ლექსი

13 მარტს
მე-3 აბონ. მე-6 წარმოდ.
არსენას ლექსი

სავალდებულოა საბონემენტო საფასურის მე-5 შემოსატანის დაფარვა.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
ახალი მხატვრული ფილმი **მძინარე მზეთუნახავი**
ბილეთების წინასწარ გაყიდვა შუადღის 12 საათიდან

სპარტაკი დღის სეანსები
I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.
მხატვრული სურათი **ჩქარი მატარებელი № 2**
რეჟისორი ვ. მაკაროვი

სპარტაკი საღამოს სეანსები
I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30. III—9, IV—10-30.
მხატვრული ფილმი **კვალ და კვალ**
პროგრამის გარეშე „მუშა ქალი და ს.ს.რ.კ. თავდაცვა".

საზამთრო დარბაზი
I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.
საზღვარგ. მხატვრული სურათი
„11 ემმაკი"

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მიხაილი)
1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.
ახალი მხატვრული ფილმი
ბელორუსიის სახკინმრეწვის წარმ.
ნამდვილი სიცოცხლე

კინო **პალასი**
1-ლი სეანსის დასაწ. 6—30
ახალი გერმანული ფილმი
პორი PORI პორი
სურათში გადაღებ. ნადირობა ლომებზე, ვეფხვებზე, სპილოებზე დ სხ.

სახელმწ. ცირკი
დღეს და ყოველდღე გრანდიოზული წარმოდგენა
ახალი პროგრამა
გრძელდება უშიშარი მომთვინიერებელის ერნესტ შუს გასტროლები მისი 7 ბუმბერაზი ლომით. ცნობილი მუსიკალური სატირიკოსები ბიმ ბომი ახალი რეპერტუარით, აგრეთვე მონაწილეობს მთელი დასი და ატრაქციონები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სალარო ღიაა 11-ნახ.-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.
ნ 565

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1930-31 წ.
სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.

რეპერტუარი: ახალი დადგმები:
1. სამნი—ა. ა. შანშიაშვილის
2. განგაში ა. მაშაშვილის
3. ბახტრიონი—ვ. კაკაბაძის
4. ყაჩაღები – შილერის.

განახლებული:
1. ანზორ
2. ლამარა
3. პროტესტი

თეატრის დირექც. მიერ გამოშვებულია 8 აბონემენტი თითო 5 წარმოდგ.

ყოველ აბონემენტში შედის 3 ძველი და 2 ახალი დადგმა.
აბონემენტის ღირებულების დაფარვა 4 ვადაში.
აბონემენტის ფასები და გადასახდელის ჯამი ვადების მიხედვით

	აბონემ. ღირებულ. 5 წარმ.	I მესატ. აბონ. შეტანისას	II 5 აპრილამდე	III 20 აპრილამდე	IV 5 მაისამდე
ლოჟა ბენუარ	10 მან.	3	3	2—	2—
" ბელ-ეტაჟი	10 "	3	3	2 -	2—
პარტერი 1—3 რიგი	12—50	4	4	2—50	2—
4—6	11—25	3	3	3—	2—25
7—9	10—	3	3	2—	2—
10—12	9—	3	2	2—	2—
13—14	8—50	2—50	2	2—	2—
15—17	7—50	2	2	2—	1—50
18—20	6—25	2	2	1—25	1—
ბალკონი ბელ-ეტაჟი 1 რიგი	8—75	3	2	2—	1—75
2	7—50	2	2	2—	1—50
ბალკ. 2 იარ. 1 რიგი	7—50	2	2	2—	1—50
2	6—25	2	2	1—25	1—
3	5—	2	1	1—	1—

ქანდარაზე აბონემენტების ადგილები არ იყიდება.
2—2 ნ. 558 შეკვეთების მიღება ყოველ დღე 11—3 საათამდე და 6—9 საათამდე.

საქართველოს კომბანკი

ა. წ. 15 მარტს, ქალაქ ბათომში, მისი აჭარისტანის განყოფილებაში ნიშნავს საჯარო ვაჭრობას, ბანკში დაგირავებულ კერძო შენობებზე:

	დავალიანება	შენობის მდებარეობა
1. ებრაელიძე ევგენი	1.479—33	ქ. ლანჩხუთი
2. იმნაძე სიმონი	427—42	ქ. ლანჩხუთი.

ნ. 561

---

15 ამა მარტიდან ა/კ. კავშირგაბმულობის სამმართველოსთან **იხსნება კურსები** ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიო მონტიორების, აგრეთვე ტელეგრაფის კლოპფერისტების მოსამზადებლად.

სწავლება კურსზე განსაზღვრულია 6 თვით.

კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, განათლებით არა ნაკლებ 7 წლ., წლოვანობით არა ნაკლებ 16 წლისა და არა უმეტეს 25 წლისა. სტიპენდია განსაზღვრულია და დაკმაყოფილებული იქნებიან: მონტიორთა ჯგუფები 100 %, ხოლო ტელეგრაფის კლოპფერისტთა ჯგუფები 55 პროც.

საერთო საცხოვრებელით მსმენელები უზრუნველყოფილნი არ არიან. კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელები დაიგზავნებიან რაიონებში.

საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: 1. განათლების მოწმობა, 2. სოციალურ შთამომავლობის და მდგომარეობის, 3. პარტიული მიმართულების, 4 საწარმოვო სტაჟის, 5. სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 6. ორი ფოტოგრაფიული სურათი და 7. ჯანმრთელობის მოწმობა.

განცხადებები მიიღება მე-57 შრომის სკოლის შენობაში, ლენინის ქ., № 14, ყოველდღე საღამოს 6 ს. 8 საათამდე, 12 მარტამდე.

კურსების გამგე: დ. ციბაძე.

ვასწავლი
მათემატიკას
ალგებრა, გეომეტრია. ტრიგონომეტრია, არითმეტიკას
და ვამზადებ მოწაფეებს
უმაღლეს სასწავლებლისათვის. სამხედრო აკადემიაში. ყველა სპეცდარგზე პროგ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ უნივერ., საბუღალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც.
მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1 - 7 საათამდე. 3—2 1350

დღეს, 10 მარტს, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში (შიო ჩიტაძის ქ. № 6)
საღამოს 7 საათზე შესდგება ქ. ტფილისის დაუსწრებელი კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლის ყველა კურსების და ყველა სექტორების
სტუდენტთა საერთო კრება ნ. 568

დღეს, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე, ჩ/ქ. კლუბში (პლეხანოვის გამზ. № 5) გაიხსნება
საზოგადო კვების კავშირის სრულიად საქართველოს მე-9 ყრილობა

დღის წესრიგი:
1. საქ. კომიტეტის მუშაობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ცეკავშირის და მუშკოოპის მოხსენებები საქ. საზოგადო კვების მდგომარეობის შესახებ, საქ. სახ. კვებას ორგანიზებულის თანამოხსენებით.
4. მოხსენება პ/კავშირებისა მუშაობის გაუმჯობესების და გარდაქმნის შესახებ.
5. არჩევნები.

17:6 კომიტეტის თავ-რე გოგორიშვილი

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შუ სახვევი № 8. 25—1
მთავარ ხელოვნების ნებართვით
მოქ. ალექსიძეს მიერ გაიხსნა

გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ილისაბედის) № 3.

ექიმი
ივ. ა. ჩოხელი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—7-მდე. ბარონოვის (ყოფ. გუნიბის) ქ. № 44. ელმ. 24 44.
25—1 916

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) **ჩაითვალოს გაუქმებულად**

— კონსულტაციის წიგნაკი № 7441 ტასო ქსოვრელის სახელზე. 1647
— მუშკოოპის წიგნაკი № 7 928 გიორგი ბექიტაშვილის სახ. 1648
— ავტომობილ № 1016-ის პასპორტი გიორგი ბარქაიას სახ. 1641
— მუშკოოპის წიგნაკი ნინა გოქაძის სახელზე. 1644
— მუშკოოპის წიგნაკი სოფიო სოლომონის ასულ გოქაძის სახ. 1645
— სარეწ. კოოპ. დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2705 დესდემონა ქვათაძის სახელზე. 1643

დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, ძმა დავით, შვილები: ქეთო, თინა, გუგული ქუთათელაძეები, ძმისშვილი ელიკო ქმრით—ვლადიმერ არგუტინსკი-დოლგორუკოვით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

კოტე ქუთათელაძის

დაკარგვას. დაკრძალვა 10 მარტს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. ძნელაძის შესახვევი № 15. 2—2 1685

ოლია ჯახელიძე, ვერა ალექნიკოვა, ბოლიანტა კვირიკელიძე, თამარ ახობაძე, ქსენია თავართქილაძე და ნუნუ პეტრენკო დასტირიან საყვარელ ბიძია

კოტე ქუთათელაძის

დაკარგვას 1690

ცოლის დისშვილები: თამარა, ვახტანგი, გოგი კანდელაკები, საშურა როგერი, გოგი, ნანა, ციალა. ოთარი მ ალობლიშვილები, გივი მჭედლიძე. ცაცა და თინა იაშვილები დასტირიან საყვარელ ბიძია

კოტე ვასილის-ძე ქუთათელაძის

ცხედარს. 1690

თავზარდაცემული: მეუღლე სასო შვილი გოგია, მაზლი ნესტორ თავისი ცოლ-შვილით არჩუაძეები, დედა ანა სირაძე იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ივლიტა ფარსადანის ასული არჩუაძე

გამოსვენება ბინიდან, მნათობის ქ. № 9, 11 მარტს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1705

დამწუხრებული და ნინა, მეუღლით გერასიმე და შვილით, რუზანა, მაზლები: ვასილი, მიშა ძმობლებით გრიგოროვები აუწყებენ ყველა ნათესავ ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ივლიტა სირაძე-არჩუაძისა

გამოსვენება მნათობის ქ. № 9, 11 მარტს, 4 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 1745

დამწუხრებული ბიძაშვილი გრიშა თავისი ცოლი შურათი და შვილი ალბერტით. დედა ვალენტინა, მამა ილია. ძმა ლავრენტი სიოაძეები ვაუწყებთ ნათესავ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი ბიძაშვილი

ივლიტა ფარსადანის ასული სირაძე-არჩუაძისა

დაკრძალვა 11 მარტს, ოთხშაბათს, 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მნათობის ქუჩა № 9. 1748

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემული ანა (ბუდა) თოლქია-არჯევანიძისა, ტუტუშა არჯევანიძე და ტარასი თორ[illegible]ია აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის, ძმის და სიძის ექ.

ანდრია სამსონის-ძე არჯევანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, 10 მარტს, დღის 4 საათზე, ბინიდან - სასამართლოს ქ № 15. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1746

ცენტრალური რაიონის სამკურნალო პროფილაქტიური გაერთიანების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დაუღალავი, ენერგიით სავსე, გამგის და იშვიათი ამხანაგის ექიმ

ანდრია სამსონის-ძე არჯევანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღის 4 საათზე, სასამართლოს ქ. № 15. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1740

მედსანმუშის პ/კავშირის მე-3 ჯგუფკომი მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე, ცენტრ. პოლიკლინიკის დირექტორი ექიმი

ანდრია სამსონის-ძე არჯევანიძე

1740

ბარბალე, ჟენია, თამარა, შუშანა, ივანე, ალექსანდრე, ამბერკი, კოტე, ტიტე და სევერიანე დუმბაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

მარიამ იულოს ასული ბაჟუნაიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1755

დიღომის განათლების მუშაკთა ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება აქტიური მუშაკის, დიღმის საბაზო სკოლის მასწავლებლის

მარიამ იულოს ასულ ბაჟუნაიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 1765

უახლოესი ამხანაგები: სტ. ნიკოლაიშვილი, ს. ვადაჭკორია, ი. ჰიბაძე, ეთ. გიორგიევი. ელ. ხარშილაძე, ა. კენჭაძე, ძ. ბეჟანიშვილი, ვ. ყაჭეიშვილი, ც. ქუთათელაძე, ელ. ჯოხთაბერიძე, თ. დიდია, ს. დოლიძე, ე. ლეჟავა, ხ. ჭეიშვილი და ჯ. გენებაშვილი მწუხარებით იუწყებიან დიღმის საბაზო სკოლის მასწავლებლის

მარიამ იულოს ასულ ბაჟუნაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 1764

გულმოკლული მშობლები: კოტე და მარიკო აბაშიძე-სვანიძისა, ბებია ვასასი აბაშიძე. მამიდა სადიკო სვანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პატარა

გურიკოს (გურამის)

უდროოდ გარდაცვალებას. 1747

დამწუხრებული დედა ნადია, მამა ვანო, დაი შუქია, ბებია რისიმე, ძამია იაშვილი ლუბა მეუღლით კოდრატი რამიშვილები, მამიდა ანუშკა, ბიძა ალექსანდრე მარო შვილებით, ეფროსიმე სიხარულიძისა იუწყებიან დაუვიწყარ

პატარა რეზო რამიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, სურამის ქუჩა № 5. 1749

ჩიტო, ლადო, კარლო, ცუფა და ნანა ჭანიშვილები და ვენერა დოლიძე ცხარე ცრემლებით დასტირიან ძვირფასი დეიდაშვილის

პატარა რეზიკოს

უდროოდ გარდაცვალებას. 1752

გიორგი და ქეთო თელიები, ვასილ და ვერა ბედიხეიშვილები და გრიშა რამიშვილი უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ პატარა

რეზიკო ივანეს-ძე რამიშვილის

გარდაცვალების გამო. 1749

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი ცოლი მარიამი, შვილი გრიგოლი თავისი ცოლი ელენათი და ეჟენი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველის ქმარი, დანარჩენების კი მამა

დარისპანი იოსების-ძე ხარშილაძე

1753

დამწუხრებული რძალი მაშო, ძმისშვილები: ლადო, ნოე ცოლით. იოსები, ბაბო ქმრით, თამარა ფილია და თინა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ბიძის

დარისპან იოსების-ძე ხარშილაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 1757

გულდამწუხრებული მეუღლე კატო, დედა ელისაბედი, ძმა ისიდორე, რძალი ბარბალე, ძმისშვილები: მიშა და ნინა ძიძიგურები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

იოსები ნიკოლოზის-ძე ძიძიგურის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 12 მარტს, 4 საათზე, ნიკოშვილის ქუჩა № 15. ნ. 566

გაუბედურებული მშობლები: ბესარიონ და სოფიო დ დაი თამარა ჩიჩუები ულრმეს მადლობას მოახსენებენ სახელმწიფო ბანკის ფონდის საგენტოს ყველა თანამშრომლებს, აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც პატივი დასცეს მათი იმედის

ნიკოლოზ ბესარიონის-ძე ჩიჩუას

ხსოვნას. ნ. 567

დამწუხრებული კალანდარიშვილები: მარო, ვერა, სიძეები: იაკინთე კალანდარიშვილი, ილარიონ მელქაძე. შვილიშვილები: შალიკო, ნინა. აკაკი, აბესალომ კალანდარიშვილები. ვახტანგი და ავთანდილ მელაძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ ძვირფასი

ონიფანტე ბესარიონის-ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ჭავჭავაძის ქუჩა № 4, დღეს, 5 საათ. 1732

კატუშა ხუნდაძე, ქმარი დავით ეზუგბაიძე აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 6 მარტს თბილისში გარდაიცვალა საყვარელი მამა

ონიფანტე ბესარიონის-ძე ხუნდაძე

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ჭავჭავაძის ქ. № 4, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1733

თამარა და კოტე ცინცაძეები აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 6 მარტს თბილისში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი მამა

ონიფანტე ბესარიონის-ძე ხუნდაძე

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ჭავჭავაძის ქ. № 4, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1731

გაუბედურებული მშობლები: თალიკო და სასონი, დები: ნადია, გუგულა, ელენე და ცუცუნა მეუღლით ივანე ელიბეგით. ძმები: კოტე, გრიშა, დიმიტრი და მიხეილ, რძლები: ლიდია და ქეთო კუკულიათი ძაჯავარიანები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

გოგუცა მაჭავარიანი-ჟუმბურიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. კლდეეთში 10 მარტს, საღამოს 5 საათზე. 1743

დამწუხრებული მეუღლე ჩიტო შვილებით რეზიკო და ოქსიკოთი და მშობლებით სიმონ და სეფორა ჟუმბურიძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს პირველის დაუვიწყარი მეუღლის, მეორეთა უძვირფასესი დედიკოსი და მესამეთა საყვარელი რძლის

გოგუცა მაჭავარიანი-ჟუმბურიძისა

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. კლდეეთში, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე. 1743

ელენე და გიორგი ოანეიშვილები შვილებით გუგული და გიორგი ძღვიენები შვილებით დასტირიან საყვარელ დისშვილს

გოგუცა მაჭავარიან-ჟუმბურიძისას

დასაფლავება 10 მარტს, ს. კლდეეთში 1743

გულდამწვარი მშობლები: კოლია, ეთერი და თინა აუწყებენ ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

გივი კოლიას-ძე გუმბერიძე

დასაფლავება მოხდა, შაბათს, 7 მარტს. ტოპანიძეში. 1763

დედა ეკა, ძმები: გერონტი, ბაბუნა, იპოლიტი და ილია თავიანთ შვილებით, რძლები: ნატალია, ლიდია, ნინა და სოფიო ულრმეს მადლობას სწირავენ ყველა იმ პირთ, ვინც გაიზიარა მათი მძიმე მწუხარება ძვირფასი და დაუვიწყარი

დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ვადაჭკორიას

უდროოდ დაკარგვის გამო. 1730

გაუბედურებული, სამუდამოდ დამწუხრებული კაკალა (მარიკო) ნაკაშიძე ვოსკრესენსკისა თავისი მრით დიმიტრით უცხადებს ულრმეს მადლობას ყველა იმათ, ვინც გაიზიარეს ჩვენი აუტანელი მწუხარება წერილობით. პირადათ, გაზეთებში განცხადებით თუ დეპეშებით, უძვირფასესი აღმოდილი დედიკოს.

ვარდო გიტოს ას. მაქსიმელიშვილის

დაკარგვის გამო. 1750

ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ზედა კლდეთის ოთხწლედის მასწავლებლები: ზაველ ჩუმბაძე, მარიამ ხუსკივაძე, ანიკო საყვარელიძე და ქეთო გოგოლაშვილი მათთვის უძვირფასესი და ამავე სკოლის გამგის

დათიკო იოველის-ძე ქავთარაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ხუთშაბათს, 12 მარტს, ოთ. ზედა კლდეთში. ნ. 5 4

უსაზღვროდ დამწუხრებული მშობლები: დავით გიორგის-ძე და ნატალია კონსტანტინეს ასული მელაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს რომ 7 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი

ალექსანდრე მელაძე

რომლის დასაფლავება მოხდება 10 მარტს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, ლიუთერანის ქუჩ. № 30, საღამოს 5 საათ. 1761

თავზარდაცემულნი: დედინაცვალი ტიბრონე ასათიანისა და გუგუნია, სიძე [illegible] ბიძები: [illegible] ასათიანები ცოლ-შვილებით, ბიძაშვილები: ბიკო და ბედალა ასათიანები ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ნიკოლოზ სარდიონის-ძე ასათიანის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა ს. მარანში (აბაშის რაიონი). ხუთშაბათს, 12 მარტს, 1 საათზე. 1760

ძმა დომენტი, რძალი თამარა, ძმისშვილი მიტუშა მგელაძეები აუწყებენ ძვირფასი

ვლასა გიტოს ძე მგელაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება [illegible] ხუთშაბათს, 12 მარტს.

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904